საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით №40 (1741) 19 - 25 ოქტომბერი, 1999 წ. ● ფასი 50 თეთრი

## რა უჯდებათ რეკლამა პოლიტიკურ პარტიებს?

პატივცემულო მკითხველო, თქვენს გაკვირვებას, ვფიქრობთ, ვერაფრით შევძლებთ. ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, გაცნობოთ ზოგიერთი იმ სარეკლამო ფასის შესახებ, რომლითაც პოლიტიკური პარტიები სარგებლობენ.

რეკლამა ტელევიზიის პირველი არხით:

– „ალიონი" - 144 დოლარი(წთ)

– „მოამბე" – 360 დოლარი (წთ)

– „ვიდეოპატრული" – 324 დოლარი (წთ)

– სალამოს გადაცემებში – 252 დოლარი (წთ)

რეკლამა „რუსთავი–2"–ის არხით:

– „კურიერი 9 საათზე"

პირველ ჩართვაში 1500 დოლარი (წთ)

მეორე ჩართვაში – 1200 დოლარი (წთ)

მესამე ჩართვაში – 900 დოლარი (წთ)

ბოლოში – 600 დოლარი (წთ)

„ღამის კურიერი"

დასაწყისში – 720 დოლარი (წთ);

შუაში – 750 დოლარი (წთ).

ყოველდღიური ხარჯების ანგარიში თქვენთვის მოგვინდია. ადვილად შეამჩნევთ, რომ რეკლამებში ფულის ფანტვაში პირველობას არავის უთმობს საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ანუ მმართველი პარტია, რომელსაც მოსახლეობის მილიონობით ვალი აქვს გაუცემელი პენსიების და ხელფასების სახით. მათ მიერ მხოლოდ „რუსთავი-2"-ის ეთერით ერთი სალამოს განმავლობაში რეკლამაში დახარჯული ფული ხომ ასობით პენსიონერის ერთი თვის ვალს გადაიხდიდა.



*ნოდარ ნათაძე:*

**აბაშიძე მირჩევნია თუ შევარდნაძე? ეს იგივეა, კაცს რომ ჰკითხო: რა გირჩევნია, შეგბრანო თუ მოგხარშო...**

მეორე გვერდი

## თელავში ჩატარდა ოპერაცია „მედიკო"

16 ოქტომბერს თელავში ბლოკმა „საქართველოს აღორძინება" მოაწყო შეხვედრა ამომრჩევლებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჯუმბერ პატიაშვილი, აკაკი ასათიანი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ჯემალ გოგიტიძე და სხვები. მედიკო მეზვრიშვილი მითითებით, ისინი ადგილობრივი სმკ-ის პატარა დარბაზში შეუშვეს. დარბაზის გარეთ მოსახლეობის გარდა მრავლად იყვნენ მოქკავშირის წევრები, პოლიცია, ადგილობრივი ტელევიზია, სახანძრო მანქანები (?!) და უცხოელი დამკვირვებლები.

თელავის მაჟორიტარმა დეპუტატობის კანდიდატმა, ბატონმა მერაბ მეტრეველმა განაცხადა, რომ დარბაზში იყვნენ ე.წ. მობილური ჯგუფები, რომელთა შესახებ ერთი კვირის წინ თელავში შევარდნაძის ჩამოსვლის დროს მეზვრიშვილმა ამცნო საზოგადოებას. კერძოდ, თქვა: „ჩვენ გვყავს მობილური ჯგუფები, რომლებიც ხალხის მტრებს, ბათუმური ბლოკის წარმომადგენლებს არსად გააჭაჭანებენო. სწორედ ამ მობილურმა ჯგუფმა სმკის დარბაზში ჩაატარა ოპერაცია „მედიკო". მოვლენები ასე განვითარდა, დაიწყეს დარბაზის კარების მტვრევა, ლანძღვაგინება, გაუშვეს მოწითალო ფერის კვამლი, რომელსაც მოჰყვა აფეთქება. გარეთ მდგომმა მეხანძრეებმა დარბაზში დამსწრეებზე ოპერატიულად მიუშვეს წყლის ნაკადი.

როგორც ჩანს, ჩვენს პრეზიდენტს, მეზვრიშვილს და მოქკავშირლებს ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი" თავისებურად გაუგიათ და ასე ესმით სტუმართმოყვარეობა, დემოკრატია, საარჩევნო კანონიც და თავისუფლებაც.

თელაველები ბოლოს უხდიან სტუმრებს და პირდებიან, რომ თავის შემარცხვენელ ხელისუფლებას მალე გარეკავენ. ისინი ამ პოზიციას არჩევნებში გამოხატავენ.

შემოხაზეთ №6 ბლოკი „სახალხო ფრონტი-ილია ჭავჭავაძის საზოგადოება"

# თავისუფლება, პური, სამართალი!

**კოლაბორაციონიზმის შავი ძირი საქართველოში, ანუ ილიას მკვლელები საქართველოსაც მოკლავენ**

მეოთხე გვერდი

## საქართველოს დამანგრეველი „ტროიკა"



**დსთ: ძველი პარტოკრატია სახელმწიფო-კრიმინალური სისტემების ავანგარდში**

მეორე გვერდი

*თამარ ჩხეიძე:*

**ეს იქნება პრორუსული და პროკომუნისტური მენტალიტეტის გამომხატველი პარლამენტი**

მესამე გვერდი

## „თავისუფალი სვანეთი" რუსული ოცნების ნაყოფია

2

ელექტრონული ვერსია Http:// www.opentxt.org.ge/sakartvelo

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს...



საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, „ქართველ ონასისად" წოდებულმა მოქკავშირის სიამაყემ – ზაზა სიორიძემ ვაკეში გახსნა სადღეღამისო სუპერმარკეტი „ევროცენტრი" (დირექტორი ბეგლარ სიორიძე), რომლის კონდიციონერები და მილები უკანონოდ და უნებართვოდ გაამწკრივეს ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე № 52-54 სახლებში, შესასვლელი თაღის მთელ სიგრძეზე.

ერთის მხრივ ამ ჯოჯოხეთური მანქანების ყურთასმენის წამლები ხმაური და ვიბრაცია, მეორეს მხრივ კი „ევროცენტრის" თანამშრომლების გნიასი და ლაზღანდარობა მთელი ღამის განმავლობაში ძილსა და მოსვენებას არ აძლევს აღნიშნული სახლის მაცხოვრებლებს (საჩივრები დაიწერა ქვანიას, სააკაშვილის, ზოდელავას სახელზე, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ...). სულ ახლახანს კი „ევროცენტრის" მაღაზიის ვიტრინები „დაამშვენა" მოქკავშირის საარჩევნო პლაკატებმა, რომელზეც გამოსახულია გაბადრული პრეზიდენტი რიხიანი ლოზუნგით: „მშვიდობა და კეთილდღეობა თქვენს ოჯახებს". ამაზეა ნათქვამი: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს..."

### „თავისუფალი სვანეთი" რუსული ოცნების ნაყოფია



საქართველოს მოსახლეობას, ვფიქრობ, არ დავიწყებია საქართველოში 5-6 წლის წინ რუსეთის სამხედრო დაჯგუფების მთავარი შტაბის წინააღმდეგ მოწყობილი შეიარაღებული გამოხდომები, ქართველი ოფიცრის სიცოცხლე რომ შეიწირა. ამ გამოხდომებს თავის თავზე „ალგეთის ლეკვები" იღებდნენ, როგორც კი რუსეთთან ჩვენმა ხელისუფლებამ დათმობების შედეგად, რუსეთის სასურველი საბიჯები გადადგა და, ასე თუ ისე, მისი პოზიციის ფარგლებში ჩაჯდა, „ალგეთის ლეკვები" აორთქლდნენ. დასკვნა მარტივია: ალგეთის კი არა, რუსეთის ლეკვები ყოფილან, თურმე, ამ უწესრიგობათა შემსრულებლები.

ახლა გაჩნდა ახალი დაჯგუფება, „თავისუფალი სვანეთის" სახელით რომ დაიწყო მოქმედება კოდორის ხეობაში. ფაქტიურად, ამ „თავისუფალმა სვანეთმა" მოუწოდა შამილ ბასაევს კოდორის ხეობისაკენ წამოვიდეს საზამთროდ და იქ დაიდოს ბინა. ახლა კი გაეროს დამკვირვებლები გაიტაცა. აშკარაა რუსების ჩანაფიქრი: ბასაევის ბოევიკების საშუალებით ჩართოს საქართველო ჩრდილოეთ კავკასიურ ავანტიურაში, ხოლო სვანების ფიქრი და გონება გადააწყოს სვანეთის დამოუკიდებლობის მოსათხოვად. შესაძლოა, სვანებზე ბევრი ანეკდოტი მოუსმენიათ რუსებს, მაგრამ ამჟამად, საანეკდოტოდ თვითონ იხდიან საქმეს, უცილობელია ეს.

რევაზ სალია

### პრეზიდენტი დემოკრატიას ღალატობს?..

უსიამოდ გაგვაკვირვა (და არა მხოლოდ ჩვენ) ამასწინათ პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ, თუ ბლოკი „აღორძინება" მოვა ახალ პარლამენტში უმრავლესობის სახით, ეს საპარლამენტო გადატრიალება იქნებაო. მოტივი, თუ რატომ იქნება ეს საპარლამენტო გადატრიალება, პრეზიდენტმა ასეთი სახით ჩამოაყალიბა: ესენი (ბლოკი „აღორძინება") იმ კურსით არ წაიყვანენ ქვეყანას, რომელი კურსითაც ჩვენ მიგვყავსო, ანუ დასავლურ ორიენტაციაზე უარს იტყვიან და რუსეთის გავლენის სფეროს დაუქვემდებარებენ საქართველოსო (თითქოს ამჟამად არ ვიყოთ მისი გავლენის სფეროში).

ამა თუ იმ პოლიტიკოსის ან პოლიტიკური გუნდის ორიენტაციებზე შეიძლება იმსჯელო კაცმა და საკუთარი ვარაუდებიც გამოთქვა, მაგრამ არჩევნების გზით ხელისუფლებაში პოლიტიკური ჯგუფის მოსვლას საპარლამენტო გადატრიალებას ნამდვილად ვერ უწოდებ, მით უფრო, რომ ნამდვილი საპარლამენტო და სახელისუფლებო გადატრიალება იარაღის ძალით ხდება ხოლმე და ამისი მაგალითი უახლოეს წარსულში სახეზე გვაქვს.

სამწუხაროდ, მიმდინარე წინასაარჩევნო ბატალიები იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ამჟამინდელი ხელისუფალნი და მმართველი პარტია ხელისუფლების შენარჩუნებას გარკვეულწილად დემოკრატიული ქვეყნისათვის მიუღებელი მეთოდებით ცდილობს და საპარლამენტო გადატრიალების შესახებ პრეზიდენტისეულ განცხადებასაც რომ თავი დავანებოთ, ეს ცსკ-ს მოქმედებამ, ბორჯომის ინციდენტმა და ჩუმათელეთთან სააგიტაციო ავტობუსების დაკავებამაც გამოაჩინა.

რაც შეეხება ბლოკ „აღორძინებას" და მის პოლიტიკურ ორიენტაციას, ეს ჯერჯერობით მაინც, მთლად გამოკვეთილი არ არის, მაგრამ ის კი გამოიკვეთა, რომ ხელისუფლებას დემოკრატია ყოველთვის ერთგვაროვნად არ ესმის და როცა სჭირდება, ყოველგვარი ცერემონიების გარეშეც არღვევს მის პრინციპებს. პრეზიდენტის ის განცხადებაც და ზემოთაღწერილი ფაქტებიც ამისი თვალსაჩინო მაგალითია.

## ინტერვიუ

*ნოდარ ნათაძე:*

# აბაშიძე მირჩევნია თუ შევარდნაძე?

## ეს იგივეა, კაცს რომ ჰკითხო: რა გირჩევნია, შეგბრანო თუ მოგხარშო...

*ბ-ნ ნოდარ ნათაძეს საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიდერს, უაღრესად პატიოსან, პრინციპულ, პატრიოტ პოლიტიკოსს და დაფუძნების დღიდან „სახალხო ფრონტის" უცვლელ ლიდერს. ამჟამად ბატონი ნოდარი დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატია მთაწმინდის რაიონში. გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს მასთან.*

*ცხოვრებაში უფრო რეალისტია, პოლიტიკაში – უფრო მაქსიმალისტი. გეჩვენებათ, რომ რეალურად არსებულზე უფრო მეტის მომთხოვნია, მაგრამ ეს იმ სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს შედეგია, რომელიც კომსაზოგადოებამ შეგვიქმნა და რომელიც ეწინააღმდეგება ლოგიკასაც და ადამიანის ბუნებასაც; ბევრ რამეს გვიმალავდნენ, ყალბ ორიენტირებს გვისახავდნენ, შავს თეთრად გვაჩეჩებდნენ.*

*ბევრი ამას ჭეშმარიტებად მიიჩნევდა, გამონაკლისნი – ბლეფად.*

*ისიც ერთი იმათგანია, ვისაც არ სჯეროდა 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა ნახევრადოფიციალურად გამოცხადებული რიცხვი, ვინც ეჭვის თვალით შეხვდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ოფიციალურად გამოცხადებულ რაოდენობასაც.*

*თუ რატომ – ზემოთ მოგახსენეთ!*

*სტალინის, ბრეჟნევის, ანდროპოვის სიკვდილი რამდენიმე დღით „გადადეს", კულაკოვისა – საერთოდ არ გამოცხადებულა!*

*ჩვეულებრივად იზეიმეს კრემლის ბობოლებმა 1986 წლის პირველი მაისი, ხოლო ოთხი დღით ადრე ჩერნობილში მომხდარ ბირთვულ კატასტროფას ჯერ კიდევ გვიმალავდნენ!..*

*არ სჯეროდა დავითისის, სოჭის, მოსკოვის არაერთგზისი შეხვედრების ობიექტურობა და ქმედითობა და, როგორც დავინახეთ, არც უნდა სჯერებოდა!..*

*არც მეცნიერებაში და არც პოლიტიკაში შემთხვევითი პირი არაა!*

*საკმაოდ შთამბეჭდავი წარმომავლობა გააჩნია: სტუდენტთა სამაგიდო წიგნი გახლდათ ბატონი ნოდარის მამის, პროფესორ რევაზ ნათაძის „ფსიქოლოგიის კურსი".*

*1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე პაპამისის, გრიგოლ ნათაძისა და მისი ძმის, ლევან ნათაძის ხელმოწერაცაა!*

*დღესაც დიდი ინტერესით იკითხება თვითონ ბატონ ნოდარის წიგნები: „მიზეზობრიობა და თავისუფლება", „ადამიანი ადამიანთა შორის", „ერი და ეროვნული კულტურა" და სხვ.*

*ერთი სიტყვით, მისი მაქსიმალიზმი სულაც არ ემყარება შიშველ ფანტასტიკას.*

*ხანდაზმულობის მიუხედავად, შემართულია, მიზანსწრაფული და ენერგიული.*

*სამი „ეგზოტიკური მომენტი" ირიცხება მის „ანგარიშზე":*

*არის წყვილი, ტყუპი ბიჭის მამა!*

*იარაღით ხელში ებრძოდა აფხაზ სეპარატისტებს!*

*სხვათაგან განსხვავებით, აღიარებს საკუთარ ტრაგიკულ შეცდომებს!..*



*– ბატონო ნოდარ, ზოგადად ეს-ესაა ვესაუბრე მკითხველს თქვენი პერსონის შესახებ, მაგრამ, მოდით უფრო დაწვრილებით მოგვიყევით: საიდან მოდიხართ, ვისგან და საით აპირებთ სვლას. უპირველესად კი, თქვენი მშობლების, ბავშვობისა და სწავლის წლები გაიხსენეთ. გთხოვთ.*

– ადვილი სამსახურია. დავიბადე 1929 წლის 27 მაისს, ვერის უბანში, თბილისში. ვერის აბანოს წინ იდგა ჩვენი სახლი. ეგ ვერის აბანო, სხვათა-შორის, 1933 წელსაა აშენებული.

ჯერ კამოს ქუჩაზე ვსწავლობდი მესამე საცდელ სკოლაში. ერთი წელი დავყავი იქ. მამა მუშაობდა იქ ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში დ

გაგრძელება მე-4 გვ

# დსთ: ძველი პარტოკრატია სახელმწიფო — კრიმინალური სისტემების ავანგარდში

დსთ-ში შემავალი თითქმის ყველა სახელმწიფოს სახელისუფლო სტრუქტურები პრეზიდენტების პოსტებიდან დაწყებული, მთავრობებით და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობებით დამთავრებული, სადღეისოდ ძველი პარტიულ-კომკავშირული კადრებითაა შევსებული და გაჯერებული. ჯერ იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ ყოფილ სამ მოკავშირე რესპუბლიკაში დღესაც ქვეყნის პირველ პირებად (რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი) ვინ ვინ და სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრები არიან, თანაც ამ ბოლო ორიდან ერთი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრია, მეორე კი უშიშროების. ამ ქვეყნების სახელისუფლო პირამიდის შემდგომ საფეხურებზე მოდიან პრეზიდენტების ოჯახური გარემოცვა, ნათესავები, მეგობრები, ძველრეჟიმული კოლეგები და თანამშრომლები. ეს ხალხი განაგებს დსთ-ს ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მაჯისცემას, რადგან თავიანთი ქვეყნების ქონებისა თუ სიმდიდრის ძირითადი და უმეტესი ნაწილი მათ ხელშია თავმოყრილი ან მათ კონტროლს ექვემდებარება. ყოველი შემთხვევისათვის ქონებისა და ფულის დიდი ნაწილი მათ საზღვარგარეთ აქვთ გატანილი.

ბუნებრივია, ამ კლანურ პროცესებს უფრო ფართო მასშტაბები აქვს მოსახლეობით დიდ და რესურსებით მდიდარ ქვეყნებში, პირველ რიგში, რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში. კლანური ოლიგარქიების ჩამოყალიბება და სწრაფი აღზევება ტიპიური მახასიათებელია დსთ-ს ყველა ქვეყნისათვის. ბალტიისპირეთი იმითაც განსხვავდება თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური წყობით დსთ-ს ქვეყნებისგან, რომ იქ არ ჩამოყალიბდა კლანური ოლიგრქია, კასტური სახელმწიფო სისტემა. აქედან გამომდინარე, თავად საზოგადოების შიგნით ფაქტია, რომ ევროპული სტანდარტებით განვითარების გზაზე ბალტიისპირეთი უშეღავათოდ წინ უსწრებს მთელს დსთ-ს, მის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს.



შუა აზიის ქვეყნებში საზოგადოების კლანურმა მართვამ კიდევ უფრო დამახინჯებული ხასიათი მიიღო. დღეს აქ არაიშვიათად თავს იჩენს შუასაუკუნეობრივი ნახევრადფეოდალური ბეგურ-ვაზირული გამოვლინებები. რეგიონებში, ადგილებზე პრეზიდენტების ნათესავ-მეგობრები თავიანთი ნაზირ-ვეზირებიანად შეუვალ ციხე-სიმაგრეებად იქცნენ. რომელ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაზე და ადამიანის უფლებების დაცვაზეა ლაპარაკი, როდესაც ტაჯიკეთში, ამ მდიდარი წარსულის მქონე ერში, სამოქალაქო ომის შედეგად ორასი ათასი ადამიანია მოკლული და კონფლიქტს კვლავაც არ უჩანს ბოლო. შუა აზიის ქვეყნების სახელმწიფო-საზოგადოებრივი და სოციალური განვითარების ყველაზე უკეთესი ფორმა შეიძლება იყოს მახლობელი აღმოსავლეთის და ჩრდილო აფრიკის შედარებით ყველაზე ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნების სახელმწიფო-საზოგადოებრივ წყობასთან მიახლოვება. რელიგიური მომენტი დიდად შეუშლის ხელს ამ რეგიონის ქვეყნებს განვითარდნენ დასავლური ტიპის საზოგადოებებად. სამუსულმანო სამყაროს დემოკრატიული თვალსაზრისით გამორჩეული ქვეყანაც კი, თურქეთი ბევრს ცდილობს შევიდეს დასავლეთევროპულ თანამეგობრობაში, მაგრამ მას ეს რიგ მიზეზთა გამო ჯერ-ჯერობით არ გამოუდის. ახლა წარმოვიდგინოთ შუა აზიის ქვეყნე

გაგრძელება მე-7 გვ

ინტერვიუ

*თამარ ჩხეიძე:*

# ეს იქნება პრორუსული და პროკომუნისტური მენტალიტეტის გამომხატველი პარლამენტი



*– ქალბატონო თამარ, წინასაარჩევნოდ ცალკეული პარტიები ბლოკებად გაერთიანდნენ. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ რატომ გადაწყვიტა სახალხო ფრონტთან ალიანსი?*

– საერთოდ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და სახალხო ფრონტი თვლიდა, რომ ყველა ეროვნული და დემოკრატიული წარმოშობის პარტია უნდა გაერთიანებულიყო ერთადერთი მიზნით – მომხდარიყო მმართველი ძალის შეცვლა სრულიად სხვა ბუნების ძალით. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა, რადგან ამ პარტიათა უმეტესობამ წინ დააყენა პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირი ორ სახელისუფლო ძალასთან – თბილისის თუ ბათუმის ხელისუფლებასთან. ეს გააკეთეს ისეთი ბერკეტებისთვის, როგორიცაა ფული, სახელისუფლო სტრუქტურები, პროპაგანდის საშუალებები, ამიტომაც ვერ მოხერხდა დიდი ძალის შეკრება. ჩვენი კავშირი სახალხო ფრონტთან გამოწვეულია იმით, რომ ორივეს ერთნაირი შეხედულებები გვქონდა. პოლიტიკურად ყველაზე უფრო ახლოს ვართ.

*– ახლანდელ არჩევნებში ფულს, საერთოდ, ფინანსურ მხარეს თუ უმთავრესი არა, მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. თქვენი ბლოკი ამ მხრივ ძლიერ შეზღუდულია...*

– მართლაც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ყველა ძირითადი ბერკეტები არის მონოპოლიზებული სახელისუფლო ძალების მიერ და თავიანთ ბერკეტებს უზიარებენ იმ ძალებს, რომლებიც მათთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირში არიან. ასეთ პირობებში, ფაქტიურად, ძალზე არათანაბარი მდგომარეობაა. ფული, სახელისუფლო სტრუქტურები თუ პროპაგანდის საშუალებები – ყველაფერი მუშაობს ამ ძალებზე. ჩვენი საშუალება უაღრესად შეზღუდულია. ასეთ დროს შეიძლება იფიქრო, რომ უიმედო მდგომარეობაა, მაგრამ ჩვენ მაინც ვთვლით, რომ ყოველთვის შესაძლოა ქვეყანამ და საზოგადოებამ გამოიღვიძოს იმდენად, რომ საკმაო, დიდი რაოდენობის ადამიანები ჩაერთონ საარჩევნო პროცესში და შეიცვალოს სიტუაცია. ეს, რა თქმა უნდა, ძნელია. ამის გარანტია, რომ ეს ასე მოხდება, არ არსებობს. თეორიული შესაძლებლობა კი არსებობს და ჩვენ მანამდე უნდა გავაგრძელოთ ამის მცდელობა, სანამ ეს არ მოხდება, რადგან, ფაქტიურად, სხვა გზა საქართველოსთვის არ არსებობს.

*– ბოლო წლებში სოციალურმა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, პრობლემებმა საზოგადოებაში თითქოს გაანელა ეროვნული ფასეულობების მიმართ ინტერესი.*

– თუ ეროვნულმა ფასეულობებმა გარკვეული დევალვაცია განიცადა, ეს იმ სცენარის შედეგია, რომლითაც ბოლო წლების მანძილზე საქართველოში მოვლენები წარიმართა. სხვათა შორის, ამ მოვლენების წარმმართველი ძალა ყოველთვის ერთი და იგივე იყო, ძალა, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია. მან

*გაგრძელება მე-4 გვ.*

თვალსაზრისი

# საქართველოს დამანგრეველი „ტროიკა“

## 1. რატომ უნდა უყვარდეს ქართველ ხალხს სტალინი?!

ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან დაწყებული, რომელსაც სანქცია მიეცა შესაშედასელი მარქსისტების მიერ სოფ. ბახვში, – იმ დღიდან დღემდე, საქართველოს თავს დასტრიალებს სატანა სამპიროვანი. ეს „ტროიკა“ ჩვენს ქვეყანას მოევლინა ქართული ეროვნული სახელმწიფოს დასანგრევად და თვით მისი მკვიდრი მოსახლეობის – ქართველი ერის მოსასპობად. ჯერ ორმა მათგანმა – სტალინმა და ორჯონიკიძემ, საქართველოს ტერიტორიული დაჩეხვითა და ერის გენოციდით, ეს მისია სანახევროდ შეასრულეს კომუნისტური რეჟიმის დროს, ხოლო მესამე – ანტიეროვნულ და მაფიოზურ ძალებზე დაყრდნობით ყველაფერს აკეთებს ამჟამად ამ მისიის დასაბოლოებლად.

რა თქმა უნდა, ვერცერთი მათგანი (მითუმეტეს, ამჟამად) ვერ შესძლებდა ამ ვანდალური მისიის განხორციელებას, თვით ქართველი ერი თავისი შეგნებითა და ბრძოლისუნარიანობით მოწოდების სიმაღლეზე რომ მდგარიყო მაშინ ან დღეს, და რომ ამ სამეულში საქართველოს უბოროტეს მტრებს ხედავდეს და არა „მამა-მარჩენალებს.“ გამონაკლისი ამ შემთხვევაში მხოლოდ ორჯონიკიძეა, რომელსაც უწიგნური მასა საკუთარ ცოდვებთან ერთად ზურგზე ჰკიდებს სტალინის ცოდვებსაც, უპირველეს ყოვლისა, ქართული მიწა-წყლის გამცემლობის საკითხში, როცა სინამდვილეში ქართველი ერის წინაშე ჩადენილი ყველი ბოროტების თაოსანი იყო სტალინი, ხოლო ორჯონიკიძე, თუმცა თავადაც ბოროტი, მაგრამ ყველგან და ყოველთვის სტალინის ბოროტი ნების ბოროტი შემსრულებული.

მე არ ვაპირებდი ამ თემაზე წერილის დაწერას, რადგან ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის მოღვაწეობის პერიოდში, როცა უამრავი მამხილებელი მასალა იბეჭდებოდა სტალინის მტრობის შესახებ, საქართველოს მიმართ, ვფიქრობდი, რომ ერის ინტელექტუალური ნაწილი მაინც (წითელი ინტელიგენციის გამოკლებით) განთავისუფლდებოდა სტალინის ფანატიკური თაყვანისმცემლობისაგან და არ მეგონა, თუ ზვიად გამსახურდიას ეროვნული იდეების ისეთი ერთგული მიმდევარის მემუარებში, როგორიც ბატონი აკაკი გაწერელია გახლდათ, სტალინის საქებარ ფრაზას ამოვიკითხავდი, ზერელედ დანახულ ილიას რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. არადა, მიუტევებელი შეცდომაა, ეთაყვანებოდე იმ კაცს, ვინც სინამდვილეში მხარში ედგა მახარაძეებს ილიას მკვლელობაში, და ვინც ისე გათელა საქართველო, ვითარცა ველურმა ჯაყომ – მარგო! ვფიქრობ, ყოველ გონიერ მკითხველს კარგად მოეხსენება, თუ ვინ იგულისხმება ჯაყოს პერსონაში, – ვინ – მარგოს



პერსონაში, – და ვინ – ენაბლუ და ალთა-ბალთა თეორეტიკოს-ოჩოპინტრე თემურში. ჰოდა, იმის გამო, რომ ვერ ველევით საქართველოს ამ დამაქცევარსა და საკაცობრიო ჯალათს, საბაბს ვაძლევთ ირგვლივ შემოჯარულ მტრებს ღვარძლის ამონთხევისათვის – „საქართველო განსაკუთრებული ზრუნვით იყო გარემოსილი სტალინის მიერო – ქართველები არც კოლმეურნეობაში შეჰყავდა სტალინს, არც ჯარში გაჰყავდა და არც რეპრესიები უწარმოებია ქართველების მიმართო“. ჩვენი საწინააღმდეგო მტკიცება კი ვერ აღწევს შედეგს, რადგან აი, რას გვეუბნებიან: „თუ სტალინი ისევე ჯალათურად გეპყრობოდათ თქუნდაც, როგორც ჩვენ, მაშ რას მისტიროდით?“ ამიტომ სტალინის ჭირისუფალთა ფანატიკური შოკიდან გამოსაყვანად, არ იქნება ზედმეტი, ერთხელ კიდევ მიმოვიხილოთ საქართველოს წინააღმდეგ სტალინის მტრობის დამადასტურებელი უამრავი ფაქტებიდან თუნდაც რომელიმე საგულისხმო ფაქტი.

დავიწყოთ იქიდან, თუ რამხელა ღვარძლი დევს ქართველი ერის მისამართით გამოთქმული სტალინის ცრუ ბრალდებებში და თვით ქართველი ერის უკიდურესად ყალბ და მტრულ განსაზღვრებაში: „ქართველები მებრძოლი შოვინისტები არიან (შევარდნაძე კი, როგორც ცნობილია, პროვინციელ ფაშისტებად გვნათლავს) – ისინი საშინლად ავიწროებენ სხვებს: სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, აჭარლებს, ოსებს; ქართველები არა ერია, არამედ კონგლომერატია; საქართველოს არ შეუძლია რუსეთის გარეშე არსებობა“. ჯერ ერთი, აიეტიდან და ფარნავაზიდან მოყოლებული, საუკუნეთა მანძილზე, როცა დედამიწის ზურგზე რუსის სახსენებელიც არ იყო, მაშ როგორ არსებობდა საქართველო? ანდა, დავითისა და თამარის ეპოქაში, როგორ მიაღწია საქართველომ თავისი ეკონომიკური, კულტურული, სამხედრო და პოლიტიკური მასშტაბებით უმაღლეს მწვერვალს, რუსის ჩექმა რომ არ დაბრაგუნობდა ქართულ მიწაზე? უკიდურესი ცინიზმი, შხამი და ღვარძლია ჩაქსოვილი აგრეთვე სტალინის იმ სიტყვებში, როცა იგი აჭარლებს ქართველებისაგან აცალკევებს, არაქართული მოსახლეობის მჩაგვრელებად გვაცხადებს და შემთხვევით შეკოწიწებულ ხალხთა გროვას გვიწოდებს მთელი მსოფლიოს მიერ აღიარებულ სამიათასწლოვანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცივილიზაციის მქონე ქართველ ხალხს.

ამ ფაქტიდან გამომდინარე, – სტალინის სიყვარული, ესაა პატრიოტიზმის მახინჯი გამოვლინება, რაც შინაარსს უკარგავს ნამდვილ, ეროვნულ პატრიოტიზმსა და თვით ერის დამოკიდებულებას სამშობლოსადმი თავდადებული, ნამდვილი ეროვნული მოღვაწეების მიმართ. სტალინს კი არათუ არაფერი აკავშირებდა ეროვნულ სიყვარულთან, პირიქით, იგი ილაშქრებდა ერების არსებობის წინააღმდეგ და მოითხოვდა კაცობრიობის გაერთიანებას ენით, ზნით, აზროვნებით, ხასიათითა და ა.შ. რაც სავსებით დაუკარგავდა ყოველ ერს

*გაგრძელება მე-8 გვ*

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### პოლიცია დემოკრატიის წინააღმდეგ



17 ოქტომბრის საღამოს თაბუკაშვილის ქუჩაზე მთაწმინდის ოლქის მაჟორიტარი კანდიდატის ნოდარ ნათაძის საარჩევნო ფურცლების გავრცელების დროს პოლიციამ დააკავა და განყოფილებაში „წარადგინა“ ქალბატონი ნ. ელიზბარაშვილი. პოლიციის ეს „სიფხიზლე“ ქალბატონ ნ. ელიზბარაშვილს კარგა დიდი დროის გაცდენად და ნერვების ფრიად არასასიამოვნო დატვირთვად დაუჯდა. მოგეხსენებათ, რა მძიმე ტვირთია პიროვნებისათვის უსამართლობა და ხელისუფალთა თავხედობა საკუთარ ქვეყანაში! „დამნაშავის“ რეგისტრაცია მარტივად დაფორმულირდა: იგი დაკავებულიაო „ნოდარ ნათაძის არჩევნებთან დაკავშირებით“.

### „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა“... ანუ ხელისუფალთა ფუჭი დაპირება...



ხელისუფალთა სიტყვა და საქმე ნამეტანი რომ დაშორიშორებულია ერთმანეთისგან, ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ მმართველი პარტიის დაპირებამ 24 საათიანი ელექტროენერგიის შესახებ ჩაილურის წყალი დალია, ანუ სიტყვა დაპირებად დარჩა, მაგრამ ელექტროენერგიისა კი რა მოგახსენოთ... განაპირა უბნებს, ანუ ხალხში როგორც ამბობენ, „ზანგების უბნებს“ კვირაზე მეტია, რაც დენს „კანტი-კუნტად“ აძლევენ და ხშირად დილით გამორთული დენი საღამოს თუ მოვა ხოლმე.

ახლა, მოდით, ლოგიკურად შევხედოთ სიტუაციას: ხელისუფლება, რომელიც თავს იკლავს, გინდათ თუ არ გინდათ, მაინც ჩვენ მოგვეცით ხმაო, არჩევნების წინ დენს ვერ თუ არ აძლევს იმ ადამიანებს, რომელთა ხმებზეცაა მისი ბედი დამოკიდებული არჩევნებში (თუ, რა თქმა უნდა, არ გააყალბეს) და არჩევნების შემდეგ, როცა, ვთქვათ, თავისას განაღდება, ანუ მის მიერვე უკვე წინასაარჩევნოდ მოტყუებულ ამომრჩეველთაგან ნდობით აღჭურვილი დიდის რიხით შევა პარლამენტში, მაშინ გაახსენდება ვითომ მისი ამომრჩეველი და დაპირებული დენი? მეტი არაა ჩვენი მტერი...

### ვისი სიაა უფრო სუფთა?



მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, კონკურენტების სია სავსეა გადამდგარი მინისტრებითა თუ თანამდებობის პირებით, რომლებმაც ტომრებით ფული იშოვესო.

ამაზე შეიძლება ითქვას, რომ ეს მინისტრები მიხეილ სააკაშვილის პარტიამ დანიშნა და ტომრებით ფულის შოვნის საშუალებაც მან მისცა და სხვას რას უჩივის, საოცარია.

### აღდგომა და ხვალეო...

ქალბატონმა მედეა მეზვრიშვილმა განაცხადა: კახეთი არჩევნებზე თავის სიტყვას იტყვის და ხმას სმკ-ს მისცემსო. ამაზე შეიძლება ითქვას, რომ კახეთი თავის სიტყვას ყოველთვის ამბობდა ბრძოლის ველზე და გამარჯვებასაც აღწევდა და არ გვგონია მტრისგან დამარცხებულ და ტერიტორიების დამკარგავ პარტიას მისცეს ხმა.

### სკამის მოყვარულთა პარტია გაიმარჯვებდა

ბატონმა ბესო ჯუღელმა მშვენიერი აზრი გამოთქვა, „არჩევნებში თუ ვერ გავიმარჯვე, ტრაგედია არ არის, ტრაგედია არის მხოლოდ სიკვდილი, ხანდახან ისიც არ არის ტრაგედია“. ეს ფრაზა არჩევნებში მონაწილე ყველა ძალამ რომ გაითავისოს, მაშინ, ალბათ, არჩევნები სამოქალაქო ომს არ დაემსგავსებოდა, მაგრამ ქართველები იმდენად ყოფილან სკამის მოყვარულნი, რომ თუ შეიძლება იყოს სკამის მოყვარულთა პარტია, ალბათ, ის იქნება ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი.

არჩევნები - არჩევნები

# შემოხაზეთ №6 ბლოკი „სახალხო ფრონტი-ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“

ინტერვიუ

*ნოდარ ნათაძე:*

## აბაშიძე მირჩევნია თუ შევარდნაძე? ეს იგივეა, კაცს რომ ჰკითხო: რა გირჩევნია, შეგბრაწო თუ მოგხარშო...

*მე-2 გვერდიდან.*

მე და ჩემი და, მაია, დავყავდით იმ სკოლაში. მე-2 კლასიდან უკვე მე-18 სკოლაში ვსწავლობდი, ფილარმონიის წინ რომაა. მგონი, ახლა 51-ეა.

სამამულო ომად წოდებული ომი რომ დაიწყო, იქ ჰოსპიტალი გახსნეს და სკოლები შეაერთეს. ყოფილი მე-7 ვაჟთა, ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე სკოლაში დავამთავრე 1947 წელს და უნივერსიტეტში გავაგრძელე სწავლა ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1952 წელს დავასრულე. მერე ასპირანტურაში ვსწავლობდი. ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი ვარლამ თოფურია. სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა, 1965 წელს.

1957 წლიდან ვმუშაობდი ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ქართველური ენების განყოფილებაში. ამის შემდეგ, რამდენიმე წელს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში ვიყავი. 1969 წლიდან ფილოსოფიის ინსტიტუტში ვმუშაობ.

პაპაჩემი, გრიგოლ ნათაძე, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრი გახლდათ.

მამაჩემი, რევაზ ნათაძე, უნივერსიტეტის პროფესორი იყო, მუშაობდა აკადემიაში, ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. დააარსა გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილება. შეთავსებები რომ აკრძალეს, აკადემიიდან წამოვიდა და უნივერსიტეტს შერჩა. გარდაიცვალა 1984 წელს.

დედა, ტატიანა, იგივე თინა, განათლებით ეკონომისტი გახლდათ, მაგრამ ომის დროს, როცა ცხოვრება ძალიან გაჭირდა, სამსახურს თავი დაანება და დიასახლისობდა.

მყავს და, ჩემი ტყუპისცალი, მაია ნათაძე, ამჟამად უნივერსიტეტის პროფესორი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.

მყავს მეუღლე, ნანა, მუშაობს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, გამოთვლითი მანქანების სპეციალობით.

მყავს ორი ვაჟი, ისინიც ტყუპები არიან, ერეკლე და ლევანი. ერთი ფსიქოლოგია, მეორე – არქიტექტორი.

დავუბრუნდები სკოლის პერიოდს. იმ წლებსა და, საერთოდ, იმ პერიოდში, რომელშიც ჩვენს თაობას უწევდა სწავლა, მასწავლებელი და ის დაწესებული, რომლის ელემენტიც მასწავლებელი გახლდათ, ანუ სკოლა – ოფიციალური დაწესებულება – არ განიხილებოდა და ვერ განიხილებოდა, როგორც ადამიანის აღმზრდელი, ბავშვზე მზრუნველი და მისი პიროვნების ჩამომყალიბებელი. ის განიხილებოდა, როგორც მოწინააღმდეგე ბანაკი, სახელმწიფოს ორგანო, რომელიც დაინტერესებული იყო ადამიანის გათახსირებაში, დათრგუნვაში, დამბეზღებლად აღზრდაში. დაწყებით კლასებში ბავშვებს ამის გაცნობიერების უნარი, რა თქმა უნდა, არა აქვთ. მაგრამ ამის ინტუიტურად შეცნობის უნარი მეტნაკლებად გააჩნიათ.

სხვათაშორის, მაშინდელი სკოლის ასეთ შეფასებაში არავის შეჰპარვია ეჭვი. აი, ასეთ გარემოში გაიზარდა რამდენიმე თაობა, მათ შორის ჩვენც.

ვინც მე კარგად მახსოვს და ვინც პატივისცემით მახსოვს, ის პედაგოგები აღიქმებოდნენ, როგორც რეჟიმისადმი დაპირისპირებული პიროვნებები. კარგად მახსოვს ქართულის მასწავლებელი სონიკო ფხალაძე. ქართულის მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ვარო ვარდიაშვილი, ნინო ხოფერია. მორალური თვალსაზრისით გამორჩეული პიროვნება იყო მიქაბერიძე, სამწუხაროდ, სახელი აღარ მაგონდება.

უნივერსიტეტიდან ფეიერვერკივით მაგონდება კოტე ბაქრაძის ლექციები. ეს იყო უმაღლესი კვალიფიკაციის ფილოსოფოსი, ფილოსოფიის პროფესორი. უფრო ზუსტად, პროფესორი არ იყო, და აი, რატომ: მანამდე ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“, მაგრამ „ცეკას ტუზის“ მითითებით, დისერტაცია ჩაგდებულ იქნა!..

მერე და მერე, პოზიცია გამოსწორდა, გარდაცვალების წინ უკვე აკადემიის წევრიც გახლდათ და ყველა ტიტული და რეგალია მიღებული ჰქონდა!

ბატონ კოტეს ედმუნდ ჰუსერლთან ჰქონდა სემინარების პრაქტიკა გავლილი. ჰუსერლი კი თანამედროვე ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ბატონ კოტეს შეეძლო ფილოსოფიის ურთულეს პრობლემებზე ელაპარაკა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საუბრის ტონალობით, რაც, რასაკვირველია, საგნის ძალიან ნათელ ხედვაზე მეტყველებდა. ას წელიწადსაც რომ ვიცოცხლო, არ განმიქარვდება ის შთაბეჭდილება, რომელიც იმ ორ სემესტრში მივიღე!

მაგრამ ასეთი „გამონაშუქები“ გამონაკლისი იყო. საერთო ატმოსფერო კი, რომელშიც ჩემი თაობა იზრდებოდა, დღეს ძნელი წარმოსადგენია. ეს გახლდათ აბსოლუტურად შეუზღუდავი, უსაზღვრო დიქტატურის ატმოსფერო.

მოგიყვებით ერთ შემზარავ ეპიზოდს: კიროვის ბაღში გზები წითელი აგურის ნაფშვენებით იყო

*გაგრძელება მე-5 გვ*



*ნოდარ ნათაძე ვაჟიშვილებთან – ლევან და ერეკლე ნათაძეებთან ერთად*

*თამარ ჩხეიძე:*

## ეს იქნება პრორუსული და პროკომუნისტური მენტალიტეტის გამომხატველი პარლამენტი

*მე-3 გვერდიდან.*

ისიც შეძლო, რომ ეროვნულ მოძრაობაში გაბატონებულიყო ისეთი მიმდინარეობები, რომლებიც შემდეგ გარკვეულწილად მოახდენდნენ ამ ღირებულებების დევალვაციას, თანაც დაუკარგავდნენ ქმედითუნარიანობას ხელისუფლებაზე ზემოქმედების ისეთ საშუალებებს, როგორიცაა საპროტესტო აქციები და ა.შ.

*– უამრავი სხვადასხვა მიმართულების პარტია იღებს ამ არჩევნებში მონაწილეობას. გამომდინარე აქედან, ალბათ, მივიღებთ ძალიან ჭრელ პარლამენტს. როგორ წაადგება ასეთი პარლამენტი საქართველოს?*

– სამწუხაროდ, ალბათ, პირიქით მოხდება. არსებობს ძალზე დიდი საშიშროება, რომ ეს იქნება ერთბუნებოვანი პარლამენტი, ფაქტიურად, პრორუსული და პროკომუნისტური მენტალიტეტის გამომხატველი პარლამენტი. პროდასავლურზე ექნება პრეტენზიები უმეტესობას, მაგრამ პროდასავლურობა გამოიხატება არა ლოზუნგებში, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ზოგჯერ შეგნებულად ეფარება, არამედ რეალურ ქმედებებში. რეალური ქმედებებით და ბუნებით კი არსებული ხელისუფლება და ალორძინების კავშირი არსებით საკითხებში ყოველთვის გამოხატავენ რუსეთის იმპერიულ ინტერესებს.

*– თბილისსა და ბათუმს შორის წარმოქმნილი უთანხმოება კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს. რაში ხედავთ ამ უთანხმოების მიზეზს და თუ არის ეს მოგვარებადი?*

– ესეც ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა და გამოწვეულია იმით, რომ თბილისშიც და ბათუმშიც იმყოფება პრორუსული ძალა, რომელთაც აწყობთ ასეთი დაპირისპირების პროვოცირება ისევ და ისევ საქართველოს ფედერალიზაციისა და დაქუცმაცების გეგმის ფარგლებში. ამ პრობლემის გამოსავალიც არის – სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძალის ხელისუფლებაში მოსვლა.

*– ყველა პარტია თუ ბლოკი ტელევიზიით, რადიოთი, სარეკლამო რგოლებში თავისი ლოზუნგით გამოდის. ჩამოთვლას აღარ დავიწყებ, მე. მგონი, საზოგადოებამ უკვე დაიზეპირა. თქვენი ლოზუნგი რა არის?*

– თუ ლოზუნგის ფორმით შევეცდებით გამოხატვას, მე პირადად ვფიქრობ, ყველაზე ბუნებრივი, რეალური ლოზუნგია – ნორმალური ცხოვრება ნორმალურ ქვეყანაში. ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი. ამის მიღწევა სრულიად შესაძლებელი და რეალიზებადია. ამისთვის ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო. არსებობს უკვე აპრობირებული მეთოდები, ჯანსაღ აზრზე და საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდებზე დაფუძნებული პროგრამა, რის შესრულების შემთხვევაშიც ქვეყანა საკმაოდ მოკლე ხანში დაადგება ნორმალური განვითარების გზას. თუ ეს არ კეთდება, იმიტომ კი არა, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს არ იცის და არ შეუძლია, უბრალოდ, ხელისუფლება გამოხატავს სხვა ღირებულებებს, სხვა მიზნებს ეფუძნება და არა ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ამიტომ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში სრულიად განსხვავებული ბუნების ძალით, როგორც ეკონომიკის აღორძინება არის აბსოლუტურად შესაძლებელი, ასევე შესაძლებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოკლე ხანში და საერთოდ შესაძლებელია ქვეყანა დაადგეს ნორმალური განვითარების გზას. ლოზუნგი არაა მთავარი. მთავარია რეალურად რა გაკეთდება. საქმით მოქალაქეთა კავშირი და მათი ხელმძღვანელი რა საქმიანობას ეწევა, სახეზეა, ასევე მათი მოქმედების შედეგებიც. არავითარი რეალური საფუძველი არ არის, რომ ვიფიქროთ, ამ არჩევნების შემდეგ ისინი აბსოლუტურად შეცვლიან კურსს, შეუდგებიან სახელმწიფოებრივი ინტერესების გამოხატვას, ისევე, როგორც არ არსებობს საფუძველი, ადამიანმა დაიჯეროს ზოგიერთი პოლიტიკოსის არაგულწრფელი თუ ინფანტალური განცხადება მათი პროდასავლური კურსის შესახებ. პროდასავლური კურსი არ შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ ლოზუნგში და ფრაზებში, ის უნდა გამოიხატებოდეს კონკრეტულ ქმედებებში. კონკრეტული ქმედებებით კი ხელისუფლებას არ აწყობს წარმოების განვითარება. ეს შეიძლება არ აწყობდეს ორი მიზეზით. პირველი, რომ ქვეყანა არ იყოს დამოუკიდებელი ეკონომიკურად და მეორე – ავტორიტარულ სწრაფვებთან შეუთავსებელია ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი სოციალური ფენის არსებობა. ასევე სახეზეა, რომ რუსეთს რჩება სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე. მოქკავშირი რომ აცხადებს, რუსული ჯარი გავიყვანეთო, უბრალოდ, სასაცილოა. რუსეთს უხდება გარკვეულწილად კავკასიაში თავისი ყოფნის სახის შეცვლა და შემცირება. ეს არ არის დამოკიდებული ჩვენი ხელისუფლების ნება-სურვილზე, ისევე, როგორც ხელისუფლებას დიდი სურვილი ჰქონდა დარჩენილიყო სამანეთო ზონაში და ყველაფერს აკეთებდა ამისათვის, მაგრამ რუსეთმა თავად ვერ შეძლო სამანეთო ზონის შენარჩუნება და „გამოაგდო“ საქართველო. როგორც არ შეიძლება მოქკავშირის დამსახურებად ჩავთვალოთ ეროვნული ვალუტის შემოღება, ასევე არ შეიძლება სასაზღვრო ჯარის ნაწილობრივი გაყვანაც. პირიქით, მოქკავშირი და შევარდნაძე ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეინარჩუნოს რუსეთის სამხედრო ყოფნა საქართველოში.



*– კოდორის ხეობაში მომხდარი ბოლო ინციდენტი – გაეროს წარმომადგენელთა მძევლად აყვანა – ერთგვარ წინასაარჩევნო კამპანიადაც იქნა აღქმული. თქვენ რა შეფასებას მისცემთ?*

– დოკუმენტურად მე არანაირი დამადასტურებელი ინფორმაცია არა მაქვს, მაგრამ ასეთ შთაბეჭდილებას ნამდვილად ახდენს. პრეზიდენტმა თავიდანვე განაცხადა, რომ მძევლებს არაფერი მოუვაო. როგორ შეიძლებოდა მძევლად აყვანისთანავე დანამდვილებით სცოდნოდათ ეს, როცა მისგან უკონტროლო ბანდიტებმა აიყვანეს გაეროს წარმომადგენლები. ამ ფრაზაშიც ჩანს, რომ ყველაფერი საეჭვოა და ეს ძალები კონტროლდება ხელისუფლებისგან, მეტნაკლებად აწყობთ მათ წინასაარჩევნო პერიოდში მსოფლიო და ქართული საზოგადოებრიობის შეშინება მოსალოდნელი დესტაბილიზაციებით, რის ფონზეც ცდილობენ ძალაუფლების შენარჩუნებას.

*– არჩევნებში გამარჯვების და პარლამენტში მოსვლის შემთხვევაში რა ძირითადი პრინციპები გაქვთ?*

– პირველ რიგში ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და ეკონომიკა. ეს ორი ყველაზე უფრო მწვავე პრობლემაა, რომელიც მოგვარებადია საკმაოდ მოკლე ხანში, ოღონდ მიზანდასახულობაა საჭირო. ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საჭიროა, რომ ანტიქართულმა დაჯგუფებამ და საერთოდ, მსოფლიო საზოგადოებამ იცოდეს, რომ საქართველოს ხელისუფლება ამას რეალურად აპირებს, რადგან ერთადერთი რეალური გარანტი დღევანდელი სიტუაციის შენარჩუნების ისევ დღევანდელი ხელისუფლებაა. თუკი საქართველოს ხელისუფლება ამას რეალურად დააპირებს და ეს სხვებისთვისაც ცნობილი გახდება, დანამდვილებით ვიცი, რომ ის ანტიქართული ძალა, რომელიც არსებობს ცხინვალსა თუ სოხუმში, აბსოლუტურად არათანაბარზომიერია იმ ძალებისა, რომელსაც საქართველო დღეს ფლობს. მათ არ შეუძლიათ თავიანთი ხელისუფლების შენარჩუნება, რომ იცოდნენ, საქართველო თუნდაც დღევანდელი პოტენციალით სერიოზულად აპირებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

რაც შეეხება რუსეთის ფაქტორს, მისი განეიტრალება ყოველთვის შესაძლებელია დიპლომატიური გზით, სერიოზული განცხადებებით, რომ რუსეთი დგას ყოველივე ამის უკან. დღევანდელ პირობებში რუსეთს პირდაპირი ჩარევა და აგრესია არ შეუძლია იურიდიულად დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ. ამგვარად, მისი როლი შეიძლება უაღრესად შეზღუდული იყოს, თუკი ხელისუფლება ამას მოინდომებს. სოხუმსა თუ ცხინვალში მყოფი ანტიქართული ძალის გაუვნებელყოფა საქართველოს ყოველთვის შეუძლია და ეს ყველაზე უფრო მშვიდობიანი გზაა, რადგან ასეთ შემთხვევაში, ფაქტიურად, ომი არ შედგება.

რაც შეეხება ეკონომიკას, ხელისუფლებას არ აწყობს წარმოების განვითარება ზემოთაღნიშნული მიზეზების გამო. ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იქნება ხელსაყრელი პირობების შექმნა ეროვნული წარმოების განვითარებისათვის. ამისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია საგადასახადო სისტემის შეცვლა და გადასახადების შემსუბუქება.

*– დაბოლოს, ქალბატონო თამარ, ქალი პოლიტიკაში არცთუ ისე იოლი საქმეა. ეროვნული მოძრაობის დაწყებიდან თქვენ პოლიტიკას არ ჩამოშორებიხართ. არ გიძნელდებათ?*

– რა თქმა უნდა, პოლიტიკა მარტივი საქმე არაა, მითუმეტეს, დღევანდელ პირობებში. მე ამას ჩემს მოვალეობად აღვიქვამ.

ამირტა ჯანაშია

ინტერვიუ

*ნოდარ ნათაძე:*

# აბაშიძე მირჩევნია თუ შევარდნაძე? ეს იგივეა, კაცს რომ ჰკითხო: რა გირჩევნია, შეგბრანო თუ მოგხარშოო...

*მე-4 გვერდიდან.*

მოფარული და აკრძალული იყო ველოსიპედის ტარება. ერთხელ 12 წლის ბიჭი დაატარებდა ბაღში ველოსიპედს. დაუსტვინა მილიციელმა. არ გააჩერა, ესროლა ზურგის მხრიდან და ადგილზევე მოკლა!..

ეს საზარელი ფაქტი არავის გაჰკვირვებია, რადგან იმჟამინდელი სიტუაცია ასეთი იყო – სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ წასვლა შეუძლებელი გახლდათ!..

კიდევ ერთი ფაქტიც: ერთხელ, მე და ჩემი მეგობარი, თემო ნაცვლიშვილი, დაახლოებით 12-13 წლის ბიჭები, პლეხანოვზე, უბილეთოდ ვიპარებოდით კინოში. ერთი ვიღაც რუსი მილიციელი იყო, სქელი და ჩაფსკვნილი. დაჭერა მოგვინდომა. გავძვერ-გამოვძვერით და გავექეცით. მაინც შევაღწიეთ კინოთეატრში. რომ გამოვდიოდით, თემურმა ნიშნი მოუგო: ხომ შემოვედითო, დაგინდეთ, თორემ დაჭერა შემეძლოო. თემო ეუბნება: გავიქცეოდი და ვერაფერსაც ვერ დამეწეოდიო! დაირტყა ხელი იარაღზე. – აი, ეს დაგეწეოდაო!..

ჩვენი თაობა, თუ რამე ღირებულს იძენდა, იძენდა ოჯახურ წრესა და ქუჩაში, თორემ სკოლაში კაცობის ელემენტს ვერაფერს შეიძენდი. ქუჩა და ერთმანეთის წრე, რომელიც ქუჩისგან დიდად განსხვავდებოდა.

ერთი დამრიგებელი გვყავდა, გვარი არ მინდა დავასახელო. ჰქონდა „დიდი კაცების“ კულტი და დამზეხლებლების კულტი. ჩვენს კლასში ორი ბავშვი იყო, ერთი ქალი და ერთი ვაჟი, რომელთა მამებიც „დიდი კაცები“ იყვნენ. ბიჭის მამა მინისტრი იყო, მაშინ „სახალხო კომისარს“ ეძახდნენ, გოგოსი კი – ცეკას განყოფილების გამგე. ერთხელაც იყო, ამ გოგონამ ხელი აიწია და დამრიგებელს შესჩივლა – მაჩაბელმა „ვირიშვილო“ მითხრაო. გიჟი მაჩაბელი მასთან იჯდა მერხზე. მერთხეში ვიყავით, როგორც მახსოვს, დამრიგებელმა ააყენა მაჩაბელი და „ნოტაცია“ წაუკითხა: ამის მამას პარტია ენდობაო, მთავრობა ენდობაო და შენ იმის შვილს „ვირიშვილოს“ რომ ეუბნები, რას ფიქრობო! დაფრთხა მაჩაბელი და ეუბნება: არა მასწ, მამაზე არ მითქვამს, დედაზე ვუთხარიო!..

აი, ასეთ ვითარებაში ვიზრდებოდით და ვკაცდებოდით, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის სულისშემხუთველ გარემოში და, ბუნებრივია, ჩვენში ბავშვობიდანვე ღვივდებოდა რეჟიმისადმი მწარე, დაუმორჩილებლობისა და სიძულვილის გრძნობა. რა თქმა უნდა, მეტნაკლებად.

*– როდიდან თვლით თავს ეროვნულ მოძრაობაში?*

– აკი მოგახსენებთ, ბავშვობიდანვე. რადგან ჭირს რაიმე მიჯნის გამოყოფა, რაიმე ერთი მოვლენის დასახელება, როგორც საზღვრის.

ასე რომ, ჩემი თაობის კაცისათვის იმ კითხვის დასმა, თუ სახელდობრ, როდის ჩაება ეროვნულ მოძრაობაში, ლამის ულოგიკოა, რადგან ეს დედის რძესავით აქვს მას შეწოვილი და შესისხლხორცებული.

*– ხშირად გვსმენია, 1956, 1989 და 1991-92 წლების მოვლენებს უცხო სახელმწიფოებიდან მართავდნენო, ინსპირირებული იყოო. თქვენ რას იტყვით?*

– 1956 წლის 9 მარტს, თითქოს, ინსპირაცია არ უნდა დასჭირვებოდა, რადგან ქართველობის ეროვნული თავმოყვარეობა შელახული იყო.

მაგრამ არსებობს ასეთი ვერსიაც: ხრუშჩოვს გულზე არ ეხატებოდა ის რამდენიმე ნაციონალური დივიზია, რომლებიც სტალინის დროს იქნენ დაკომპლექტებულნი ბალტიისპირეთის, შუა აზიისა და საქართველოს რესპუბლიკებში. იგი ეძებდა საბაბს, რათა დაეშალა ეს დივიზიები.

1956 წლის მარტის მიტინგებზე ერთი პიროვნება, რომელიც მაინცდამაინც დახვეწილი ქართულით ვერ ლაპარაკობდა, მოუწოდებდა ხალხს, ნუ გეშინიათ, ჩვენთანაა მოსკოვი, ლენინგრადი, ბალტიისპირეთი.



ნოდარ ნათაძე მეუღლესთან ერთად

ხალხის დახოცვიდან კვირაც არ იყო გასული, რომ ყველა ნაციონალური დივიზია გაუქმებული იქნა.

სხვათაშორის, იმ პიროვნება, რომელიც ასე აგრესიულად მოუწოდებდა ხალხს, ტრაგედიიდან ერთი კვირის შემდეგაც დავინახე ქუჩაში და, დაახლოებით, 20 წლის შემდეგაც მოვკარი ერთხელ თვალი, ჩიტაძის ქუჩაზე რომ ძველი ცეკას შენობა იყო, იმის წინ, ვიღაცეებს ემასლაათებოდა!..

ასე რომ, ინსპირაციასაც ვერ გამოვრიცხავთ, რასაკვირველია!

რაც შეეხება 1989 წლის 9 აპრილს, ამ ბარბაროსულ აქციას, იგი რასაკვირველია, მოსკოვმა მოიაზრა და კიდევაც ასე სასტიკად განახორციელა. ეს იყო 25 თებერვლის აქციის პასუხი.

8 აპრილს თელავში გახლდით. მიტინგი ჩავატარეთ იქ პედინსტიტუტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით.

ღვინო ძალიან მომეკიდა. თბილისში გვიან დავბრუნდით. ვიფიქრე, წავიძინებ ცოტას და მერე მთავრობის სახლთან ჩავალ-მეთქი. ღრმად ჩამძინებოდა, მაგრამ 5-ის ნახევარზე ჩემმა ცოლისძმამ გამაღვიძა და მითხრა, საშინლად დაგვარბიესო. მაშინვე გამოვიქეცი. გზად, უნივერსიტეტთან უამრავი შეშფოთებული ხალხი ირეოდა. მუხრანს შევხვდი, მაჭავარიანს. მითხრა, სასტიკად დაგვარბიეს, მსხვერპლიცაა, მგონი, ათ კაცზე მეტი უნდა იყოსო.

პირადად მე, იმ დღეებში ასე გაგრძელებული მიტინგის გამართვა საჭიროდ არ მიმაჩნდა, ჩემი იდეა იყო, მიტინგი შეგვეწყვიტა იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას გამოვგლიჯავდით რამდენიმე ისეთ პირობას, რომლებიც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა. ვთქვათ, იგივე მიწების დარიგება გლეხებზე და ა.შ.

ასეთი რამ არ მოხერხდა, ბევრი შეცდომა იყო, ჯერ ერთი, აუცილებლად უნდა გვყოლოდა დაზვერვის სამსახური, რომელიც დროულად მოგვაწვდიდა რუსის ჯარის გადაადგილების მარშრუტს ცხვარიჭამიადან და ალექსეევკიდან. გარდა ამისა, მოვალეობა იყო, ჩემის აზრით, როდიონოვის, კოჩეტოვისა და სხვათა დასჯა, ფიზიკური განადგურება. ჩვენ რომ მაშინ ეს გაგვეკეთებინა, რაც მას შემდეგ საქართველოში მოხდა, აღარ მოხდებოდა. ჩვენ ანგარიშს გაგვიწევდნენ. თორემ რა, ნახეს, რომ, თურმე, უნდილები ვყოფილვართ. ჩვენი დღევანდელობა ამის დასტურია. ჩვენ დღესაც ყველა ისე გვიყურებს, როგორც არათავდაცვისუნარიან ერს.

9 აპრილს, საღამოს, შევიკრიბეთ ანჩისხატის ეზოში. სწორედ მაშინ შემორახრახდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან კიდევ რამდენიმე ათეული ტანკი და „ბეემპე“ კომენდანტის საათისათვის. იქ ბევრი ხალხი ტრიალებდა, ორგანიზატორები არ იყვნენ იქ, ზოგი უკვე დაკავებული იყო, ზოგიც – მიმალული. ვინც იქ შევიკრიბეთ, იმათში ყველაზე ცნობილი, სახით, მე გახლდით. მოვიდა ჩემთან ერთი ახალგაზრდა და მეუბნება: არის ჯგუფი, რომელსაც შეუძლია ცხვარიჭამიაში რომ მკვლელები სხედან, იმათი ჰაერში „აწევა“. გავაკეთოთ ეს თუ არაო? მე ვუთხარი, არა – მეთქი. არ ვიცი, ვინ იყო. იქნებ პროვოკატორიც! მერე ბევრჯერ ვიყოყმანე – ვინანო თუ არ ვინანო – მეთქი! ეს საკითხი ჩემთვის დღესაც ღიაა. ეჭვი მეპარება, რომ ასეთი ჯგუფი მართლაც არსებობდა, მაგრამ, თუ არსებობდა, მისი წინადადება, მსხვერპლის მიუხედავად, დიდ პლიუსსაც შეიცავდა!

*– რამდენიმე სიტყვით, 1991-92 წლების მოვლენებზეც, თუ შეიძლება!*

– არ ვიცი, ეს ფაქტი ცნობილია თუ არა თქვენთვის მკითხველებისათვის: როდესაც, 6 იანვარს, პრეზიდენტი გამსახურდია მხლებლებითურთ დედაქალაქიდან განდევნილ იქნა და მოსაკლავად მდევრებიც დაადევნეს (ორთაჭალაში ხომ დაცხრილეს ავტობუსი!), ამის შემდეგ, პირადად ჩემი ინიციატივით, ამას ხაზს ვუსვამ, პირადად ჩემი ინიციატივით, ექვსჯერ ვცადეთ უზენაესი საბჭოს შეკრება. ვერც ერთხელ ვერ მივედით ქვორუმამდე. ჩემი მიზანი იყო, რომ უზენაეს საბჭოს გამოეცხადებინა, რომ ის არსებობს, განეცხადებინა, უმაღლესი ხელისუფლება ახლა მე ვარო! რაც უნდა ექნათ კიტოვანს, სიგუასა და იოსელიანს, ამის გაკეთება აუცილებელი იყო. მათ გააქციეს პრეზიდენტი, მაგრამ, თუ უზენაეს საბჭოსაც გარეკავდნენ, მსოფლიო თანამეგობრობის თვალში ეს მეტისმეტად პირდაპირ პუტჩად გამოჩნდებოდა! თავისი ნებით მიმალულსა და შინ მშვიდობიანად დაბანაკებულ უზენაეს საბჭოს დარბეული და დახვრეტილი უზენაესი საბჭო სჯობდა ჩვენივე ქვეყნის სტატუსისათვის და ერის პრესტიჟისათვის.

ექვსჯერ მოვიწვიეთ საბჭო და ვერა და ვერ შედგა ქვორუმი! მინიმუმი, ოთხად ოთხი კაცი გვაკლდებოდა ხოლმე. ხოლო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, აკაკი ასათიანი, ერთხელ ძლივძლივობით მოვიყვანეთ, ხუთიოდე წუთს ნემსებზე იჯდა, მერე ადგა და გავარდა!..

მაშინ გამოვაქვეყნე წერილი და ვთქვი, რომ ასათიანი დეზერტირია! ის ფაქტი, რომ ის ახლა კიდევ პოლიტიკაში დამკვიდრებას ლამობს, ცოტა არ იყოს ულოგიკოა.

სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ ამ გადამტრიალებლებმა: სიგუამ და კიტოვანმა და მერე მიერთებულმა იოსელიანმა არ განაცხადეს ოფიციალურად, რომ საქართველოს ჰყავს თავისი უზენაესი საბჭო ანუ ჰყავს უზენაესი ხელისუფლება, ეს რომ არ განაცხადეს ოფიციალურად, მოწმობს, რომ ისინი იყვნენ არა ხელისუფლებისათვის მებრძოლნი, მით-უმეტეს, არა დემოკრატიისთვის მებრძოლნი, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, უცხოეთის ძალების დავალების შემსრულებლები – იმ ქვეყნისა, რომელსაც სურდა. საქართველოს აღარ ჰყოლოდა ლეგიტიმური ხელისუფლება და ისე ეტრიალებინა საქართველოს ბედი, როგორც მოეპრიანებოდა.

*– როგორია თქვენი აზრით ის ოპტიმალური პოზიცია, რომელიც არ ჩააბამს საქართველოს არც შიდაეთნიკურ და არც გარესახელმწიფოებრივ კონფლიქტში?*

– ჩვენს გარშემო ზოგან ანთია უკვე ომის ცეცხლი, ზოგან ახლა ინთება. ანთია უკვე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ახლა აინთო ჩეჩნეთში და ალბათ, დაღესტანსაც მოედება. არავინ იცის, რა მოხდება დასავლეთ კავკასიაში. რუსეთმა როსტოვში დაფუძნებული სამხედრო ოლქის შტაბი ვლადიკავკაზში გადმოიტანა. საბრძოლო მოქმედებების თეატრად. გულისხმობს ამიერკავკასიას. თურქეთის ოთხი არმიიდან ორი სწორედ ამიერკავკასიაზეა დამიზნებული. ასე რომ, რუსეთი და თურქეთი ემზადებიან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ომისათვის.

საქართველოს ერთგულ ხელისუფლებას დიდი ალბათობით შეუძლია, რომ საქართველო არ გადაიჩეხოს ამ ცეცხლში, რომ საქართველო არ ჩაება ომში, რომელიც მის გარშემო მზადდება. მაგრამ ეს შეუძლია მხოლოდ ერთგულ ხელისუფლებას და არა მარიონეტულ ხელისუფლებას, როგორიცაა შევარდნაძის ხელისუფლება. მოღალატე ხელისუფლებას, როგორიცაა შევარდნაძის ხელისუფლება, ეს არც უნდა და არც შეუძლია!

მე დიდი შიშით მოველი, რომ შევარდნაძე ჩააბამს საქართველოს ამ მოსალოდნელ ომში, ჩააბამს გარანტირებულად წაგებულის, ანუ რუსეთის მხარეზე. ისევე, როგორც წინა ომის დროს, 1994-96 წლების რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს, შევარდნაძე ამჯერადაც არ გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიის არც ერთი გოჯი არ იქნება გამოყენებული საბრძოლო მოქმედებისათვის ჩეჩნეთში. ამიტომ გაჩნდება ეჭვები, რომ საქართველოში არსებული რუსეთის ბაზები გამო იყენება ჩეჩნეთის დასაბომბად!

აუცილებლად უნდა გაკეთდეს ასეთი განცხადება: იმის გამო, რომ მეზობელ ჩეჩნეთში ომი მიმდინარეობს, საქართველო აწესებს განსაკუთრებულ რეჟიმს ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ბაზებისათვის. კატეგორიულად ვკრძალავთ ამ ბაზებიდან სამხედრო თვითმფრინავების გაფრენას ნებისმიერი მიმართულებით!

მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს ჩვენი ასეთი პოზიცია, თორემ საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერი გამოყენება ჩეჩნების წინააღმდეგ ეს იქნება ჩვენს თავზე აღებული ვალი, რომლის გადახდაც, ვინ იცის, რის ფასად მოუწევს ჩვენს შთამომავლობას!

დღეს რუსეთი წარმატებით ლაშქრავს ჩეჩნეთის ტერიტორიას, მაგრამ, თუ რუსეთი სერიოზულად აპირებს უფრო დიდი პრიზებისათვის ბრძოლას ჩვენს რეგიონში, მაშინ ის გარანტირებულად წაგებულია. ის ვერც ამიერკავკასიას დაეპატრონება და ვერც თავისუფლებისადმი ჩრდილოკავკასიელთა ლტოლვას ჩააცხრობს!..

ამიტომ დაუშვებელია რუსეთის მხარეზე გამოსვლა ამ ომში, როგორც ბატონი შევარდნაძე გამოვიდა დიპლომატიურად 1994-96 წლებში, როცა ის ომი ჩათვალა უბედურებად კაცობრიობისათვის. მან ბრძანა: რომ არ ყოფილიყო აფხაზეთი, არ იქნებოდაო ჩეჩნეთი! დღესაც რუსეთის მხარის დაკავება საქართველოსთვის წამგებიანი იქნება. საქმე ისაა, რომ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომი აფხაზეთში ეს უსამართლობაა, ხოლო ჩეჩნების მიერ წარმოებული თავდაცვითი ომი რუსეთის წინააღმდეგ სამართლიანი ომია! ამიტომ მათი ერთ სიბრტყეზე განლაგება სიბეცეა. თუ იგი დღესაც ამას გაიმეორებს, გაიმეორებს საკუთარ ღალატსაც საქართველოს მიმართ.

*– როგორ განხორციელდა საქართველოს დამოუკიდებელი ხელისუფლების დამხობა და რა როლი ითამაშა ამ საქმეში რუსეთმა?*

– რუსებს ასეთი სტრატეგია ჰქონდათ განსაზღვრული: ისინი ითმენდნენ საქართველოში ეროვნული ხელისუფლების არსებობას მანამდე, სანამ ამ ხელისუფლების მინუსები ყოფნიდა ჩვენს იზოლაციას დასავლეთის სამყაროსაგან. მაგრამ მას შემდეგ, რაც უკრაინამ 1991 წლის პირველი დეკემბრის რეფერენდუმში ხმა მისცა დამოუკიდებლობას, უკვე ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი იშლებოდა. და აკი დაიშალა კიდევაც იმავე წლის 21 დეკემბერს. დაშლილი საბჭოთა კავშირის პირობებში კი ეროვნული ხელისუფლების სისუსტეები (მინუსები) აღარ ჰყოფნიდა ჩვენს იზოლაციას დასავლეთისაგან. ჩვენ დავიწყებდით გამყარებას, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, უკვე ბევრთაგან, მათ შორის, აშშ-სგანაც აღიარებულნი, და დავიწყებდით ყველა ქვეყანასთან ურთიერთობებს თანასწორუფლებიანობის პრინციპებზე. ამიტომ მათ სასწრაფოდ მიიღეს ზომები (დარწმუნებული ვარ, შევარდნაძის აქტიური მონაწილეობით) საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დასამხობად. ეს მათ კიდევაც შეძლეს სიგუა-კიტოვანი-იოსელიანის ხელით. მათ, რასაკვირველია, რუსები ამარაგებდნენ იარაღით, ფულით, ინსტრუქტაჟით. გადატრიალებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი აშკარად მოუწოდებდა შეიარაღებული გზით პრეზიდენტის დამხობისაკენ! დღეს ყველამ იცის, ვინც იყვნენ ისინი.

*– ბატონო ნოდარ, იქნებ თქვენ იცოდეთ დარწმუნებით, იმ საბედისწერო 22 დეკემბერს რომელმა მხარემ გამოიყენა პირველმა იარაღი?*

– ცნობილი იყო ასე: პირველად ვიღაცამ შიგნიდან ისროლა და ვიღაცა მოკლაო, რასაკვირველია, გარეთ. შემდეგ, სხვათა-შორის, იმასაც ამბობდნენ, რომ ის, ვინც შიგნიდან ისროლა, შეგზავნილი ყოფილა და მერე, ზურგიდან მოკლეს სოხუმის მახლობლად, კვალის დაფარვის მიზნით. ადგილი ჰქონდაო პროვოკაციას.

პირადად მე 17 დეკემბრიდან მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგებს აღარ გავკარებივარ. იმიტომ, რომ მეშინოდა ცოლისწამებისა. მე, როგორც ოპოზიციაში მდგომი, იქ რომ გამოვჩენილიყავი, შეეძლოთ ეთქვათ: ა ბატონო, ოპოზიციონერი ნოდარ ნათაძე აგერ მოუძღვის ხალხსო! არადა, მე და კიდევ რამდენიმე პარლამენტარი დავრბოდით ზღვაზე გამაგრებულ კიტოვანსა და პრეზიდენტს

*გაგრძელება მე-6 გვ*

ინტერვიუ

*ნოდარ ნათაძე:*

# აბაშიძე მირჩევნია თუ შევარდნაძე? ეს იგივეა, კაცს რომ ჰკითხო: რა გირჩევნია, შეგბრაწო თუ მოგხარშო...

*მე-5 გვერდიდან.*

შორის, რომ რამენაირად შეგვერიგებინა მხარეები. საუბედუროდ, ეს არ მოხდა და მოხდა ის, რაც იცით.

*– ბატონო ნოდარ, თქვენ აფხაზეთში ნაომარი კაცი ბრძანდებით. მაინც როგორ მოხდა, რომ თავმა კატას აჯობა? როგორ დავკარგეთ აფხაზეთი?*

– სარდლობა მტრის მხარეზე იყო, სახელმწიფოს ხელმძღვანელობა მტრის მხარეს იყო! არ ფიქსირდებოდა მტრის სახელი! გვეომებოდა რუსეთი და ომი ცხადდებოდა ქართველთა და აფსუათა ომად!..

ეს ომი ორგანიზებული და გაჩაღებული იყო არძინბასა და შევარდნაძის შეთანხმებით იმ მიზნით, რომ წაგებული საქართველო დარჩენილიყო! ესაა ჩემი კონკრეტული პასუხი. ეს მე გაშლილად მიწერია გაზეთ „საქართველოში“ და ტელევიზიითაც ვთქვი.

*– ასეთ ბრალდებებს არგუმენტაციაც სჭირდება, არა?*

– კი ბატონო, გეტყვით. ამ ომის ისტორიას მოგახსენებთ.

ეწყობა ორი ლაშქრობა სამეგრელოში. ომამდე, რასაკვირველია! ეწყობა მომავალი ომისათვის ზურგის მოსაშლელად. ხდება სამეგრელოს ორგზისი დარბევა-აწიოკება.

აფხაზეთის ტერიტორიაზე იძარცვება მატარებლები, როგორც საქართველოსათვის, ასევე სომხეთისათვის განკუთვნილი ტვირთებით. ეს ძირითადად გაძარცვული მატარებლები როცა სამეგრელოს აღწევდნენ, აქ უკვე გამწარებული მოსახლეობა ნარჩენ-ნამცეცებს ისაკუთრებდა. ამითი იქმნებოდა „ბანდიტი მოსახლეობის“ იმეჯი...

სავსებით კანონიერად და ბუნებრივად ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ნაწილებმა დაიცვან რკინიგზის ხაზი მთელს აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ, რატომღაც, ეს ევალება არა სატრანსპორტო პოლიციას, არამედ გვარდიას და არმიას.

შედის რა შეიარაღებული ძალა აფხაზეთში, არძინბა თავის უკანონო გვარდიითურთ გადის სასწრაფოდ სოხუმიდან და, ამრიგად,



ნოდარ ნათაძის მამა რევაზ ნათაძე

იქმნება დაპირისპირება შეიარაღებულ ძალებს შორის.

საკვირველია, რომ შევარდნაძის მთავრობა ამ ფაქტზე არ რეაგირებს, არც ჩერდება და არც არძინბას მიმართავს ლიად: „სად მიხვალ, შვილო, მოდი, იჯექი შენს დედაქალაქში , ვინ გიშლის!“ მსოფლიოს გასაგონად არ ტეხს განგაშს – რაღაც პროვოკაციას მიწყობენ და ფხიზლად ვიყოთო!

მოსახდენი მოხდა: აფსუებმა პირველებმა ისროლეს თოფი და დაიწყო! ვიმეორებ: შევარდნაძისა და არძინბას ერთობლივი მოქმედებით დაიწყო ომი!..

დააკვირდით მოვლენებს: სოხუმში შედის საქართველოს შეიარაღებული ძალა და სოხუმიდან გამოდის მილიცია! რატომ გამოდის, როგორ გგონიათ? გამოდის იმისათვის, რომ ტყვეობიდან გამოშვებულ გვენცაძეს მიულოცოს! რასაკვირველია, ეს აბსურდული მიზეზია!..

*– სად უნდა მიელოცათ, თბილისში?*

– არა, კაცო, მგონი ხობში. კი, იქ იყო ტყვედ! იქიდან გამოუშვა ლოთი ქობალიამ და იქ უნდა მიულოცონ! სასაცილოა, არა?

ამ სისულელეს მოჰყვა ორი შედეგი: გვარდია იძულებული გახდა შეჩერებულიყო სოხუმში, ქალაქი უპატრონოდ ხომ ვერ დარჩებოდა! და მერე, გვარდია რომ იცავს ქალაქს, რომე-



სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): აკაკი შანიძე, ივანე ჯავახიშვილი და ნოდარ ნათაძის ბაბუა, გრიგოლ ნათაძე

ლიმე გვარდიელს წასცდება ხელი და რაღაცას აწაპნის, ანუ გვარდიაში ჩნდება მარადიორობა, რაც აქვეითებს, რა თქმა უნდა, მის ბრძოლისუნარიანობას და ხელს აძლევს მოწინააღმდეგე მხარეს აგიტაციისათვის.

ერთი სიტყვით, გვარდია დადგა მდინარე გუმისთაზე და აღარ მიდის წინ. თუმცა, წინსვლა შეუძლია! ეშერის ლაბორატორია, რომელსაც ვერ იღებს, შეუძლია ზურგში მოიტოვოს და წავიდეს წინ. მაგრამ არა! არც ტყვარჩელის დაკავება ხდება, თუმცა ტყვარჩელი დაუცველია მტრისგან!.. ეს თვეების მანძილზე გრძელდებოდა.

ბოლო „სტრატეგიული სვლაც“ მოგეხსენებათ: სწავლის დაწყების საბაბით, მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს აბრუნებენ სოხუმში, საიდანაც ჩვენ გაგვყავს ჩვენი მძიმე საბრძოლო ტექნიკა, ხოლო აფხაზებს – არა! ამით მათ მთლიანად ეხსნებათ ხელ-ფეხი (27 ივლისის ხელშეკრულებით) და სოხუმი ეცემა.

შემდეგ სოხუმიდან ენგურამდე ისე მოდის მტერი, რომ არავითარ წინააღმდეგობას არ აწყდება. ესეც ღია ღალატი იყო! ვკითხე ჯერ გენერალ უჩაძეს. სადაა თავდაცვის სათადარიგო ზღუდეები-მეთქი. რაო?! – პირი დააღო. ვკითხე შევარდნაძეს იგივე კითხვა: ჰო, უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ არ გაგვიკეთებიაო! სარდალი რომ ამას წინასწარ არ გაითვალისწინებს და არ გააკეთებს, ასეთი სარდალი, იხვრი-ტე-ბა!.. არამარტო ახლა, დისციპლინის ეპოქაში, არამედ უწინაც, ვთქვათ, ძველ რომში. ვეკითხები ქვარაიას, რომელიც პროფესიონალი ოფიცერია. ვერ გავაკეთეთ, ვერ მოვასწარითო!.. მაგრამ აი, „წითელ ხიდს“ დავიცავთო. „წითელ ხიდს“ როგორ დაიცავ, როცა ფუნიკულიორი უკვე მოწინააღმდეგის ხელშია და მთელი ეს ზონა გათოფილი აქვთ!

მე მხოლოდ ღალატის ცალკეული მაგალითები დაგისახელეთ.

*– ბატონო ნოდარ, როგორც საბოლოოდ გაირკვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას შორის, კონკრეტულად, ბატონ ასლან აბაშიძესა და მის აღმატებულებას, პრეზიდენტ შევარდნაძეს შორის არასასურველი სერიოზული დაპირისპირება არსებობს. როგორც თქვენი ზეპირი გამოსვლებითა და პუბლიკაციებითაა ცნობილი, ორივე ამ ლიდერის მიმართ სერიოზული პრეტენზიები (რბილად თუ ვიტყვით!) გაგაჩნიათ. და მაინც, თუკი სხვა ალტერნატივა არაა (არადა, არაა!), რომელ მათგანს ამჯობინებდით?*

– ვერ დავეთანხმები კითხვის ამნაირად დასმას! აბაშიძე მირჩევნია თუ შევარდნაძე? ეს იგივეა, კაცს რომ ჰკითხო: რა გირჩევნია, შეგბრაწო თუ მოგხარშო!.. ან, ვთქვათ, ჯერ მარჯვენა ყური მოგაკბიჩო თუ მარცხენაო და ასე შემდეგ.

არავითარი ობიექტური საფუძველი თბილისსა და ბათუმს შორის დაპირისპირებისა არ არსებობს!

საკმარისია, ერთი მხარე მაინც იყოს კონფლიქტის კატეგორიული წინააღმდეგი. და კონფლიქტი არ მოხდება! კონფლიქტი რომ მოხდეს, ამისათვის საჭიროა ორივე მხარის სურვილი, რომ იგი მოხდეს. მაშასადამე, თუ კონფლიქტი მაინც მოხდა, ეს იქნება ორივე მხარის ნება!

როგორც ხედავთ. ჯერჯერობით კონფლიქტის სიმულაციის გაძლიერება ხდება, რასაც დიდი რუდუნებით უჭერენ მხარს მასობრივი დეზინფორმაციის საშუალებები. პირველ ყოვლისა, სახელმწიფო ტელევიზია ანუ პირველი არხი და „რუსთავი 2“.

ამიტომაც სრული უფლება გვაქვს, გამოვთქვათ ეჭვები და ჰიპოთეზები. ერთ-ერთი ჰიპოთეზა ასეთია: ამ ორ ადამიანს, აბაშიძესა და შევარდნაძეს, ერთი ბატონისგან დავალებული აქვთ რათა შექმნან კონფლიქტი ისევე, როგორც, თავის დროზე, არძინბამ და შევარდნაძემ შექმნეს. ეს, შესაძლოა, ძალიან უცნაურად ისმინებოდეს, მაგრამ ვალდებულად ვთვლი თავს, რომ ეს ჰიპოთეზა წამოვაყენო. იმდენად უცნაურად და ულოგიკოდ ხდება ამ კონფლიქტის სიმულირება, რომ სწორედ ამას მაფიქრებინებს!

გარდა ამისა, რუსეთის გეგმა საქართველოს მიმართ, ჩემი დაკვირვებით, ორი ფაზისაგან შედგება. პირველი: უნდა განხორციელდეს საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული, ფსიქოლოგიური დანგრევა-გაჩანაგება სწორედ დამოუკიდებლობის სახელით!

ამ ამოცანას მშვენივრად ასრულებს შევარდნაძე და, მგონი, უკვე დაასრულა კიდევაც! მეორე ფაზა: უნდა მოხდეს ხელისუფლების გადაცემა პრორუსული ძალების ხელში! ამისათვის კი ოპტიმალური გზა შემდეგია: დამშეული და გამათხოვრებული მასა გამოვიდეს ქუჩაში და იყვიროს: აღარ გვინდა დამოუკიდებლობა, აღარ გვინდა თავისუფლება, დაგვიბრუნეთ იმპერიაო!

*– დააკონკრეტეთ, რომელია ეს პრორუსული ძალები.*

– გიორგაძეები, გოგუაძეები, კვარაცხელიები და მისთ.

*– იქნება და, არ გამოვიდა ხალხი ქუჩაში! მაშინ?*

– არც მაგას გამოვრიცხავ. მონობას შეგუებულები ვართ, უკეთ – ლაჩრობას. არსებობს უფრო უმტკივნეულო და დღეისათვის მეტად სავარაუდო ვარიანტი: ხელისუფლების გადაცემა პრორუსული ძალებისათვის ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე, მშვიდობიანი მეთოდებით! მე მეჩვენება, რომ შევარდნაძე და მისი გუნდი ახლა მუშაობს იმისათვის, რომ ხელისუფლება გადაეცეს ასლან აბაშიძეს, რომ „აღორძინებამ“ მოიგოს ეს არჩევნები. სხვანაირად მე ვერ ავხსნი ისეთ აბსურდულ ნაბიჯებს, როგორიცაა, ვთქვათ, ბათუმიდან მომავალი ცარიელი ავტობუსებისათვის ბეტერებით გზის გადა-



კეტვა ჩუმათელეთში, „აღორძინების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისათვის არჩევნებში კენჭის ყრის უფლების აშკარა წართმევა და სხვა ასეთი ქმედებები. ამას, რასაკვირველია, უკუშედეგი მოჰყვება: ელექტორატში ჩნდება და დღითიდღე ძლიერდება „აღორძინებისადმი“ სიმპათიები.

იქნებ იკითხოთ, რატომ აძლევს ხელს შევარდნაძეს ასეთი რამ?!

გიპასუხებთ: რაკი მისგან მოითხოვენ, რომ დათმოს ხელისუფლება, მისი პირადი გეგმაა, რომ საქართველოდან, რომელიც მან ჩიხში მოაქცია, რომელშიც მის პოლიტიკას აღარავითარი წარმატების პერსპექტივა აღარ გააჩნია, წავიდეს არა როგორც ხელმოცარული პოლიტიკოსი, არა როგორც დემოკრატიული ძალების მიერ განდევნილი პოლიტიკოსი, არამედ როგორც კომუნისტებისა და სხვა კაციჭამიების მიერ განდევნილი დემოკრატი! ამ იმეჯით წავიდეს, დაჯდეს სადმე მყუდრო ადგილას და შეირგოს მონაგარი!..

ამას მაფიქრებინებს ის, რომ მან, ამას წინათ, ყოვლად უაზრო გამოთქმა იხმარა, ყოვლად ულოგიკო, ანტილოგიკური გამოთქმა: „აღორძინების“ არჩევნებში გამარჯვება საპარლამენტო გადატრიალება იქნება!“ სიტყვა „გადატრიალება“ იმისათვის დასჭირდა, რომ სამომავლოდ სათქმელი ექნეს: გადატრიალების შედეგად ვარ წასულიო!

*– ბატონო ნოდარ, ვთქვათ და, ღმერთმაც ქნას, თქვენ გაიმარჯვეთ და უმრავლესობით მოხვედით საკანონმდებლო ხელისუფლებაში. დაასახელეთ ის პირველი ნაბიჯები, რომელსაც ქვეყნის საკეთილდღეოდ გადადგამთ.*

– გამგებელთა და მერთა არჩევითობის და მათი მანდატის იმპერატიულობის დაკანონება, პარლამენტართა ხელფასების დარიგება მხოლოდ ყველა სხვათა შემდეგ.

– რუსეთის ბაზების გაყვანა საქართველოდან! ესენგედან დაუყოვნებლივ გამოსვლა! საჩივრის შეტანა გაეროში და ნოტის გაგზავნა მოსკოვში იმის კონსტატაციით, რომ რუსეთმა აწარმოა ომი საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და დღესაც აგრძელებს ამ ტერიტორიების ოკუპირებას! უარის თქმა რუსის ყოველგვარ სამშვიდობო მისიაზე! პასუხისგებაში მიცემა ყველა იმ პირისა, რომელთაც განსაკუთრებით დიდი ოდენობის დოვლათი წაჰგლიჯეს ქვეყანას (ეკონომისტების გაანგარიშებით, ამათი ფეხებით დაჭერა და ჯიბეების დაბერტყვა, მათი ნაქურდალის 15-25 პროცენტს დააბრუნებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი ქონება 20-დან 70 მილიარდ დოლარს შეადგენს, ბიუჯეტს ამ თანხის 15 პროცენტიცააყვავებდა!). ეკონომიკის მკაფიო ორიენტაცია შინაგანი ბაზრის დაპყრობაზე! (ვინც შინაგან ბაზარს არ ფლობს, იმას ექსპორტი არ შეუძლია! ეს არის ეკონომიკის ანბანი). სოფლის მეურნეობის აღორძინება საწვავის, შხამქიმიკატების, სასუქების, ტექნიკის მონოპოლიათა დემონოპოლიზაციით, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების პრივატიზების აკრძალვა! (დღეს რენტაბელურ ჰესებს ყიდიან!). სოციალური დაცვა: სამედიცინო მომსახურება, განათლება და პენსიები უნდა იყოს გარანტირებული. რეგულარული არმიის განახლებული წესდების შემუშავება. პროფესიული არმიის შექმნა.

*– ბოლოს, რას ურჩევდით ჩვენს ამომრჩევლებს?*

– ერთნაირად მიუღებელი და დამანგრეველია როგორც „მოქკავშირის“, ასევე „აღორძინების“ წარმატება, მაგრამ მათი შეკავშირება საერთოდ ყელისგამომჭრელი იქნება საქართველოსთვის!

მე მივმართავ ჩვენს ამომრჩევლებს, ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას: მოახდინონ სასწაული და ნურც ერთს ნუ მისცემენ ხმას, ნურც „მოქალაქეთა კავშირს“ და ნურც „აღორძინებას“! ხმა მისცენ მხოლოდ ეროვნულ ძალებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დსთ: ძველი პარტოკრატია — სახელმწიფო კრიმინალური სისტემების ავანგარდში

მე-2 გვერდიდან.

ბი, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან თურქეთს დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრების სტანდარტებით, როდის შეაღებენ თანასწორი პარტნიორის ამპლუაში დასავლეთ ევროპის თანამეგობრობის კარებს? ამდენად, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საკითხი ამ რეგიონის ქვეყნებში კიდევ კარგა ხნით გადაიწევს მომავალში.

თითქმის ყველგან დსთ-ს ქვეყნებში ბიზნესსა და სამეურნეო პროცესებს განაგებს ან განაპირობებს ძველი პარტოკრატია და მის კვალზე მავალი ძველი კომკავშირული აქტივი. პარტიულ-კომკავშირული კადრებით ასევე ერთობ გადავსებულია დიპლომატიური სფერო. მარტო საქართველოს მაგალითზე, ყოველი მეორე ელჩი ყოფილი პარტრაიკომის მდივანი ან მსხვილი პარტ-კომკავშირელი ფუნქციონერია.

ბოლო პერიოდში დსთ-ს ქვეყნების შიგნით ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ 90-იანი წლების პირველი ნახევრის ეროვნული მოძრაობიდან გამოსული ადამიანები სახელისუფლო სტრუქტურებს ნაკლებად შემორჩნენ. მათი დიდი ნაწილი რიგ მიზეზთა გამო ამჟამად განზეა გამდგარი, ნაწილი ოპოზიციაში იმყოფება.

სსრ კავშირის რესპუბლიკებში ბალტიისპირეთის პარალელურად ეროვნული მოძრაობა ყველაზე ძლიერი და მასშტაბური საქართველოში იყო, შემდეგ მოდიოდა სომხეთი, უკრაინა. შუა აზიაში ამ მხრივ სიჩუმე სუფევდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში ყველაზე მეტად პატრიოტული, ეროვნული ძალები საქართველოში წარმოჩნდნენ. 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ ეს ძალები სახელმწიფო სტრუქტურებს ჩამოსცილდნენ. პოლიტიკური მოსაზრებებით ბევრი ახლო და შორეულ საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა. საკადრო თვალსაზრისით ყველაზე მკვეთრი დაპირისპირება და შეხლა-შემოხლა მოხდა საქართველოში, ერთხანობა აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული ძალების პარალიზებისა და გავლენის დაკარგვის თვალსაზრისით ყველაზე მეტი უარყოფითი შედეგები საქართველომ მიიღო. საქმე ისაა, რომ ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში სახელისუფლო სტრუქტურებში მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული იქნა ეროვნულ ცნობიერებაზე მყარად მდგომი ძალები და გამომდინარე აქედან, მათი გავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე. იქ მოხდა ერთგვარი, თავისებური დიფუზია ეროვნული ძალებისა და პარტიულ-კომკავშირული ნომენკლატურის. ამ ბოლო ორ-სამ წელში მათ ერთიერთმანეთის ძალა და გავლენა გააჯერეს და დააბალანსეს. საქართველოში კი ეროვნული მოძრაობიდან გამოსული ძალები და კადრები ცნობილ მიზეზთა გამო ბოლო 7 წელიწადში თანდათანობით ეტაპ-ეტაპ მთლიანად ჩამოაცილეს სახელისუფლო, განსაკუთრებით აღმასრულებელ სტრუქტურებს, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ერთ მცირე ნაწილს, ისიც განხეთქილ ედპ-სა და „სახალხოს" სახით, აღარავითარი ქმედითი სიტყვა აღარ ეთქმის აქაც. ლეგიტიმური ხელისუფლება და პარალელურად ეროვნული ძალები მხოლოდ ერთ რეგიონში, — აჭარაში შენარჩუნდა. თუმცა ეს ძალები საგრძნობლად მცირეა იმ ფონზე, რაც ქვეყანაში და ემიგრაციაში არსებობს. ეროვნული ძალების სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე გავლენითა და შედეგებით ყველაზე უკეთ დსთ-ში სომხეთი გამოიყურება.



ის, ვინც ამ ათიოდე წლის წინ 30-35 წლის ასაკში სსრ კავშირის ჯერ კიდევ არსებობის პერიოდში საშუალო და მაღალი რანგის პარტიულ-კომკავშირულ ფუნქციონერები იყვნენ, დღეს ისინი 40-45 წლის ხალხია და რაც მთავარია, საიმედოდ არიან მომჯდარნი მაღალ სახელმწიფო-პოლიტიკურ სტრუქტურებში, ბიზნესის სფეროში. საპენსიო ასაკამდე ეს ხალხი ეცდება მუდამ ახლოს იყოს სახელმწიფო-ჩინოვნიკურ საქმიანობასთან და თავის სიტყვას ამბობდეს ქვეყნების სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. შევარდნაძის, ალიევის, კუჩმას, ნაზარბაევის, რახმონოვის და მათ მსგავსთა ყოფნა ქვეყნების სათავეში საიმედოდ უმაგრებს ფუნდამენტს ამ ძალებს, შემდგომი საქმიანობისათვის ოპტიმიზმს ჰმატებს. თუ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ისევ შევარდნაძემ გაიმარჯვა, მაშინ ძველ პარტ-კომკავშირულ ნომენკლატურას მყარად აქვს გარანტირებული 5 წელი კიდევ სახელმწიფო ხელმძღვანელ პოსტებზე და სტრუქტურებში. ასეა აზერბაიჯანში, სადაც 4 წელი დარჩა კიდევ პარტნომენკლატურას აქტიური მოღვაწეობისათვის. სხვათა შორის, ტყუილად როდი ამხნევებენ და აქებენ ხოლმე ერთმანეთს ალიევი და შევარდნაძე წინასაპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიების მსვლელობისას, თორემ ბალტიისპირელი პრეზიდენტებისაგან ისინი ასეთ თანადგომას არასდროს არ გრძნობენ.

ეროვნული მოძრაობის ალმავლობისა და ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტების შემდეგ პარტიულ-კომკავშირულმა ნომენკლატურამ მწარედ ჩაიქნია ხელი ხელისუფლებაზე, როდესაც დაასკვნა, რომ პარტნომენკლატურის მმართველობის ლეგენდარული ხანა დამთავრდა. ბევრ მათგანს გული დასწყდა წყალში გადაყრილ შრომაზე, გაუცრუვდათ სამომავლო დიდი იმედები. გამოხდა ხანი და 1993-1994 წლებში განსაკუთრებით ე. შევარდნაძის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ძველი, ნაცადი პარტიულ-კომკავშირული აქტივი თანდათანობით დაბრუნდა სახელწოდებაშეცვლილ მმართველ სტრუქტურებში მინისტრებად, გამგებლებად, დეპარტამენტების თავმჯდომარეებად, გუბერნატორებად, ელჩებად, დიპლომატებად, გენერლებად. ასე რომ, ძველი ნომენკლატურის შიში უსაფუძვლო და ხანმოკლე გამოდგა. მათ თავიანთი ე.წ. „ნეოფუნქციური" ადგილი დაიკავეს განახლებულ და სახენაცვალ სახელმწიფო-პოლიტიკურ და ძალოვან სტრუქტურებში. ისე ნიშანდობლივია, რომ პარტნომენკლატურის უმთავრესი მასა წავიდა აღმასრულებელ და ძალოვან სტრუქტურებში, მცირე ნაწილი კი საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ესეც გამიზნულად გაკეთდა, მათ თავდაპირველად, როდესაც ქონების გაყოფა და პრივატიზაციის პროცესი არ იყო დაწყებული, ჩრდილში ყოფნა ამჯობინეს. აქედან ბევრად უფრო მოსახერხებელი იყო საპრივატიზაციოდ განკუთვნილი ქონების განაწილებისას ბატალიებში ჩაბმა, ვიდრე საკანონმდებლო სფეროდან, რადგან კონკრეტული ქონებრივი გარიგების თავმოსაბმელად მათ ერთი ახალი რგოლი, — შუამავალი ესაჭიროებოდათ, რომელიც თავის კუთვნილ წილს აუცილებლად მოითხოვდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ მმართველ ძალას ანუ კლანურ ნომენკლატურას საქართველოში შრომა დანაწილებული, ანუ სამოღვაწეო ასპარეზზე გამიჯნული აქვს. ქვეყნის ბიზნესს და სამეურნეო საქმიანობას ძველი ასაკდამჯდარი პარტოკრატები ხელმძღვანელობენ ან აკონტროლებენ. მათ ხელშია ბანკები, ფაბრიკები, ქარხნები, ტრანსპორტი, კომუნიკაციის საშუალებები. სახელმწიფოს, საზოგადოების ახალი იმიჯის შექმნაზე, დასავლური, სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებების ჩვენს ქვეყანაში უალტერნატივო დამკვიდრებაზე კი ახალგაზრდა მოქკავშირელები საუბრობენ, შინ და გარეთ ეწევიან დიდ რეკლამას და გაუთავებლად თავს იწონებენ ამით. ასევეა დაახლოებით აზერბაიჯანში, ნაწილობრივ უკრაინაში.

ანალოგიური რამ მოხდა აზერბაიჯანში. სხვანაირად ვერც ალიევი შეინარჩუნებდა ელჩიბეის შემდეგ ხელისუფლებას ქვეყანაში, არათუ კვლავაც მოიგებდა 1998 წელს საპრეზიდენტო არჩევნებს.

ფაქტია, რომ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი რადიკალური ცვლილებები არ მოხდა, ძველი პარტნომენკლატურა კიდევ 15-20 წელიწადი სათავეში მოქცეული იქნება დსთ-ს ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესს. ფაქტი ისაა, რომ იგი კი არ შემოკლებს სამოქალაქო საზოგადოებაზე გარდამავალ ეტაპს,

გაგრძელება მე-9 გვ.

## ნქლიპურტ-ალიყურები

### „ჩემი ტვინი ესე რეკავს"



პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა დაწერა ასეთი სტრიქონები:

*„ჩემი ტვინი ესე რეკავს: გაუმარჯოს „სესერეკას".*

ამაზე ჩვენც მოგვივიდა აზრად შემდეგი სტრიქონები:

*„ჩემი ტვინი სხვაფრივ რეკავს,*
*ვინაც ფიქრობს და გაპყვირის*
*გაუმარჯოს „სესერეკას",*
*იმას თავში დაუნდობლად*
*ქვასა და კეტს გულით რეკავს".*

### ნაწყენი გლეხის სამდურავი მთავრობას

მეურვე რისთვის გვჭირდება
გალვივდა ჭორის მარცვალი
ჩვენს მამულს ჩვენვე მოუვლით
რას გვარგებს „დედინაცვალი"
როდემდის უნდა ვიცეკვოთ
„უცხო მამების" დაკრულზე
„ბევრ სიბრძნეს" აფრიალებდნენ
ჩვენს აწმყოსა და წარსულზე.
თავისუფლება მოგვეწყურდა
„ვით შვენის ბულბულს გალია"
ვუშველოთ დედა-სამშობლოს,
ვაი, რა შესაბრალია.
სკამის და დიდი ჩინისთვის
მამა შვილს გადაემტერა
მაღალ სკამებზე შეცოცდნენ
უწიგნური და ბენტერა.
თითქოს დავწყნარდით-დამვშვიდდით
ევრო-კავშირშიც მიგვიღეს
ჩვენ ჩვენი ტკივილები გვაქვს
გლეხობას რაღას გვიპირებთ.
დაპირებები ბევრია
წინსვლა არაში გვეტყობა
გლეხის დონეზე ბევრს ვერ ვფლობ
სხვა უარესებს გეტყოდათ.
აღარ გენდობით, ეჭვში ვართ
ხათაბალას არ აგვკიდოთ,
დაღლილნი, ღამით მძინარნი,
უცხოელზე არ გაგვყიდოთ.
ქალაქში მაინც გაშალეთ
სოციალური საკითხი
სოფელშიც მოგვეპოვება
თქვენზე ნასწავლი-ნაკითხი
გვეყო ამდენი მოთმენა,
იმედს გვიკარგავთ ხვალისას.
მოსპეთ ეგ მკაცრი კანონი
შიმშილით დასჯა ხალხისა.
მიწაა ჩვენი იმედი
გლეხის ალალი მარჯვენა
ნეტავი ღმერთო დიდ სკამზე
სამართლიანი მაჩვენა.
ეს მრუდე წუთისოფელი
ალმა და დალმა მიგორავს
ამ საუკუნის დასასრულს
ისევ შენა ხნავ ნიკორავ?
მინდა გვირგვინი დაგადგა
ყვავილი ფერად-ფერების
რამდენი სახრეც მოგხვდება
იმდენჯერ მოგეფერები.
ცრემლებით სავსე რადა გაქვს
შავი დიდრონი თვალები
შენ ნუ სტირიხარ ნიკორავ
გადახდილი გაქვს ვალები.
სატირალი აქვს მთავრობას
ცოდვა ამძიმებს ულევი
ყაჩაღურად და ქურდულად
ხალხს შეუჭამეს ფულები.
მოვესწროთ ისეთ მთავრობას
თავის სიმრუდე გაეგოს
ჩვენს თავს თვითონვე დავირჩენთ
გლეხს ნუ გადაგვცემთ „გაეროს".

ნათელა ბუჯიაშვილი, თიანეთი

მე-3 გვერდიდან.

საკუთარ სახეს და პირველყოფილ ჯოგად გადააქცევდა ხალხს, სადაც თვითეული ადამიანის საზრუნავი – ვითარცა ცხოველის, მარტოოდენ ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება იქნებოდა.

ახლა იმ კონკრეტული ფაქტების შესახებ, რაც სტალინს უფრო ბოროტ მტრად წარმოგვიდგენს საქართველოს მიმართ, ვიდრე იყო ნებისმიერი უცხოელი ამაოხრებელი.

სტალინი იყო ის პიროვნება, ვინც პირველი აღუდგა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას პირადი ამბიციების გამო, რამდენადაც რუსეთში მუდმივ ემიგრანტად რჩებოდა და ეს ხელს უშლიდა მას იმპერიის სამეთაურო პოსტის დაუფლებაში. ქართველმა ხალხმა სტალინის პირადი ინტერესების გამო არ გაწირა თავისი ეროვნული ინტერესები და არ თქვა უარი თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე. აქედან დაიწყო სტალინის მტრობაც ქართველი ერის მიმართ. ქართველთაგან შექმნილი ამ ბარიერის გადასალახად, სტალინი ლენინთან მრავალგზისი თხოვნითა და ბოლოს დასტურის მიღებით, 1921 წელს საქართველოს უსევს რუსულ არმიებს ნომერ მეორე გარეწარის – სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, მისდამი ბაქოში გაგზავნილი ასეთი დეპეშით – „ნებართვა მიღებულია, აიღე ქალაქი" (იგულისხმება ქ. თბილისი) და სასაზღვრო, სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად საქართველო იძულებით შეჰყავს რუსეთის სახელშეცვლილი იმპერიის შემადგენლობაში. ამის შემდეგ, იმავე 1921 წელს სტალინი ჩამოდის აწ უკვე რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში. ნაძალადევის კლუბში მას უკიდურესი აღშფოთებით ხვდება ქართველი საზოგადოებრიობა ცნობილი რევოლუციონერების ჩათვლით. მოღალატე! გამყიდველო! – ამ შეძახილებითა და სტვენით უმასპინძლდებიან მას – არ აძლევენ ხმის ამოღების საშუალებას. ამის მხილველი, ბოღმამორეული სტალინი აქვე აცხადებს – „დარბაზში ვინ უსტვენდა, ძნელია მისი დადგენა, ამიტომ, დარბაზში მყოფი ყველა დაიხვრიტება". მან ეს განახორციელა კიდეც იმავე ღამიდან. ამის შემდეგ, რუსეთში დაბრუნებული სტალინი ოფიციალურად აცხადებს: „სანამ საქართველო არსებობს, სოციალიზმი სასიკვდილო საფრთხეშია" – და ამ „საფრთხის" სალიკვიდაციოდ იგი იწყებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლას. ჯერ კიდევ ადრე, ლენინთან ერთობლივი გადაწყვეტილებით

## თვალსაზრისი

# საქართველოს დამანგრეველი „ტროიკა"

(ბრესტის საზავო ხელშეკრულებით), თურქეთს გადასცა საქართველოს კუთვნილი ტაო-კლარჯეთი. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს ბედ-იღბლის გამგებელი რუსეთი შეიქმნა, კრემლში, ეროვნულ საქმეთა კომისრის თანამდებობაზე მყოფმა საქართველოს ერთი მესამედი ტერიტორიისა – საინგილო, ლორე-ალავერდის ოლქი და სოჭის მხარე – აზერბაიჯანს, სომხეთს და რუსეთს გადაუნაწილა. თვით ის მიწა-წყალი კი, რაც წართმევას გადაურჩა, ავტონომიებად დაჩეხა საქართველოსთან დასაპირისპირებელი მტრული კერების შესაქმნელად. ბავშვური გულუბრყვილობაა ამ შემთხვევაში სტალინის აპოლოგეტების მიერ გავრცელებული იმ ანეკდოტის დაჯერება, რომ ეს აქცია ორჯონიკიძემ ჩაიდინაო სტალინის დაუკითხავად, ხოლო, როცა „დიდმა ბელადმა" ეს შეიტყო, ორჯონიკიძეს უსაყვედურა – რატო შენი ლორეშა არ გაეციო? პირდაპირ ვიტყვით – ერი, რომელიც ასეთი ანეკდოტებით საზრდოობს, დასაღუპავადაა განწირული.

საქართველოს ტერიტორიული დაჩეხვის შემდეგ სტალინი შეუდგა თვით ქართული გენოფონდის მოსპობას, რისთვისაც საბაბად გამოიყენა შიმშილი, რეპრესიებითა და ქართული ეროვნული სახელმწიფოს ნგრევით აღშფოთებული ხალხის გამოსვლები 1924 წელს. როგორც გადმოგვცემენ, შეიძლებოდა დაგეგმილი აჯანყების უსისხლოდ განეიტრალებაც, მაგრამ სტალინმა უარყო კისლოვოდსკში გამართულ თათბირზე ქართველი სამთავრობო ხელისუფლებისა (გარდა ორჯონიკიძისა) და თვით ჩეკას უფროსის – ეპიფანე კვანტალიანის წინადადება, იმგვარი ზომების მიღების შესახებ, რაც ჩაშლიდა აჯანყებას და უაზრო სისხლისღვრას აიცილებდა საქართველოს. თავის დროზე მმართველ ელიტასთან ახლოს მდგომი ალექსანდრე [illegible], რომელსაც ეს ამბავი, ამ თათბირზე დამსწრე ბ. კვირკველიასა და მ. ორახელაშვილისაგან მოუსმენია, იგონებს: „კვანტალიანის წინადადებას აჯანყების თავიდან აცილების შესახებ ყველა (ორჯონიკიძის გარდა) მოწონებით შეხვდა, მაგრამ ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ყველანი დუმდნენ და სტალინს მისჩერებოდნენ. ბოლოს სტალინმა ამოიღო ენა და შეგვეკითხა, რა აზრისა ხართო? ყველამ თანხმობა განვაცხადეთ. სტალინი ადგა, გაიარგამოიარა, ჩიბუხი დატენა, ერთიც გააბოლა და სარკასტული ღიმილით მოგვმართა: „თქვენ თუ ასეთი ბრიყვები იყავით, ვერ წარმოვიდგენდი, როგორ შეიძლება ასეთი დიდებული შემთხვევის ხელიდან გაშვება. საქართველომ უსისხლოდ მიიღო რევოლუცია, ახლა საბაბი გვეძლევა მას სისხლი გავადინოთ და თქვენ ასეთ სულმდაბლობასა და ლაჩრობას იჩენთ. დაე, გამოვიდნენ, რაც უფრო მასობრივი იქნება გამოსვლები, მით უკეთესი, არავინ დაზოგოთ". და არც დაზოგეს. საბაბი რადგან მიეცათ, აჯანყებულებზე უფრო მეტი მშვიდობიანი მოსახლეობა ამოხოცეს. ბევრი მათგანი მარტო იმიტომ დახვრიტეს, რომ თავადაზნაურთა გვარისანი ანდა სამღვდელო პირები იყვნენ. ამ დროსვე მოუსწრაფეს სიცოცხლე ვაჟა ფშაველას უნიჭიერეს შვილსა და მგზნებარე მამულიშვილს – ლევან რაზიკაშვილს. როგორც ცნობილია, მისთვის სიცოცხლის შენარჩუნების თხოვნით მისულ დელეგაციას ასე განუცხადა სერგო ორჯონიკიძემ – „ვაჟა ფშაველას შვილს კი არა, თვით ვაჟა ფშაველასაც დავხვრეტდით, ცოცხალი რომ იყოსო". დიახ, სტალინი, ორჯონიკიძე და სხვა მისთანა გარეწრები დახვრეტდნენ ვაჟა ფშაველასაც, ილია ჭავჭავაძესაც (იგი რომ უფრო ადრე არ მოეკლათ სწორედ ამ ნაძირალებს), აკაკი წერეთელსაც, ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციებზე დგომისათვის რუსული ბოროტული იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და იმისათვის, რომ ისინი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინ-ორჯონიკიძე-მახარაძის მანქურთულ-კოსმოპოლიტურ იდეებს.

სტალინის წინადადებით, ამ შეკრებაზე, ქართველთა ხოცვა-ჟლეტას სათავეში ჩაუყენეს ბერია, ლოლობერიძე, ტალახაძე და სხვა ანტიქართველები. თუ რა მასშტაბის იყო ეს ხოცვა-ჟლეტა, საკმარისია წარმოვიდგინოთ, თუნდ მარტო ზესტაფონის ჩიხში დატრიალებული ტრაგედია, სადაც ვაგონებში ტყვიამფრქვევების ცეცხლით ამოხოცეს ტალახაძის უშუალო თაოსნობით დასავლეთ საქართველოს საუკეთესო ინტელიგენცია.

მაგრამ სტალინი მაინც ვერ ძღება ქართველთა სისხლით და საქართველოსათვის კიდევ უფრო მეტი სისხლის გამოდენისათვის 1931 წლიდან



საქართველოს ცეკას პირველი მდივნის პოსტზე აწინაურებს 1924 წლის ქართველთა ჟლეტაში სისხლგასვრილ ბერიას. ამას ლოგიკურად მოსდევს მაღალი ქართული გენის მოსპობის უბოროტესი პოლიტიკა, რომელსაც გეგმავს სტალინი და ახორციელებს ბერია. იძულებითი კოლექტივიზაციის პერიოდში გაღებულ მსხვერპლს რომ თავი დავანებოთ, როცა „კულაკად" წოდებული გამრჯე გლეხობა ციმბირის ყინულეთში დაასამარეს თავისი ცოლ-შვილით, 1937 წლის მთელი იმპერიის მასშტაბით წარმოებულ ხალხთა მასობრივ ჟლეტაშიც, რესპუბლიკებს შორის ყველაზე მეტი სისხლი სტალინმა კვლავ საქართველოს გაადინა. სტალინმა ყველაზე მეტი მსხვერპლი მეორე მსოფლიო ომში აგრეთვე საქართველოს დააკისრა. სამნახევარმილიონიანი საქართველოდან 700000 მეომარი გაიყვანეს ფრონტზე, რაც უპრეცენდენტო მოვლენაა ომების ისტორიაში და, თანაც, რუსული არმიებიდან წინასწარი ბოროტული განზრახვით გამოცალკევებული ეს ამოდენა ქართველობა ძირითადად ყირიმის (ქერჩის) მოღალატურ ბრძოლას შეაწყვიტეს.

მაგრამ ქართველთა სისხლით მაინც ვერ გაძღა სტალინი, შურისძიების ბოროტი ვნებები მაინც ვერ დაიცხრო და ახლა უკვე ერთის მხრივ 1951 წლიდან, სხვა რესპუბლიკებიდან გამორჩევით, მარტოოდენ ტყვედნამყოფობის ბრალდებით, რომ მათ ტყვედჩავარდნის მომენტში ტყვია არ ისროლეს შუბლში, დაიწყო ტყვედნამყოფი ქართველების გადასახლება შუა აზიის გადახრუკულ ტრამალებში ყოვლად უდანაშაულო ცოლშვილით, – ხოლო მეორეს მხრივ, ბერიას თავიდან მოცილებისა და სამეგრელოს ინტელიგენციის განადგურების მიზნით, შეთითხნა ეგრეთწოდებული „მეგრელთა საქმე". და ვინ იცის, კიდევ რა ჭორსა და დოზანას დაატეხდა თავს საქართველოს, რომ ეს სატანა მის მიერვე აღზრდილ მოწაფეებს დროზე არ მოეხრჩოთ კუნცევის აგარაკზე, სადაც იგი ათეული წლების მანძილზე, ადამიანთა წამებისა და სისხლისღვრის ბნელ გეგმებს ხლართავდა.

დიახ, ბოლოს და ბოლოს უფალმა სტალინის ბოროტი სული ჯოჯოხეთში გაიხმო, რის შედეგადაც ქართველობას ერთგვარი შვება უნდა ეგრძნო ამიერიდან, მაგრამ მკვდარი სტალინი კვლავ ავსულად მოევლინა საქართველოს. გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ – 1956 წლის 9 მარტს მკვდარი სტალინი „მაოხრებელი გზირის" როლში მოევლინა ქართველ ახალგაზრდობას, რომლებიც ბავშვობიდან ჯერ „ოქტომბრელის", მერე „პიონერის", მერე „კომკავშირელის" რიგებში და თვით სტუდენტის მერხზე იწამლებოდნენ იმ რწმენით, რომ სტალინი „უცოდველი", „შეუმცდარი" და ხალხის „მოსიყვარულე მამაა", რომელსაც ახლა კრემლის ხელისუფლება თავისი ცილისმწამებლური კრიტიკით წყალში უყრის ამაგს! ამის საპროტესტოდ ამხედრებული სტუდენტობა მოითხოვდა სტალინის მიმართ კრიტიკის შეწყვეტას დ მის კვლავ „მამა-ღმერთის" რანგში აღდგენას. ეს იყო უკიდურესი რეაქციული გამოსვლა საქართველოს უბოროტესი მტრის დასაცავად. სამწუხაროდ, ქართველთა ამ უგუნურ ჯანყს უამრავი ახალგაზრდა შეეწირა.

მე ზემოთ დამავიწყდა მეთქვა, რომ დედამიწის პირიდან საქართველოს აღგვის მიზნით, სტალინი, გარდა ქართული მიწა-წყლის გაცემისა, წართმევას გადარჩენილი ტერიტორიის ავტონომიებად დაჩეხვისა და ქართველთა მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით წარმოებული რეპრესიებისა, ქართველი ერის სხვა ხალხებში გათქვეფის მიზნით ეწეოდა უაქტიურეს ასიმილატორულ პოლიტიკას. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ საქართველო ძირითადად სოფლის მეურნეობის ქვეყანაა და მისივე მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთად უნდა დარჩეს თავისი უხვმოსავლიანი მიწა-წყლითა და უძვირფასესი ტექნიკური კულტურებით. სტალინმა კი საქართველოში უცხოთა შემოსახლების მიზნით დაიწყო ყოვლად გაუმართლებელი სამრეწველო ობიექტების (მათ შორის ყოველგვარ ბაზისს მოკლებული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის) მშენებლობა

გაგრძელება მე-10 გვ

# კოსმოპოლიტიზმის შავი ჭირი საქართველოში, ანუ ილიას მკვლელები საქართველოსაც მოკლავენ

უცხო სიტყვათა ლექსიკონში „კოსმოპოლიტიზმი" ასეა განმარტებული – „რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფობას და ეროვნულ სუვერენიტეტს, ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს „მსოფლიო სახელმწიფოს" შექმნის, „მსოფლიო მოქალაქობის" დაწესების იდეას" (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, გვ. 258).

ხოლო „შავი ჭირი" ადამიანისა და ცხოველების მწვავე ინფექციური დაავადებაა. განეკუთვნება კარანტინულ დაავადებათა რიცხვს. იწვევს მიკრობი Pasteurela pestis, რომელიც 1894 წელს აღმოაჩინეს ფრანგმა ა, ინსენმა და იაპონელმა ს. კიტაზატომ. შავი ჭირის ეპიდემიები პერიოდულად მძვინვარებდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. პირველმა ეპიდემიამ VIს-ში იფეთქა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში და მოედო მრავალ ქვეყანას (სპანდემია), რის შედეგედაც 50 წლის მანძილზე 100 მლნ-მდე ადამიანი დაიღუპა; მეორე პანდემია იყო XIV საუკუნეში, როცა მაშინდელი ევროპის მოსახლეობის ნახევარი – 25 მლნ გაანადგურა; მესამე პანდემია კი XIXს-ში იყო" (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, გვ. 674).

შავი ჭირისა კი ვიცით, მაგრამ ისტორიას არ შემოუნახავს ცნობები და არავინ უწყის, როდის და სად ჩაისახა კოსმოპოლიტიზმი, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფობას და არც ის იცის ვინმემ, ვინ იყო პირველი კოსმოპოლიტი, არც ის, გულწრფელი იყო თავის მრწამსში, თუ ვინმემ მოისყიდა და შეაგზავნა საკუთარი ერის გადასაშენებლად.

ყველა გონიერი და ფხიზელი ერი თავის წიაღში მაშინათვე შანთავდა ამ სატანურ მოძღვრებას თუ მიმდინარეობას; ამიტომაა, რომ მიუხედავად კოსმოპოლიტიზმის დიდი ხნის ისტორიისა, ბუნებას ეშინოდა რა ერთფეროვნებისა, ნაირ-ნაირ ხალხებსა და ენებს იგონებდა და ქმნიდა.

ბაბილონის გოდოლის მშენებლობა და ენების წარმოშობა ამ დროს, სწორედ რომ ღმერთის ამბოხი იყო სატანისა და მისი კოსმოპოლიტური ბუნების წინააღმდეგ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს წარმოიშვა კოსმოპოლიტიზმის ახალი ლოკალური ნაირსახეობა – ქართული კოსმოპოლიტიზმი, რომელსაც კოსმოპოლიტიზმის შავი ჭირი უნდა ვუწოდოთ და რომელიც იმით განსხვავდება ადრინდელი სოციალ-დემოკრატიული კომუნისტურ-ინტერნაციონალური კოსმოპოლიტიზმისაგან, რომ მისი მასშტაბები მარტოოდენ საქართველოს მოიცავს; უფრო მეტიც, მისი ორიგინალობა ისაა, რომ იგი კონკრეტულად მიმართულია ქართველი ხალხის წინააღმდეგ და ემსახურება მის თანდათანობით გადაგვარებას, ასიმილაციას, მოსპობას.



ამიტომ იყო, რომ ჩვენმა კოსმოპოლიტებმა გადადგეს გაუგონარი ნაბიჯი და ტაშის გრიალით მიიღეს ქართველთა მეობის – ეროვნულობის ამოძირკვა-გაუქმების კანონი.

თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მისმა მომავალმა თაობებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ ყველა იმ დეპუტატის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელთაც სიხარულითა და აღტკინებით დაუჭირეს მხარი საქართველოს მრავალათასწლოვანი ისტორიისა და კულტურის გაუქმებას და ხაზის გადასმას, ქართველი ერის სახსენებლის ამოძირკვას.

აუცილებელია რომელიმე გაზეთმა გამოაქვეყნოს სრული სია იმ ვაიქართველებისა, საქართველოს „ღირსეული მოქალაქეებისა", რადგან ძველი პარლამენტი მოკვდა და ხალხმა უნდა იცოდეს რომელი „გმირი" აპირებს კვლავ ამოყოს თავი ახალ პარლამენტში.

კოსმოპოლიტები ყოველთვის ამა თუ იმ ერის საფუძველთა საფუძველს ანგრევდნენ და ანგრევენ, ებრძოდნენ და ებრძვიან. ამ საფუძველთა საფუძველს კი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ჰქვია.

საქართველოს ყოველ ეპოქაში, გარდა დღევანდელისა, ჰქონდა გარკვეული წინსვლისათვის გარკვეული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია – „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა, ქართველთა ნათესავთაგანი... რომელმაც შექმნა მწიგნობრობა ქართული", – ბრძანებდა მემატიანე; „ქართულად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, სადაც ჟამი ქართულად შეიწირვის" – გვეხმიანება საუკუნეების სიღრმიდან ბრძენი გიორგი მერჩულე; დავით მეფე, მესიის მახვილი, – ღაღადებდა დავით აღმაშენებელი... და ეს ყველაფერი იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია.

დიდმა ილიამ გააანალიზა საქართველოს ძირძველი ისტორია და კულტურა და ლაკონურად, მოკლედ, სხარტად ჩამოაყალიბა ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფუნდამენტი – მამული, ენა, სარწმუნოება.

მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ილიაზე დიდი ეროვნული მოღვაწე არ ჰყოლია, რომელმაც თავისი თეორიული და პრაქტიკული შემოქმედებითა და მოღვაწეობით დაამტკიცა ამ სიტყვების ჭეშმარიტება.

ამიტომ იყო, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ფართო მასშტაბის კოსმოპოლიტებმა, ქართველმა სოც. დემოკრატებმა ფიზიკურად გაანადგურეს ერის მოძღვარი.

„ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ", გოდებდა გენიალური ვაჟა და რას

გაგრძელება მე-10 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-7 გვერდიდან.

# დსთ: ძველი პარტოკრატია – სახელმწიფო კრიმინალური სისტემების ავანგარდში

არამედ გაახანგრძლივებს და მილიონობით ადამიანს ცხოვრებას დაუმახინჯებს. პარტნომენკლატურის მოძალებისგან დსთ-ს ვერც ერთი ქვეყნის საზოგადოებამ ჯერ-ჯერობით თავი ვერ დაიცვა. საქმე ისაა, რომ თავის დროზე კომუნისტები 12 მილიონი იყო, კომკავშირლები 35 მილიონი, ხელმძღვანელი ფუნქციონერები კი პარტიაში – 200 ათასი, კომკავშირში კი – 700 ათასი. სად უნდა წასულიყო ხალხის ამოდენა მასა? რა თქმა უნდა, ისევ და ისევ სახელისუფლო სტრუქტურებში და საზოგადოების მმართველ ელიტაში, რადგან ყველაზე უკეთესი ფინანსურ-მატერიალური სასტარტო პირობები მთელ საზოგადოებაში სსრ კავშირის დაშლის მომენტისათვის ისევ და ისევ პარტნომენკლატურას გააჩნდა. დღეს არც ერთი რაიკომის მდივანი არაა ისე დარჩენილი, რომ არ ჰქონდეს დიდი ან საშუალო კომერციული ფირმა, არ იყოს რომელიმე შესამჩნევი ასოციაციის, გაერთიანების, საზოგადოების თავმჯდომარე, არ იყოს ელჩი, ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი ან არმიის გენერალი.

დსთ-ს ქვეყნების მოსახლეობის რადიკალურად განწყობილ ნაწილში აზრიც კი გაჩნდა, რომ დასავლეთმა ყოფილ პარტიულ-კომკავშირულ ნომენკლატურას ე.წ. „ჩათვლები" მოუწყო, კერძოდ, რადგან ნებაყოფლობით თქვით უარი ტოტალიტარული სახელმწიფოს სადავეებზე, გზიდან ჩამოეცალეთ დემოკრატიული ცვლილებების პროცესებს თქვენს ქვეყნებშიო, ამის საპასუხოდ და მადლიერების ნიშნად ლიბერალურად ვეპყრობით თქვენს თანდათანობით დაბრუნებას სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებში და რომ ერთხელ უკვე გალებული ხარკით თქვენ ცხადყავით თქვენი პოზიტიური დამოკიდებულება სახელმწიფოს მშენებლობაში დასავლური ორიენტაციის სასარგებლოდო.

პარტნომენკლატურამ და სხვამ არავინ დსთ-ს ქვეყნებში უკლებლივ დაბადა და გაუგონარი მასშტაბები მისცა ისეთ სენს, როგორიც კორუფციაა. პირველი მაგალითები ხელისუფლებამ მისცა, კორუფციამ შემდეგ თანდათან მძლავრად იბარტყა ქვემო და ქვემო ეშელონებში, მოედო მთელს მოსახლეობას, ისე, რომ ცხოვრების ერთი პატარა კუნჭულიც არ დატოვა. დსთ-ს ქვეყნებში და ჯერ სახელდობრ რუსეთში კორუფციის მასშტაბებით თავად დასავლეთი და აშშ-ია შეშფოთებული. გაისმის კიდევაც დამაეჭვებელი კითხვები – გაუგრძელონ თუ არა მას კრედიტების გამოყოფა? დიდი სკანდალი გამოიწვია უკრაინის ყოფილი პრემიერის კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ, რის შედეგადაც 5 მილიონი დოლარი გაიფლანგა. სექტემბრის თვეში რუს ჩინოსნებს და ბიზნესმენებს მარტო ერთი თვის მანძილზე 15 მილიარდი დოლარის ნიუ-იორკის ბანკებში უკანონოდ გადარიცხვის ოპერაციები აღმოუჩინეს, ასეთ საქმიანობაში მხილებული იქნა თავად პრეზიდენტ ელცინის ოჯახიც. მრავალი ეჭვი და მოსაზრება დადის პრიმაკოვის შვილზე, ყოფილ პრემიერ გაიდარზე, ოლიგარქებზე გუსინსკიზე, აბრამოვიჩზე, ბერეზოვსკიზე, ჩუბაისზე და სხვ. არანაკლები თანხები ექნებათ გატანილი საზღვარგარეთის ბანკებში დსთ-ს ქვეყნების სხვა ოლიგარქებსაც. ეს მასშტაბები ბევრად დიდია იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდი ოდენობით ენერგომატარებლებს და სტრატეგიულ ნედლეულს ფლობენ, ვთქვათ, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი. რუსეთში ასეთ რამესაც გაიგონებთ – კითხულობენ, – რა არის ახალი რუსეთში? პასუხობენ – ქურდობენ! დიალოგი კლასიკურია და კომენტარს არ საჭიროებს.

დსთ-ს ქვეყნებში ხელმძღვანელ პოსტებზე ჭარბად მოვლენილი პარტკომკავშირული ნომენკლატურა მოხერხებულად, უფრო კი ძირითადში ეგოისტური მიზნებისათვის იყენებს ერთ მძლავრ კოზირს – ძველ კოლეგიალობა-ნაცნობობას, რომელიც მათ დაამყარეს ძველი რეჟიმის დროს სხვადასხვა პარტიულ-კომკავშირულ ყრილობებზე, კონფერენციებზე, სემინარებზე, აქტივის კრებებზე ყოფნისას, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, საკავშირო, ზონალურ და რესპუბლიკურ პარტ-კომკავშირულ სკოლებში სწავლებისას. კომუნისტური აღზრდა-განათლების ამ ნაცად მეთოდს უკვალოდ არ ჩაუვლია. ხალხთან, მასებთან მუშაობა მათ მართლაც იცოდნენ, უბრალოდ საკითხავია რა მიზნებს ახმარდნენ ამ ცოდნა-გამოცდილებას მაშინ და როგორ იყენებენ მას დღეს?

სახელმწიფო დონეზე და მსხვილ კერძო ბიზნესში საქმიანი გარიგებების უმეტეს ნაწილს ძველი პარტიულ-სამეურნეო ნომენკლატურა ახორციელებს. ამ საქმიანობის უმთავრესი საფუძველი არის ძველი ურთიერთნაცნობობა და მასზე დაყრდნობილი ურთიერთნდობა, რასაც თავის მხრივ, ეფუძნება მომხიბლავი პერსპექტივა, – ორმხრივი დიდი მოგება. ამდენად, ხელწერა მუშაობაში არახალია, ძველია. განსხვავება მხოლოდ ტერმინებშია. წინათ მათ სამეურნეო ან მსხვილ სამეურნეო მუშაკებს უწოდებდნენ, დღეს ბიზნესმენებს ეძახიან. ისინი მაშინ ფულს ნაკლებად როდი შოულობდნენ. დღეს, უბრალოდ, მასშტაბები სხვაა, მეტი გასაქანია, საზღვარგარეთთან ურთიერთობა ხომ ზღვარდაუდებელია. რაც მათში ოდნავ შეიცვალა ისაა, რომ გულისყურით აითვისეს დასავლური ბიზნესის პრინციპები, თორემ ეკონომიკის, მეურნეობის ანბანი მაშინაც კარგად უწყოდნენ.

გიორგი ბექუაშვილი

# ანტიქართული იდეოლოგიური დივერსია კვლავაც გრძელდება

სომხეთში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ამასწინდელი ოფიციალური ვიზიტის დროს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანთან, სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის კარენ დემირჭიანთან შეხვედრებზე, სომხეთის ეროვნულ კრებაში საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში, ერთობლივ დეკლარაციაში, სხვა შეხვედრებსა და დოკუმენტებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სომხეთისა და საქართველოს ურთიერთობა ყოველთვის მეგობრული, ძმური, კეთილმოსურნე უნდა იყოს. ჩვენი ინტერესები, მსოფლიო სტრუქტურებში ინტეგრირების თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა. საყურადღებოა ისიც, რომ ამჟამად, როცა სომხურ საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები თვალსაჩინოა და სომხეთი ცდილობს, პროდასავლური კურსი აიღოს.

ამ ფონზე ძალზედ სამწუხაროა, რომ სომხეთში კვლავაც გრძელდება ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის თუ ჟურნალისტის დაუფარავი ანტიქართული პროვოკაციები და სიყალბე. სომხეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ფილარეტ ბერიკიანმა ამასწინათ განაცხადა, რომ საქართველოში თითქოს ხორციელდება სომხური კულტურის ძეგლების ანექსია (თუ პირიქით – შ.თ.) და მათი გადაქართულების, აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან სომხების გაძევების პოლიტიკაო, თითქოს ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს საქართველოში მიიღეს რამდენიმე დისკრიმინაციული კანონი, რომელთა ნაწილი დღემდე ძალაშიაო.

ერევანში კვლავაც ფუნქციონირებს საზოგადოება „ჯავახქი", რომლის თავმჯდომარემ ოვანეს ავიაზიანმა „პრაიმ-ნიუსის" კორესპონდენტთან საუბარში სამცხე-ჯავახეთში „სომხეთის ავტონომიის" შექმნის აუცილებლობა აღნიშნა.

საქართველოს პრეზიდენტის სომხეთში ოფიციალური ვიზიტის პირველსავე დღეს გამართულ ბრიფინგზე ერთ-ერთმა სომეხმა ჟურნალისტმა ე. შევარდნაძეს აშკარად წინასწარ დაგეგმილი და მომზადებული კითხვა დაუსვა – ჯავახეთში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ორმხრივ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს ხელს რამდენად უშლისო? შეკითხვა თითქმის იმავე ტონით იყო დასმული, როგორც საქართველოში სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტის დროს: თბილისსა და ერევანში შეხვედრებს ხომ არ სჯობს, ერთხელ „ნეიტრალურ მოედანზე" – ახალქალაქში შეხვდეთო? ცხადია, რომ ორივე შეკითხვა სომხეთის ოფიციალური წრეების მიერ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია იყო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბატონმა ე. შევარდნაძემ ამჯერად სომეხ პროვოკატორებს საკმაოდ პრინციპული და საკადრისო პასუხი გასცა: „ჯავახეთში სომხები ქართველებზე გვიან ჩამოსახლდნენ, თუმცა მათაც ზუსტად ისევე ვეხმარებით, როგორც წმინდა ქართულ რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობასო". ნიშანდობლივია, რომ ამავე შეკითხვაზე პასუხის გაცემისას სომხეთის პრეზიდენტმა რ. ქოჩარიანმა მეტად ბუნდოვნად და მიკიბულ-მოკიბულად ილაპარაკა (იხ. დრონი, 1999, 30 სექტემბერი).

ელემენტარული სინდისიერება და ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას საქართველოს ცენტრალური პოლიტიკური ხელისუფლება ალბათ დესტაბილიზაციის შიშითაც გაცილებით მეტს ეხმარება, ვიდრე იქაურ ქართულ მოსახლეობას. ამის დადასტურებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც ახალქალაქში – რაიონის ცენტრში, 10 წლის წინათ დანგრეული ერთადერთი ქართული სკოლა ჯერ კიდევ არაა აშენებული, ამავე რაიონის სოფ. აზავრეთში საქართველოს პრეზიდენტის მიერ 75 ათასი ლარის გამოყოფის შემდეგ დასრულდა სომხური საშუალო სკოლის მშენებლობა, რომელიც გაიხსნება ა.წ. 19 ოქტომბერს და ე. შევარდნაძის სახელობისა იქნება.

სომხეთში ოფიციალური ვიზიტის დროს ხელი არ მოეწერა სომხეთ-საქართველოს შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ დიდი ხელშეკრულების ახალ რედაქციას, ვინაიდან, სამართლიანად ე. შევარდნაძე უკმაყოფილო იყო სომხური მხარის მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი ფორმულირებით, მაგალითად „ორმაგი მოქალაქეობის შესახებ". მრავალეროვანი საქართველოსათვის ეს კატეგორიულად მიუღებელია, განსხვავებით მონონაციონალური სომხეთისაგან. „ორმაგმა მოქალაქეობამ" შეიძლება მართლაც დაძაბოს ურთიერთობა საქართველოსა და სომხეთს შორის, რადგან ამ იურიდიული ინსტიტუტის დაფუძნება ფაქტობრივად, რეალურად იმას ნიშნავს, რომ საქართველოში მცხოვრებ ადამიანს ქვეყნის მიმართ არავითარი პასუხისმგებლობა არ გააჩნდეს.

გასულ წელს ჩემ ძმასთან, ოთარ თეთვაძესთან ერთად გამოცემულ ნაშრომში – „სომხები საქართველოში (უძველესი დროიდან დღემდე)" ვწერდით, რომ „სომეხ ულტრაშოვინისტთა არაკეთილმეზობლური და არა მეგობრული იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ პირველ რიგში თვით სომეხთა ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და ინტელიგენცია უნდა გამოვიდეს. აქვე დავძენთ, რატომ სდუმს თბილისში მცხოვრები 150 ათასზე მეტი სომეხი და აქვე მოქმედი სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება? რატომ სდუმან სომეხი ეროვნების საქართველოს პარლამენტის წევრები, თბილისში მოღვაწე სომეხი მწერლები და კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი?" სამწუხაროა, რომ თბილისში და მთლიანად საქართველოში მცხოვრები დაშნაკი სომხები ანტიქართულ გამოხდომებზე არათუ ობიექტურ რეაგირებას ახდენენ, არამედ თვითონ არიან ამ პროვოკაციების უშუალო მფარველნი და მონაწილენი. ამის უდავო დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ზემოთ მოხსენებული ჩვენი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ჩემს წიგნის სპონსორის მიმართ ტელეფონით მუქარის, დაშინებისა და პროტესტების ანონიმური ზარები, ვიღაც-ვიღაც სომეხთა (ზოგიერთის გვარი ჩემთვის ცნობილია და აქ შეგნებულად არ ვასახელებ) რაღაც უკმაყოფილება და ფარული გამოძიებები, ასეთ ულირს ქმედებად მიგვაჩნია აგრეთვე თბილისის სომხური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ბატონ არმენ ბაინდურიანის ანტიქართული საქციელი. საქმე შემდეგშია: ჩვენი წიგნის „სომხები საქართველოში" 5-მდე ეგზემპლიარი შეგნებულად შევიტანე სომხურ თეატრში განლაგებული წიგნების ბუკინისტურ ჯიხურში. რამდენიმე თვის შემდეგ მივაკითხე გამყიდველ, ბატონ რობერტ პერიხანიანს (დიდი სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ იგი ქართული ცნობიერებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე არმენ ბაინდურიანი), რომელმაც მითხრა, რომ სამწუხაროდ, თქვენი წიგნები, როგორც თითქოსდა ანტისომხური, „დააპატიმრა" და გაყიდვა ამიკრძალა არმენ ბაინდურიანმაო. საინტერესოა თბილისში მცხოვრებმა სომეხმა ინტელიგენტმა, სომხური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ა. ბაინდურიანმა რატომ არ ამოაღებინა ამავე ჯიხურის გამყიდველს რ. პერიხანიანს სომხეთში დაბეჭდილი „დიდი სომხეთის" ფანტასტიკური რუკები, რომლებითაც მდ. მტკვრის მთელი მარჯვენა მხარე გორამდე სომხეთის ტერიტორიადაა დაფიქსირებული. აქვე იყიდება მოსკოვში 1998 წელს 20 ათასიანი ტირაჟით გამოცემული ვიღაც ს. მამულოვის ანტიმეცნიერული და ყალბი წიგნი „Удивительный народ из страны чудес (Армения и армяне - уникальный феномен цивилизованного мира)".

როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, არმენ ბაინდურიანი და მისი „თანამოაზრეები" უკმაყოფილონი ყოფილან აფხაზეთში შექმნილი ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის ქართველების წინააღმდეგ საძრახ ქმედობის ჩვენებური შეფასებით. საინტერესოა ვკითხოთ არმენსა და მის „თანამოაზრეებს" იმის შესახებ, თუ ისინი რა რეაგირებას მოახდენდნენ იმაზე, რომ ქართველებს შეექმნათ მარშალ ბერიას სახელობის ბატალიონი და გაეგზავნათ ყარაბაღში სომხების წინააღმდეგ საბრძოლველად?

ამრიგად, დასანანია, რომ დღესაც არიან ისეთი შოვინისტი სომხები (მათ შორის თბილისშიც), რომლებიც ნამდვილად საძრახის საქმეს ჩადიან ისტორიულად დაკავშირებული ორი მეგობარი ერის ურთიერთობის საქმეში.

შოთა თეთვაძე

საქართველო

თვალსაზრისი

# საქართველოს დამანგრეველი „ტროიკა“

მე-8 გვერდიდან.

და ამასთან დაკავშირებით ათეულ-ათასობით რუსთა, სომეხთა, ოსთა, თათართა და სხვათა შემოსახლება ამ ობიექტების მუშა-ხელით უზრუნველყოფის მოტივით. ყველაზე მეტი ევაკუირებული შემოასახლა მან საქართველოში რუსეთ-გერმანიის ომის დროსაც, აქვე მინდა მოვახსენო მკითხველს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტის შესახებაც, სტალინის იგივე ასიმილიატორული პოლიტიკის ირგვლივ ქართველი ერის მიმართ. 1921-22 წლების მასობრივი შიმშილობის ჟამს, ჩრდილო კავკასიიდან აიყარა და სომხეთის საზღვრებს მიადგა დიდძალი სომხობა. სომხეთის კომუნისტურმა მთავრობამ თავის სისხლხორცეულ ძმებს საზღვარი გადაუკეტა. მაშინ მათ პირი საქართველოსკენ იბრუნეს. ამ დროს ქადა-ნაზუქის სუნით არც საქართველო იბნიდებოდა და ბუნებრივია, თუ სომხეთის ხელისუფლებამ ისინი თავის ქვეყანაში არ შეუშვა, არც საქართველო იყო მოვალე, რომ ისინი საქართველოში შემოესახლებინა. სტალინმა საყვედურიც არ აკადრა ამ გულქვაობისათვის სომხეთის ხელისუფლებას. სამაგიეროდ, სასტიკად გაკიცხა საქართველოს მთავრობა და თანაც აიძულა, რომ ლტოლვილი სომხობა საქართველოში დაესახლებინათ. ჩვენ კი დღესაც ამ უსამშობლო და უეროვნებო გარეწარის სადღეგრძელოს ვსვამთ ქორწილ-ქელეხებში ფეხზე ადგომით?!

სტალინის მიერ ჩადენილი აქ აღნიშნული და უამრავი აღუნიშნავი ბოროტმოქმედებების ფაქტებიდან გამომდინარე, მთელი ლოგიკურობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სტალინს, როგორც უბოროტეს ტირანს, არ ჰყავდა პროტოტიპი მსოფლიო ისტორიაში, რადგან მისი წინამორბედი ტირანები – გნებავთ მურვან-ყრუ, ჩინგიზ-ყაენი, თემურ ლენგი, ივანე მრისხანე, შაჰ-აბასი და თვით მისი თანამედროვე ჯალათები – ლენინი და ჰიტლერი, მართალია სხვა ხალხებს იპყრობდნენ, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ, მაგრამ ისინი თავიანთი სამშობლოს მტრები როდი იყვნენ! სტალინი კი გახლდათ არა მხოლოდ ულმობელი აგრესორი რუსეთის იმპერიის გაფართოებისათვის ბრძოლაში, აღნიშნულ ტირანთა მსგავსად, არამედ უპირველეს ყოვლისა, თავისი სამშობლოს მოძულე და მტერი. იგი, პირადი კარიერის მიზნით, თავის მრავალტანჯულ სამშობლოს დაუპირისპირდა და ყველაფერი გააკეთა არა მარტო მის დასამცრობად და დასანაწევრებლად, არამედ დედამიწის პირიდან ქართული გენის აღმოსაფხვრელადაც კი.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: ვინ იყო სტალინი თავისი გვარტომით, ასეთი მძულვარებით რომ იყო აღმსდაგრი საქართველოს წინააღმდეგ?! სტალინის გენეალოგიური ვინაობა ზუსტად წარმოაჩინა ორმა დიდებულმა ქართველმა მწერალმა – მიხეილ ჯავახიშვილმა და გრიგოლ რობაქიძემ. მიხეილ ჯავახიშვილმა ეს გააკეთა ლიტერატურული შეფარვით თავის შესანიშნავ რომანში – „ჯაყოს ხიზნები“, რასაც ჩემი აზრით, შეეწირა კიდეც (ანდრე ჟიდის საკითხი, აქ მხოლოდ დამატებით ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს). ამ რომანში წარმოდგენილი პერსონაჟები – ჯაყო, მარგო, თემური – ასე უნდა აღვიქვათ: ჯაყო ჯივაშვილი – ეს იგივე ჯაყო ჯუღაშვილია, რომელმაც გათელა უსუსურ მდგომარეობაში მყოფი – მარგოს სახით წარმოდგენილი საქართველო, ხოლო თემური, ესაა ენაბლუ და ოჩონპეტრე ჟორდანია, რომელმაც ვერ დაიცვა საქართველო ველური ძალისაგან და უცხოეთში გაძევებული კვლავ ელოდა, რომ დაიბრუნებდა საქართველოს მმართველობას, ამას გულისხმობს რომანის ბოლო ფრაზაც: „ახლაც ელის ნაქმარევი ნაცოლარს“.

რა შეეხება გრიგოლ რობაქიძეს – მან თავის რომანში – „ჩაკლული სული“ – პირდაპირ დაგვისახელა, რომ სტალინის მამა ბესო იყო. უფრო ზუსტად – ლილოელი ოსი. აქედან მოსდგამდა სტალინს ოსური სიჯიუტე და ღრძო ხასიათი. ახლა გავეცნოთ სტალინის რობაქიძისეულ დახასიათებას: უპირველეს ყოვლისა, სტალინს იგი ქართველობის საპირისპირო პოლუსად მიიჩნევს აღნიშნულ რომანში. შემდეგ იგი ასე აგრძელებს სტალინის დახასიათებას – „ვიწრო, სუსტად განვითარებული შუბლი... ჭორფლი, რომელიც მისი სახის ფერს ციცარს ამსგავსებდა. ულვაშებში ირონია, დაცინვა ჩამალულიყო, თითქოს სურდა ეთქვა: მე ვხვდები, რისი დაფარვაც გინდა. ამ მდუმარე განცხადებას მაღლა აწეული მარცხენა წარბი აძლიერებდა... მთელს



მის არსებაში უბედურების მომტანი ცივი სისხლი იგრძნობოდა, რომელიც მზაკვრობით ყველას აჯობებს. მისი მზერის წინაშე ყოველი ნება უკან იხევდა.

სტალინი ნაბიჯებს კატასავით ნელა, რბილად ადგამდა, თითქოს სურდა რაღაცას დამალვოდა ან ვინმეს შეუმჩნევლად თავს დასხმოდა... სტალინმა ლექსების თხზვაც კი სცადა – შესაძლოა, პატრიოტულისა – მაგრამ იმავე დროს ესპერანტოსაც სწავლობდა: უკვე მაშინ სწამდა მსოფლიო ენისა, ცხადია, მექანიკურად შეკოწიწებულისა. აშკარად სტანჯავდა სამყაროს ორგანული მრავალფეროვნება. მეტიც: თვით სიცოცხლის ატანა არ შეეძლო. მკრეხელურად ოცნებობდა ნგრევაზე, რათა თავისი გამანადგურებელი თვითნებობა გამოეცადა და გაეტარებინა...

ის დაშორდა ღმერთს და თავაშვებულ თვითმმართველად აღზარდა თავი. ის ყველგან ცუდს ხედავდა, და სადაც კეთილს შეხვდებოდა, დამცინავად იღიმებოდა. ცივსისხლიანი სასტიკად უმოწყალო გახდა, ერთხელ ერთ შუკაში წიწილას ფეხი დააბიჯა, ჰყვებიან. წიწილას ცალი ფეხი მოსტყდა და წივილით გაფრთხიალდა. სტალინი დაეწია და მთლად გასრისა. „შენ მაინც აღარ ივარგებ“ – დაიყვირა უცნაური მრისხანებით“.

გრიგოლ რობაქიძის ამ მონათხრობში რომ არაფერია გადაჭარბებული, მეც შემიძლია დავუმატო ერთი საინტერესო დეტალი, ზუსტად ამგვარი შინაარსისა, რაც თავად მომისმენია სტალინის ერთი თანაკლასელი მღვდლის, გორის სასულიერო სემინარიიდან, რომელიც გახლდათ სანდრო ახმეტელის ძმა. აი, რას ყვებოდა იგი: „თავისუფალ დროს ხშირად გავდიოდით ლიახვის პირას – ზოგი ბანაობდა, ზოგიც სხვადასხვა თამაშით ერთობოდა. სტალინი კი კაკანათით ბეღურებს იჭერდა, დაპტკვნიდა ცოცხალ ბეღურებს და მათი ცქერით ტკბებოდაო“.

სტალინი ბავშვობის წლებიდან ქართველ კაცად მოევლინა საქართველოს სოსო ჯუღაშვილის გვარ-სახელით და როგორც სახელოვანი მწერალი გრ. რობაქიძე გადმოგვცემს – პატრიოტულ ლექსებსაც თხზავდა საქართველოს მიმართ. კერძოდ, ყოველმა ქართველმა იცის მისი ლექსი – „დილა“. მაგრამ, მას შემდეგ, რაც იგი რუსეთში გადასახლდა და იქ საკმაოდ პრესტიჟულ კარიერას მიაღწია, ახლა უკვე რუსი ხალხის გულის მოგების მიზნით, თავი რუსად გამოაცხადა და მშობლიურ ენადაც რუსული აღიარა. ხოლო ბოლოს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ჟამს, იგივე მაამებლური თვალსაზრისით, რუსები „დიდ რუს ხალხად“ გამოაცხადა სხვა ერების დაჩრდილვის ფონზე, როცა სინამდვილეში ეს ერის კი არა, ბევრია თავისი მრავალრიცხოვნობით და არათუ რითიმე მაღლა დგას სხვა ხალხებზე, პირიქით, ხასიათდება არარუსი ხალხისადმი უკიდურესი შოვინიზმითა და იმპერიული განწყობილებით. რა ვუწოდოთ სტალინის აღნიშნულ საქციელს, თუ არა კონდოტიერობა, რომელიც პირადი კარიერის მიზნით ხელსახოცივით იცვლიდა რჯულს, ეროვნებას, ენას და სამშობლოს?

დაბოლოს, არ შეიძლება არ შევეხოთ სტალინის ეგრეთწოდებულ ფასდაკლების პოლიტიკასაც. ამ მოტივით ხომ დღესაც ვერ გამოსულან ცრუ ილუზიებიდან შევარდნაძის მიერ დამშეული სტალინის ბრმა მოყვარულები. საქმის რეალური ვითარება კი აი, როგორია: 1947 წელს ფულის რეფორმის დროს, როცა ხალხი კარგა ხანს ვერ ერკვეოდა ძველი და ახალი ფულის სხვაობასა და ანგარიშში, სტალინმა უხმაუროდ, ყოველგვარი სახის საქონელზე გაადიდა ფასები თითქმის 100%-ით. შემდეგ კი დიდის ზარ-ზეიმით აცხადებდა უკიდურესად გაძვირებულ ამ საქონელზე ორ-ორი შაურის ფასდაკლებას ყოველწლიურად. ეს კი დაახლოებით იგივეს ნიშნავდა, რომ ჯიბგირმა ჯერ ერთი მილიონი მანეთი წაგგლიჯოს, ხოლო შემდეგ შენი კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად, რამოდენიმე წელიწადს და არა მუდმივად ორ-ორი შაური გიბრუნოს უკან და შენ ამით მადლობელი რჩებოდე.

ამგვარად, სტალინის ეგრეთწოდებულ მოღვაწეობაში არ არსებობს გარდა ბოროტებისა, ელემენტიც-კი სიკეთისა. ამიტომ ცივილიზებული კაცობრიობის მიერ სავსებით მართებულადაა დაგმობილი იგი, როგორც მრავალფეროვანი კაცობრიობის გადაგვარების მოსურნე და საერთოდ, არნახული კაცთმოძულე. ამიტომ ჩვენც – ქართველები, დროა გამოვიდეთ შოკური ილუზიებიდან და რეალურად შევხედოთ სტალინის პიროვნებას. რეალობა კი ასეთია: სტალინი იყო არა მხოლოდ საკაცობრიო ჯალათი, არამედ უპირველეს-ყოვლისა ქართველი ხალხის უკიდურესი მოძულე და მტერი. აქედან გამომდინარე, უყვარდეს ქართველ კაცს სტალინი – ეს, დიდი უგუნურებაა!

ბ. ჯიღაურიშვილი

გაგრძელება იქნება

# კოსმოპოლიტიზმის შავი ჭირი საქართველოში, ანუ ილიას მკვლელები საქართველოსაც მოკლავენ

მე-8 გვერდიდან.

წარმოიდგენდა, რომ გაივლიდა თითქმის 100 წელი და სოც- დემოკრატების იდეებით ნასაზრდოები მათი ნაშიერნი კოსმოპოლიტიზმის შავი ჭირით შეპყრობილი ახალი თაობის კოსმოპოლიტები კიდევ უფრო უარეს მკრეხელობას ჩაიდენდნენ – ეროვნება და მამის სახელი ქართველებისათვის რა საჭიროაო და უმაღლეს დონეზე დაამტკიცებდნენ ამ სატანურ აზრს; ხოლო ერის ყველაზე დიდი სულიერი მამების – ილიას, აკაკის, ვაჟას სურათებს ეროვნული ბიბლიოთეკის კედლებიდან მოისვრიდნენ – რაღა დროის ილია, აკაკი და ვაჟააო.

ალბათ, ეს სულმნათნი უკვე გადაბრუნდნენ საფლავებში.

ილიას ტრიადა „მამული, ენა, სარწმუნოება“ გადასახედიაო, ამჯერად ცოტა მოკრძალებული ტონით ბრძანა ერთ-ერთმა თავგამოდებულმა კოსმოპოლიტანმა, ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა, თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში.

საუკუნის დასაწყისში ილია ფიზიკურად გაანადგურეს, საუკუნის ბოლოს ყველაზე ვერაგული გეგმის განხორციელება დაიწყეს – დაიწყეს შეტევა ილიას სულიერ საგანძურზე, ილიას შემოქმედებასა და ეროვნულ მრწამსზე, იციან რა, რომ ილიასეული იდეოლოგიის, მისი შემოქმედებისა და მოძღვრების, მისი ანდერძის იავარქმნა და განადგურება – ეს უკვე საქართველოს განადგურებაა, მისი ფესვების ამოძირკვაა, მისი სამომავლო, სასიცოცხლო ღეროსა და ყლორტების გადაჭრაა.

გაუგონარი და საოცარი კი ისაა, რომ საქართველოში ქუდზე კაცი არ გამოვიდა თავისი მეობის, თავისი ისტორიის, თავისი ეროვნულობის, თავისი სულიერი მოძღვრების დასაცავად და მხოლოდ ერთეულებმა აღიმაღლეს ხმა კოსმოპოლიტურ ბაკქანალიაში.

მალე საქართველოში პარლამენტის ახალი არჩევნები გაიმართება, რომელზეც ბევრი რამაა დამოკიდებული, კერძოდ, ქვეყანა კვლავ გააგრძელებს კოსმოპოლიტების უიდეოლოგიო იდეოლოგიით სვლას და საბოლოოდ უფსკრულში გადაიჩეხება თუ ხალხს ეყოფა გონიერება და მეტნაკლებად ეროვნული ინტერესებით დამუხტულ ადამიანებს აირჩევს პარლამენტში.

ყოველ შემთხვევაში, ახლა ერთი რამის თქმა შეიძლება, არჩევნების წინა პერიოდი ჯუნგლის „ადათწესებით“ მიმდინარეობს – ერთმანეთის ლანძღვა-გინება, დაპირისპირება, კომპრომატები, რაც ძალიან შორს დგას დემოკრატიული და თავისუფალი ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრების წესებისაგან და რასაც, სამწუხაროდ, ძალიან ცუდი სუნი – სამოქალაქო დაპირისპირების სუნი ასდის; ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ეს ქართველთათვის საბოლოო ფიასკო იქნება.

მომავალ პარლამენტს კი ორი მთავარი ამოცანა ექნება გადასაწყვეტი – ბრძოლა და ზრუნვა ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტული ინტერესების დამკვიდრებისათვის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დამკვიდრებისა და ბრძოლა ქვეყნის დამღუპველი კოსმოპოლიტიზმის შავი ჭირის წინააღმდეგ; და ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება არჩეული პარლამენტის შემადგენლობაზე.

ბევრი კანდიდატი, გამოდის რა წინასაარჩევნო კამპანიაში, ხალხს გულაჩუყებულად მიმართავს – „ჩემი ამომრჩევლებო“. მეც ერთ-ერთი „ჩემი ამომრჩეველთაგანი“ გახლავართ, რომელთა ხმებზეც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის მომავალი, მაგრამ აქედანვე წინასწარ ჩვენ არჩეულთა პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დავსვათ, ამიტომ მე მივმართავ იმ 13 ბლოკის პარტიებს, 22 ცალ-ცალკე მონაწილე პარტიას, მე მივმართავ იმ პარტიებს, რომელნიც არჩევნებში არ მონაწილეობენ იმ 170 პარტიიდან, რომელნიც რეგისტრირებულია ქვეყანაში, მივმართავ ყველას, ვინც მკერდში მჯიღს იბრაგუნებს – საქართველოზე ფიქრით დღე და ღამე არ მძინავსო, მივმართავ ყველას ორი შემდეგი კითხვით:

1) ვინაა მომხრე, რომ თუ ახლადარჩეული პარლამენტი ორი თვის ვადაში ახალი საუკუნის იანვრამდე არ აღადგენს ეროვნულობას, მაშინ 2000 წლის იანვრიდან დაიწყოს კამპანია პარლამენტის ვადამდელი არჩევნებისათვის, პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად; ასეთი მოთხოვნა აამაღლებს მომავალი პარლამენტარების პასუხისმგებლობას;

2) ვინაა მომხრე, რომ კოსმოპოლიტიზმი საქართველოში გამოცხადდეს ერესად, არა კუდიანებზე ნადირობის თვალსაზრისით და კოცონზე დაწვით., არამედ იმ თვალსაზრისით, რომ კოსმოპოლიტები არ უნდა იყვნენ, ასე თუ ისე, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და აქედან გამომდინარე, ვინაა მომხრე, რომ საჯარო ბიბლიოთეკას კვლავ აღუდგეს გენიალური კოსმოპოლიტისა და სატანის მიმდევრის კარლ მარქსის სახელი ან ბატონ ლევან ბერძენიშვილს გამოენახოს შესაფერისი თანამდებობა (სხვათა შორის, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ბიჭებს დიდი გამოცდილება აქვთ და კარგი იქნება თუ, როგორც გამაფრთხილებელი ღონისძიება, ერის მომავალი გადარჩენისათვის, ცნობილი კოსმოპოლიტების ფიტულების დაწვა ცერემონიალს გამართავენ თავისუფლების მოედანზე).

ასე რომ, ამ კითხვებზე გამოხმაურებების მიხედვით დადგინდება, იმ 170-მდე პარტიიდან საქართველოსათვის მართლა ვის უძგერს გული; თუ არა და კიდევ ერთი წინადადება შემომაქვს – მაშინ უპრიანი იქნება 2000 წლის იანვრიდან საქართველოსა და თბილისის ყველა შემოსასვლელში დიდი ილიას წინასწარმეტყველური სიტყვები გავაკრათ დიდი ასოებით – „აქ არც დიდსა და არცა პატარას, ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“ და სტუმარს წინასწარ ეცოდინება, თუ როგორ ქვეყანაში შემოდის, ხოლო ამ სტრიქონების ავტორი მწარე ბოღმითა და გულისტკივილით გაიმეორებს ერთი პოეტი ქალის გულიდან ამოხეთქილ ნაღვლიან სიტყვებს:

*„ფურთხის კი არა, მეტის ღირსი ხარ,*
*შენ საქართველოვ, პატივაყრილო,*
*ეს რა იუდას გზებით მიდიხარ,*
*ერთ დროს ერო და ახლა ნადირო“.*

ღმერთმა ქნას, ამ სიტყვების გამეორება არც მე დამჭირვებოდეს და არც სხვას.

წერილის დასასრულს კი ერის სულმნათი შვილების – ვაჟასა და ილიას სიტყვებს მოვიყვან – „ნაღვლითა და ბოღმით აღსავსე მე ა[...] ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთაყვანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირელნი და სავალალონი ჩვენი ქართველებისაგან“ (ვაჟა).

„თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისი ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყოველსაგან შერისხული იქნება, როგორც ულირსი, თვით იმათგანაც კი, ვინც ეხლა სიხარულით ამისთანა კაცს შეეკედლება ხოლმე და ულოლიობებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გადაუდგა, სხვისას ვერ იერთგულებს“ (ილია).

ღმერთმა ქნას, ილიას ეს სიტყვები მალე ამხდარიყოს.

ბიძინა თავა[...]

*საქართველოს ბუნებისა და ისტორიულ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ფესვების“ პრეზიდენტი*

დასასრული. დასაწყისი „საქართველო“ №39

# რატომ არ ვუჭერ მხარს მოქალაქეთა კავშირს

მოქალაქეთა კავშირი ყველა ღონეს ხმარობს, რომ არჩევნების წინ ხალხის თვალში დაპირებების პატიოსნად აღმსრულებელ პარტიად გამოჩნდეს. 4 წლის წინ კი მათი მთავარი დაპირება იყო მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა და ფაქტიურად უმუშევრობის აღმოფხვრა ქვეყანაში. მმართველ პარტიას აქვს იმის ბერკეტები, რომ რეალურად იცოდეს, თუ რა საშინლად არის ამ მხრივ საქმე ქვეყანაში, რომ უმუშევრად და უსაქმოდ დაბორტებს ასი ათასობით ჯანღონით სავსე ადამიანი და ამის გამო სასოწარკვეთილია, მაგრამ მმართველი პარტიის შუბლით კედლის გამტანი ლიდერები იხტიბარს არ იტეხენ და ვითომცდა წყალგაუვალი სტატისტიკური მონაცემებით ცდილობენ ამ დაპირების ნაწილობრივ შემსრულებლებად მაინც გამოჩნდნენ. მათი ინფორმაციით უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე შექმნილა 48 ათასზე მეტი შპს და სააქციო საზოგადოება, სადაც თურმე დასაქმებულია 638 ათასი ადამიანი. შესანიშნავი არგუმენტია სიმართლეს რომ შეეფერებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არგუმენტი ისეთივე აფიორაა, როგორც, მაგალითად, ... ჰაერში ფრენის ფოკუსი.

ამ 48 ათას შპს-ში შედის ყველა ის ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობასაც ფინანსების, შეღავათიანი კრედიტებისა და დაბალი გადასახადების უქონლობის გამო კაპიკის საღირალი არ შეუქმნია და მხოლოდ ქაღალდზე არიან დაფიქსირებულნი ე.წ. მკვდარი სულებივით, რომლებიც ვითომ მუშაობენ, მაგრამ რეალურად არ მუშაობენ. ასე რომ, ამ შპს-ებში გაერთიანებული 638 ათასი ადამიანთა დიდი უმრავლესობა კვლავაც გაფაციცებით ეძებს სამუშაოს.

რაც შეეხება დასაქმებულებს, არა გვგონია დასაქმებულად ჩაითვალოს მეცნიერებათა დოქტორი, რომელიც იძულებულია ღვეზელებით ივაჭროს, როგორც ამას აღნიშნავს მოქავშირის საარჩევნო ბიულეტენი.

სამაგიეროდ, მოქალაქეთა კავშირი შემდგომ ოთხწლიან პერიოდში გვპირდება უკვე არა მარტო ჩვეულებრივ სამუშაო ადგილებს, არამედ ღირსეულ სამუშაო ადგილს, რაც ისეთივე მორიგი ტყუილია, რაც ამ პარტიას ჩვევია, რადგან ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას ქვეყნის ნიჭიერად და პატრიოტულად მართვა სჭირდება, რაც ღირსების ორდენების დაკიდებასავით ადვილი არ არის.

მოქკავშირი იმედს გამოთქვამს, რომ ეს პრობლემა გადაიჭრება მრავალმილიონიანი ინვესტიციებით, მაგრამ ეს ინვესტიციები ყოვლისმომცველი კორუფციის პირობებში, ქვეყანაში რომ არ შემოვა, ამაზე თვალს ხუჭავს.

მოქალაქეთა კავშირი ბატი-ბუტივით არიგებს დაპირებებს და პენსიების სამჯერ გაზრდას ჰპირდება ჩვენს ხანდაზმულ თაობას. ეს მაშინ, როცა პიროვნების აბუჩად ამგდები 14 ლარიანი პენსიაც კი ლამის წლობით ვერ გაუცია საშიმშილოდ განწირული პენსიონერებისათვის.

2002 წლიდან საშუალო განათლება ყველასათვის უფასო იქნებაო, ლოზუნგს ისვრის ჩვენი ცოდვით სავსე პარტია, მანამდე კი ერთი „ხასტოის“ დროინდელი ანეკდოტისა არ იყოს, უფულო ხალხს ხომ დაგვრჩა ბავშვები უსწავლელი და ეს ხდება ცივილიზაციის ეპოქაში, როცა ბევრ ქვეყანაში არათუ საშუალო განათლება, არამედ უმაღლესი განათლებაც კი სახელმწიფოს მხრიდან ფინანსირდება, არაფერს ვამბობ სამეცნიერო სფეროსადმი განსაკუთრებულ მზრუნველობაზე.

მოქკავშირი 14 წლამდე ასაკის ბავშვების უფასო მკურნალობას გვპირდება, ასევე 65 წლის ზევით ადამიანებისათვის უფასო ჯანდაცვას, 65-ს რომ 14 გამოვაკლოთ, ვიღებთ 51 წელს, მაშასადამე, 51 წელიწადის განმავლობაში თუ ვინმეს უმტყუნა ჯანმრთელობამ და ფული არა აქვს, სჯობს სასაფლაოზე ადგილი ეძებოს. მმართველი პარტია გვპირდება მთელ საქართველოში 24 საათიანი ელექტროენერგიის მიწოდებას მაშინ, როდესაც ჯერ შემოდგომის სუსხი არ შესულა ძალაში და თბილისში შუქის საათობით გამორთვა დაიწყეს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან წლების მანძილზე ვერ მოხერხდა ენერგომაფიასთან გამკლავება, რაც ამ ხელისუფლების უსუსურობაზე მეტყველებს.

მოქკავშირს არ ეყო საქართველოს გზების შესაკეთებლად ოთხწლიანი მმართველობა და ამ საქმის გამოსწორებას შემდგომ ოთხ წელიწადში გვპირდება, თუ, რა თქმა უნდა, კიდევ აირჩევენ უმრავლესობით.

მოქკავშირი მრეწველობის განვითარებაზე როცა საუბრობს, ეჭვი გიპყრობს, ჩვენს ქვეყანაზეა საუბარი, თუ რომელიმე განვითარებულ სახელმწიფოზე – „ეკონომიკურმა რეფორმებმა ბევრი საწარმო აამუშავა, ამოქმედდნენ გიგანტები: საავიაციო ქარხანა, ჭიათურმანგანუმი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის ქიმკომბინატი, ქუთაისში უშვებენ მანქანებსა და თვითმფრინავებს, საქართველო შევიდა კოსმოსური ტექნოლოგიების სფეროში. ამის წაკითხვის შემდეგ რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანა მართლაც აღმშენებლობის გზაზეა, ხოლო ჩვენ ისე დავბრმავდით, რომ ვერცერთი ოფთალმოლოგი ველარ გვიშველის.

მოქკავშირი გვპირდება, რომ იმპორტს ქართული საქონელი შეცვლის, ეს მაშინ, როცა ქართული მრეწველობის განვითარებისათვის მისაღებ საკანონმდებლო ბაზას არ ქმნის, ხოლო ფინანსურ მხარდაჭერაზე ხომ საერთოდ არ არის ლაპარაკი.

მოქკავშირი საქართველოს იურისდიქციის აღდგენას გვპირდება დაკარგულ ტერიტორიებზე და ამისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევენ შეიქმნას ძლიერი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი არმია, რისთვისაც ამერიკას თურმე მარტო 1999 წელს 100 მილიონი დოლარი გაუღია. თუ მართლა ამხელა თანხებით გვეხმარებიან, თქვე მამაცხონებულებო, ვერ დაურიგებთ თვეობით გაუცემელ ხელფასებს ოფიცრებს და ვერ ჩააცმევთ და აჭმევთ ქართველ ჯარისკაცებს. ჯერ კიდევ როდის ამბობდა სუვოროვი, რომ მშიერი ჯარისკაცი ომს ვერ მოიგებსო და ომის მოგების სურვილი რომ ყოფილიყო, ეს ელემენტარული მოთხოვნა უნდა შესრულებულიყო.

რაც შეეხება ქართულ კულტურაზე ზრუნვას, კულტურა და ხელოვნება ხალხისთვის იქმნება, ხოლო როცა ხალხის პრობლემა ლუკმა-პურის შოვნაა, მას კულტურისათვის არ ცხელა. სწორედ ამიტომაა ცარიელი – ქართული თეატრები და კინოდარბაზები, სპორტული ღონისძიებები და საკონცერტო დარბაზები, რაც საერთო ჯამში კულტურის კრიზისსაც იწვევს.

ყველა ეს მინუსი, რაც მოქკავშირის მმართველობას გააჩნია, მას აძლევს ქვეყნის მართვის არა პოზიტიურ გამოცდილებას, როგორც თავად აღნიშნავს, არამედ უარყოფით გამოცდილებას. ამიტომაც არ უნდა მიეცეს ხმა მოქკავშირს, რომ აღარ გაგრძელდეს ქვეყნის სავალალო მდგომარეობაში ჩაგდების პოლიტიკა.

რაც შეეხება ცნობილი მსახიობებისა და სპორტსმენების და მომღერლების მხარდაჭერას მოქალაქეთა კავშირის მიმართ, უნდა ითქვას, რომ ბევრ მათგანს დაუფიქრებლობის კვალი აზის ან კონიუნქტურული მოსაზრებით არის გაკეთებული.

აი, მაგალითად, ქალბატონი ნანი ბრეგვაძე თურმე იმიტომ უჭერს მხარს მოქკავშირს, რომ მასში ბევრი მისი ნაცნობი და მეგობარია, მაგრამ ქვეყნის ბედის ნაცნობ-მეგობრებზე მინდობა, არა გვგონია სწორი იყოს, მითუმეტეს, როცა აშკარად ჩანს, რომ ამ ნაცნობ-მეგობრებმა ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანეს. ჩვენთვის საყვარელი მსახიობი გივი ბერიკაშვილი თურმე მხოლოდ იმ პარტიას აძლევს ხმას, რომელიც გაიმარჯვებს, ხოლო გამარჯვებით ფიქრობს შევარდნაძის პარტია გაიმარჯვებს. ბოლო ინფორმაციებით, ბატონო გივი, თურმე ასლან აბაშიძის „აღორძინება“ იმარჯვებსო, ასე რომ, იქნებ „აღორძინებისთვის“ მიგეცათ ხმა.

რაც შეეხება ცნობილ ფეხბურთელის შოთა არველაძის გამონათქვამს, რომ მე მოქალაქეთა კავშირის ნაკრებად ვთვლი თავს და მე, როგორც ეროვნული ნაკრების წევრი, მოქკავშირს ვუჭერ მხარსო, უნდა აღინიშნოს, რომ ეს შედარება ბევრს არაფერს სძენს მოქკავშირს, რადგან არც ეროვნული ნაკრები უქნია ფეხბურთში ღმერთს და არც მოქალაქეთა კავშირის ნაკრები.

ასე რომ, მოქალაქეთა კავშირის ამ საარჩევნო ბუკლეტის წაკითხვის შემდეგ მოაზროვნე და დაკვირვებული კაცი უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, თუ რატომ არ უნდა დაუჭიროს მხარი მოქალაქეთა კავშირს.

გია თვალავაძე

# საიდუმლოებით მოცული ქეთი მერკვილაძე სიკვდილს სასწაულით გადაურჩა...

*– ქეთი, როგორ ფიქრობ, იპოვე შენი მოწოდება, რისთვისაც იყავი დაბადებული?*

– ახლა ვფიქრობ, რომ კი. მე სწორი არჩევანი გავაკეთე. იპოვო შენი მოწოდება, ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მთავარი, რომ ადამიანმა ბედნიერად იგრძნოს თავი.

*– ჟურნალისტი რომ იყო, აიღებდი ინტერვიუს ქეთი მერკვილაძისგან და რატომ?*

– ძალიან ბევრ ჟურნალისტს ვხვდები და ვმეგობრობ მათთან, მე მსიამოვნებს მათთან ურთიერთობა, რადგან ბავშვობაში მეც ჟურნალისტობაზე ვოცნებობდი. სხვადასხვა გაზეთებიდან მოდიან ჩემთან და ვფიქრობ, რომ მათ ქეთი მერკვილაძე ძალიან აინტერესებთ. მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ვარ ქეთი და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მაქვს. მე რომ ჟურნალისტი ვიყო, ავიღებდი ქეთისგან ინტერვიუს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგი მეგობრები ვართ მე და ჟურნალი „ვარსკვლავები“. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო მათ. სწორედ „ვარსკვლავების“ დისკოთეკაზე გადავიღე ჩემი ახალი ალბომის ერთ-ერთი სცენა. ბესო, ლიკა, დიდი მადლობა და მადლობა ყველას, ვინც ჩემთან იყო.

*– შენ პოპულარული მომღერალი ხარ. ამჟამად როგორ გგონია, გასტანს დიდხანს შენი პოპულარობა?*

– მე ვეცდები, რომ რაც შეიძლება დიდხანს გასტანოს ჩემმა პოპულარობამ, რისთვისაც მთელ ჩემს საქმეზე ვარ კონცენტრირებული და მომავალში, ალბათ, უფრო მეტს გავაკეთებ.

*– რამდენად წარმატებული გამოდგა თქვენთვის 25 სექტემბერს სპორტის სასახლეში გამართული კონცერტი?*

– მე ვფიქრობ, რომ წარმატებულად ჩაიარა ამ გრანდიოზულმა კონცერტმა. ჩემს თაყვანისმცემლებს ამ კონცერტზე ახალი სიმღერა ვაჩუქე. ბედნიერი ვარ, რომ ეს სიმღერა ძალიან მოეწონათ. სწორედ ამ სიმღერაზე ვიღებ ახლა კლიპს, რომელსაც მაყურებელი სულ მალე იხილავს.

*– თქვენი მესამე ალბომის სახელწოდება არის „ქალს +“. ვინ არის ეს პლიუსი?*

– ეს ჯერ კიდევ საიდუმლოა (იცინის).

*– ქეთი, რამ განაპირობა შენი პოპულარობა?*

– მე გეტყვით რა არის საჭირო და აუცილებელი იმისათვის, რომ პოპულარული გახდე. ამისათვის საჭიროა: ნიჭი, გარეგნობა, მონდომება, ბევრი ფული და ჭკვიანი პროდიუსერები. კიდევ არის უამრავი ნიუანსი, რომელსაც არ გაგიმხელთ. ისე, თქვენც თუ ნიჭი, მონდომება, ფული და ჭკვიანი პროდიუსერები გყავთ, აუცილებლად გახდებით პოპულარული.

ამასთანავე, უნდა გახსოვდეთ, რომ პოპულარობა ძალიან მაცდუნებელია. თუ პოპულარობა თავში აგივარდათ და დაგავიწყდათ, რომ თქვენც ადამიანი ხართ, ხალხი არასოდეს მიგიღებთ და შეგიყვარებთ. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ შენც ადამიანი ხარ, ვარსკვლავად არავინ დაბადებულა.

*– როგორც აღნიშნე, პოპულარობისათვის ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი კრიტერიუმი ფულია. ვინ გიწევთ ფინანსურ დახმარებას და გყავთ თუ არა სპონსორი?*

– კარგი სპონსორი რომ მყავდეს, გაცილებით ბევრს გავაკეთებდი, გაცილებით ნაკლებ დროში.

*– თუ საიდუმლო არ არის, შენი ყოველთვიური შემოსავალი?*

– ოჰ, ძალიან ბევრს ითხოვთ ჩემგან. არ მინდა ამაზე ხმამაღლა ვილაპარაკო.

*– გყავს თუ არა პოლიტიკური პარტიების სახით სპონსორები?*

– ეს შეკითხვა თქვენც გაინტერესებთ? – როგორ არა, მაგალითად, ტყიბულში ჩემი კონცერტის ხარჯები მთლიანად „ეროვნულ-დემოკრატიულმა“ პარტიამ დააფინანსა. კახეთში – მოქალაქეთა კავშირმა. ამაში მე ვერაფერს ვხედავ ცუდს. ისინი ხომ ყველა ქართველები არიან.

*– არჩევნების წინ რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად ხომ არ გამართავ კონცერტებს?*

– ეს ჩემი პირადი საიდუმლოებაა. იმას კი გეტყვით, რომ ოთხ ოქტომბერს რუსთავში მქონდა კონცერტი. 5,6,7 კი – ქუთაისში. შემდგომი კონცერტების განრიგი კი ისევ ჩემი საიდუმლოა.

*– ამ ბოლო დროს ხელოვნების მრავალი ცნობილი მოღვაწე პრეტენზიას აცხადებს დეპუტატობაზე. ხომ არ ფიქრობთ სამომავლოდ უფრო მეტი დრო დაუთმოთ პოლიტიკას?*

– ჯერჯერობით არა. მომავალში ვნახოთ...

*– მოახლოებულ არჩევნებში მიიღებ თუ არა მონაწილეობას და თუ საიდუმლო არ არის, ვის უჭერ მხარს?*

– დიახ, მივიღებ მონაწილეობას. თუ ვის მივცემ ხმას, ეს ჩემი საქმეა (იცინის).

*– რა მატებს შენს ცხოვრებას აზრს?*

– ცხოვრებას? არ მახსოვს, ვინ თქვა, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს ეს სიტყვები: „იცოცხლე ისე, თითქოს აი, ახლა უნდა გამოეთხოვო სიცოცხლეს, თითქოს დრო, რომელიც დაგრჩენია, მოულოდნელი საჩუქარია“.

*– როდის გრძნობ თავს ბედნიერად?*

– აბსოლუტურად ბედნიერი ადამიანი არ არსებობს. ყველას რაღაც გაწუხებს. ასე ვარ მეც. ვფიქრობ, ადამიანი ბედნიერია მაშინ, როდესაც მას ყოველდღიური პრობლემები და ტკივილი არ ახსენებს თავს.

*– ქეთი, შენთვის ვის აზრს აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა?*

– ჩემთვის საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას ფიქრობს ხალხი ჩემზე... იმიტომ, რომ ჩემი პროფესია მათ ემსახურება. მე ხომ მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ ვმღერი. მე მათთვის ვმღერი. ხალხისთვის და თუ რას ფიქრობენ ჩემზე ჩემი თაყვანისმცემლები, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემი მშობლების აზრი. იმიტომ, რომ მე ვიცი, დედა და მამა არასოდეს მომატყუებენ და ვიცი, რომ მათ მართლა ვუყვარვარ.

*– როგორ ზრუნავ მშობლებზე?*

– ეს მათ უნდა კითხოთ, იმას კი გეტყვით, რომ მე ძალიან მიყვარს ჩემი მშობლები, დედა – ინგა ჟორჟოლიანი, მამა – თეიმურაზ მერკვილაძე. ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები ვართ. მე ყოველთვის ვგრძნობ მათ მხარდაჭერას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის.

*– ქეთი, რას ვერ აპატიებ საკუთარ თავს და საერთოდ, თუ გიყვარს შეცდომების პატიება?*

– საერთოდ შეცდომების პატიება არც ისე სასიამოვნო საქმეა. მაგრამ შეცდომებს ყველა ვუშვებთ. გააჩნია, რამდენად სერიოზულია. მე ვფიქრობ, რომ ერთხელ ადამიანს უნდა აპატიო, შანსი მისცე გამოსწორების. თუ არ გამოსწორდა, ეს უკვე მისი პრობლემაა და არა ჩემი.

*– კრიტიკოსი თუ ხარ?*

– საკუთარი თავის მიმართ თუ სხვებზე? თუ საკუთარ თავზე მეკითხებით, – დიახ, მაგრამ სხვების კრიტიკა ჩემი საქმე არ არის.

*– ქეთი, რელიგიური თუ ხარ?*

– დიახ, გინდათ ერთ ისტორიას მოგიყვებით. ამ ამბავის შესახებ, ჯერ არავინ იცის. შარშან, 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს ვაკეში ავარიაში მოვყევი. „მეტეხში“ კონცერტზე მივდიოდი. გამოსვლა მქონდა. საშინელი ღამე იყო. მანქანაში მე და მამა ვიყავით. „WRANALER“-ის ჯიპი დაგვეჯახა. მეგონა, რაღაც საშინელება მოხდა, მაგრამ საბედნიეროდ, ორივემ მსუბუქი ტრამვა მივიღეთ. ავარია საკმაოდ სერიოზული იყო და მე დღესაც მიკვირს, ცოცხლები როგორ გადავრჩით. გიორგობის ღამე რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ახლა ცოცხალი აღარც ვყოფილიყავი.

*– დიდი მადლობა.*

ბესო ჯახაია, ნონა ჯიქური

## გამოვთქვამთ პროტესტს და აღშფოთებას

ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის გამგეობა გამოვთქვამთ პროტესტს და აღშფოთებას იმ ვანდალური და არაადამიანური ქმედებების გარშემო, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთის მხრიდან ჩეჩნეთში, სადაც უმოწყალოდ იბომბება ქალაქები და იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა.

ამგვარი ქმედება გაუმართლებელია ნებისმიერი მოტივით და არის ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვა, რასაც საერთაშორისო საზოგადოება ჯეროვნად უნდა გამოეხმაუროს და სათანადო შეფასება მისცეს.

ბიორბი თევზაძე

*ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი.*

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №31–39

წარსულის ფურცლები

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან

### 7 ოქტომბერი

გრიგოლმა წერილი მიიღო საქართველოდან. ლუბა სწერს: „დედა, მამა და ასინეთი (და არის მისი) ცოცხლები არიან“. ამ ამბავმა ძალიან აღელვა გრიგოლი და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ მისი მოხუცი დედმამა სახლიდან გამოყარეს, რადგან მისი დისწული მთაში წასულა. საშინელ ტანჯვას განიცდის ის ამის გამო. ცოტა იცის მან ლაპარაკი თავის კერძო საქმეებზე და ეხლაც ორი სიტყვით თქვა: „დაეხოცათ მოხუცები, ეს უფრო ნაკლები ტანჯვა იქნებოდა მათთვის, ვიდრე თავის ნაამაგარ სახლკარიდან აყრაო“. დღეს მან დეპეშა გაუგზავნა ლუბას: „მიდეპეშე სად არიან მოხუცებიო“.

დღევანდელი მოსკოვის გაზეთები იტყობინება, რომ ინგლისის თემთა პალატაში, საქართველოს შესახებ შეკითხვაზე, გარეშე საქმეთა მინისტრმა პონსობიმ უპასუხა, რომ ინგლისი სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოზე. იმავე გაზეთების ცნობით, ერთა ლიგის წრეებში გაკვირვებული არიან ასეთი განცხადებით. საქართველოს დელეგატს შავიშვილს განუცხადებია, რომ აქ, ალბათ, რაიმე შეცდომაა გადმოცემაში, რადგან ეს განცხადება ეწინააღმდეგება ინგლისის პოზიციას საქართველოს საკითხში, როგორც რუსეთის ცნობიდან, ისე ერთა ლიგის უკანასკნელ სესიაზედ... რუსული გაზეთები სიხარულით ცას ეწევიან ამის გამო. ტფილისში კი ნიშნს უგებენ ქართველ ხალხს „ჰა, ხომ ხედავ, როგორ გაგცათ მაკდონალდმაო?..“ ძნელია ამ უკანასკნელ გამოსვლაზე ჯერ-ჯერობით რაიმეს თქმა, მაგრამ ინგლისის მუშათა მთავრობას რომ სახარბიელოდ არ უჭირავს თავი საქართველოს საკითხში, ეს ხომ არავისთვის საიდუმლოება არ არის დღეს. საქართველოს მეგობარი მაკდონალდი პირველი წაეპოტინა საქართველოს ეროვნულ დროშას საერთაშორისო სარბიელიდან მოსახსნელად. სუსტის და პატარას დამცველი იშვიათია ამ ქვეყნად. უფლება ძალაშია, როცა უცქერი ქვეყანას, ხედავ როგორც იმპერიალისტურ, ისე „კომუნისტურ და სოციალისტურ“ სამართლიანობას, ფიქრობ, რომ არსად, არც ერთ დროს არ არსებულა და არც იარსებებს სამართალი და სამართლიანობა, თითქოს არც სოლიდარობა და მეგობრობა და არც ერთგულებაა საწამებელი, რადგან ყველა მხოლოდ თავის კუჭში იხედება. ინგლისის მუშა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ გაძღეს, დანარჩენი კი მისთვის ყველაფერი მისაფურთხებელია. მისი სინდისი მხოლოდ ანგარიშია, თუ ის მოიგებს, შენ თუ გინდ ამისთვის სულიც ამოგხდეს. ასე არ მესმოდა მე წინეთ სოციალისტური სოლიდარობა!.. როგორ გვწამდა, როგორ გვაფრთოვანებდა მუშათა კლასის იდეალები და მისი გამარჯვება!.. და დღეს კი ორივე ფერის გამარჯვებულმა მუშათა კლასმა რა საშინელი დაცინვით შეხვდენ ჩემს ოცნებებს, ჩემს გატაცებას და წმინდა იმედებს. ერთმა დამიპყრო, მეორემ კი სანამ ხელისუფლებას მოკიდებდა ხელს, სიტყვით მაიმედა, ხოლო, როცა ძალაუფლებასთან მივიდა, მან პირველმა შემომძახა, მე პატარას, სუსტს, მის მეგობარს და ამხანაგს: „იყავი მაგ დამპყრობის ხელში, შენთვის არ მცალია, მე კუჭი მინდა გავიძღო და შენს დამპყრობს ანგარიშებზე ველაპარაკებიო“...

ნიკომ გვითხრა, რომ ის შავიშვილს იცნობს, ემიგრანტია ძველი, ჭიათურელი მუშა, რომელიც 1907წ. გაქცეულა საქართველოდან, შვეიცარიაში მომზადებულა და დღეს ის უკვე საგრძნობ ძალას წარმოადგენს, ცნობილია ჟენევის პოლიტიკურ წრეებში. გრიგოლმა, ზაქარიამ და ალექსანდრემაც გაიხსენეს შავიშვილი. სასახელოა საქართველოსათვის, რომ მისი მუშა ასე გაიზარდა და ერთა ლიგაში ბელგიის, საფრანგეთის და ინგლისის არათუ მუშებს, არამედ მსოფლიო დიდ მოღვაწეებსაც უტოლებს და მათთან დიდ სახელმწიფო საქმეებზე ბჭობს... ყველაფერი ქონდა და ყავდა მისი საკადრისი უბედურ საქართველოს, მაგრამ დღეს მას მტერმა ისეთი დღე მოასწრო, რომ ბედს აწყევლინებს და სამი წლის თავისუფალ სიცოცხლისათვის ალურაცხელ სასჯელს აღებინებს... ჰო, საქართველოვ, ჩემო წამებულო და ჯვარზე გაკრულო საქართველოვ, ეღირსება შენი ეხლანდელი თაობა თავისუფალ ჰაერს და კვლავ საქართველოს დროშის აფრიალებას?..

### 8 ოქტომბერი

„იზვესტიას“ მოწინავედან ვტყობინობთ, რომ საფრანგეთის და ბელგიის სოციალისტურმა პარტიებმა მოსკოვის მთავრობას პროტესტით მიმართეს ქართველი ხალხის გაჟლეტის გამო. რაღაც საშინელება და ჩვენთვის წარმოუდგენელი უნდა იყოს მომხდარი საქართველოში, რომ თვით კომუნისტურ პრესიდანაც კი ამოდენ ამბებს ვტყობილობთ და ყველა ეს ისეთ გავლენას ახდენს, თითქო თვით მოსკოვიც ვერ მალავს, რომ მართლაც საშინელება დატრიალდა საქართველოში. დღეს ფრ. ცოლმა ნახვაზე გადასცა ქმარს, რომ მოსკოვში ამბობენ, თითქო 3000-დეა მკვდარი საქართველოში და ბევრია დახოცილი ინტელიგენციიდანაც. თითქო მოკლულია ისეთი ნეიტრალური და საქმის გარეთ მდგომი პირები, როგორიც იყვნენ ექიმი სიმონ ჯაფარიძე და ვასო ცაბაძე. ამ უკანასკნელის მოკვლა პირდაპირ ვერ წარმომიდგენია, ის სრულიად განზე იდგა თავიდან და ესეც რომ არ ყოფილიყო, ნუთუ ოკუპანტებმა იმისთვის აქეს და ადიდეს იქ თავის „რევოლ. მატიანეში“ და გამოაცხადეს მუშათა კლასის პირველ აღმზრდელად, რომ შემდეგ მოეკლათ და მოესპოთ?! რაღაც მართლაც აპოკალიპსიური და მხეცური დატრიალდა საქართველოში, თორემ გაგონილა ამოდენა მსხვერპლი და განადგურება? ამდენს დიდ ომებშიდაც არ კარგავს ჯარი, მაგრამ ფრონტზე მებრძოლ ჯარს ამ მხრით უკეთესი პირობები აქვს, იქ არის რაღაც ნორმა და საომარი კანონები, ხოლო საქართველოში კი ალბათ სექტემბერში იყო ნამდვილი პოგრომი. რუსული პოგრომი, თავშეუკავებელი და გახელებული რუსული პოგრომი.

### 9 ოქტომბერი

ერთი კვირაა, რაც ყვითლდება ფოთლები და ხეივანი ტიტვლდება. ციხის ეზო მოდებულია დაცვენილი ფოთლებით. მზეს უკვე დაეკარგა ძალა, ცაზე ხშირია დაგლეჯილი ღრუბლები, შემოდგომა მთელი თავის ძალაშია და ზამთარი გვიახლოვდება. ჩვენი სასეირნო ეზო დაჭკნა, ყვავილები მოითენთა, რტო დალეწილი ვარდები დაგებულია მიწაზე, ალუბლის ტყე ისეა გაცრეცილი, თითქო სიცივისაგან კანკალებს, გვრჩება ოთხი მაღალი კედელი, კედლის თაღათ ღრუბლიანი და ატალახებული ეზო თავის ნაცრისფერ მოსაწყენ და უშნო ბილიკებით... დღეს პირველი თოვლიც მოვიდა, ცაში ათასი ჯვარედინათ დაფრინავს მისი ფანტელები. ზამთარი მოდის, ნამდვილი ზამთარი, ან რათ იგვიანებდა ნეტა დღემდე. გულში ხომ დიდი ხანია ზამთარი და მოთქმაა, დეე ცამაც მოიღრუბლოს და შავები ჩაიცვას, ისე, როგორც ჩემს სულს აცვია შავები და მეგობრებს საფლავებთან გულისწამლები მოთქმით დაძრწის... რაღაც მოთქმის და მწუხარების ხმით მესმის თითქო კახური სიმღერა „ჰეი ზამთარია ბიჭებო“... ჩვენები მღეროდენ მას საეტაპო მატარებელში 1922წ. დეკემბერში, როცა ტფილისიდან მოვყავდით რუსის ჯარებს...

### 10 ოქტომბერი

დილის 8 საათია ეხლა შესრულდა სწორედ ორი წელი, რაც მე ტყვედ ჩავუვარდი საქართველოს დამპყრობთ ტფილისში. დილის 8 საათზე მიმიყვანეს ჩეკის საკომენდანტოში, ერთი დღე და ღამე იქ დავყავი. შემდეგ წამიყვანეს ცალკე ბნელ და ნესტიან საკანში. სინათლე არ იყო და მთელი დღე მბჟუტავი ელექტრონის პატარა ლამფა ლანდივით მინათებდა. ძლივს ვარჩევდი კედლებზე საშინელ სიტყვებს. ეტყობოდა ბევრ მსხვერპლს გაევლო აქ. უმთავრესად, სჩივოდნენ, რომ ახალგაზრდები და ვაჟკაცები ესალმებოდნენ სიცოცხლეს. მაშინ განვიცადე პირველათ ის, რაც ათასებმა და ათი ათასებმა განიცადეს საქართველოში. კახელი ჯარისკაცი მდარაჯობდა, შევეცადე გამოვლაპარაკებოდი. შეშინდა. მეც შენსავით ჩამაგდებენ მაგ პადვალში ამხანაგო – მიპასუხა მან. ცოტა ხნის შემდეგ ჩამილაპარაკა – „რათ დაგიჭირეს?“ მე ვუპასუხე: „საქართველოს დაცვისათვის“. გაჩუმდა, დადიოდა ფრთხილი ნაბიჯით. კიდევ მომესმა: „შემცდარხარ, ამხანაგო, მაგისთვის ეხლა კაცებს კლავენ“. „მაშ რა უნდა მექნა, ქართველმა საქართველო არ დავიცვა?“ – გავუჯავრდი მე. „ძალა ალმართს ხნავს, უნდა უტიოთ, გაგვწყვეტენ ეს ურჯულოები“ – კიდევ სიარულში მიპასუხა კახელმა. მოვიდა რუსი კომენდანტი, სადღაც გაეგონა ჩვენი ხმა. აყვირდა. გამოცვალეს კახელი. მოიყვანეს მეგრელი. ხმა არ გამცა. საღამოს პური შევაძლიე. ჩუმად ჩაილაპარაკა: „მშია, მაგრამ ვერ ავიღებ, შენი გულისათვის ერთი პადვალში ჩააგდესო“... თავი მივანებე, არ მინდოდა მისი ხიფათში გახვევა. გამოცვლის დროს წინ ფრთხილად მითხრა: „მომეცი ეხლა პური, გამოვიცვლები, ჯიბით წავიღებო“. წამოვხტი, მივაწოდე. გამომართვა და ჩურჩულით მომესმა. „გაუმარჯოს საქართველოს“. ჩემს საკანთან მერე აღარ მინახავს ქართველი ჯარისკაცები. თურმე მეგრელიც დაეჭირათ, რადგან ჯიბეში ჩემი მიცემული პური ენახათ. რუსებთან არც მინდოდა დალაპარაკება. არ კმაროდა, რომ დღიანღამიანად მათ აპრეხილ ცხვირებისთვის უნდა მეცქირა და გული მომეწამლა!.. ასე განმარტოვებით გავატარე ერთი კვირა. შემდეგ ამიყვანეს ჩეკის თავმჯდომარე ოკუჯავასთან. მთელი საათი გვქონდა საუბარი. ჩემგან უნდოდა რაიმეს გაგება. რა შედეგი უნდა ქონოდა ასეთ ცდას? სხვა არაფერი, გარდა იმისა, რომ ხელში ჩავუარდი, ოკუჯავას ლაპარაკში ყველაზე საინტერესო იყო მისი გულახდილი აღსარება, რომ ის იყო შეინმანის მისიის საინფორმაციო ბიუროს უფროსი და რომ მან იცის, თუ როგორ მიმართა 1920წ. დეკემბერში ოსმალეთმა რუსეთს: „ჩემი ძალებით ავიღებ საქართველოს და სანახევროთ გავინაწილოთო“. ამაზე ოსმალეთმა რუსეთიდან უარი მიიღო – დაუმატა ოკუჯავამ – რადგან მაშინ თვით რუსეთს უკვე გადაწყვეტილი ქონდა საქართველოს აღება და ჩვენ ამას დღედღეზე ველოდებოდითო“. „და მე მეცინებოდაო – ამბობდა ოკუჯავა – როცა 1921წ. 27 იანვარს იურიდიულად ცნობის გამო საქართველოში ზეიმი იყო, მაშინ დიპლომატიური კორპუსიც ულოცავდა საქართველოს და პარადებზე და სამინისტროში ქიაზიმ ბეი, სწორეთ ის ქიაზიმ ბეი, რომლის პირით მისცა ეს წინადადება ოსმალეთმა რუსეთს, თითქო აღფრთოვანებული იყო და არ შურავდა ძალას კეთილი გული ოსმალეთისა ეჩვენებია საქართველოსათვისო“. რა ცინიზმით სავსე იყო ეს დამცინავი კილოთი ნათქვამი ამბავი!.. და რომ კიდევ უფრო დაეცინა მას, მასხარა, რომ ეხლაც საჩუქრებით გვყავს გაგზავნილი ქემალთან ბუდუ მდივანიო. რათ უნდა ყველა ამას რაიმეს დამატება. დეე, ქართველი ერის შთამომავლობამ დააფასოს უფრო მიუდგომლათ იმ თითო-ოროლა გარეწარი ქართველის მოქმედება, რომელნიც „იცინოდნენ“ მაშინ, როცა იცოდენ, რომ საქართველო სასიკვდილოთ იყო გამზადებული და რუსეთი და ოსმალეთი მის გასაყოფათ ვაჭრობდენ... გამომძიებლისაგან წინა დღით დაკითხული ვიყავი. ეს დაკითხვა სასაცილოც იყო და სატირალიც. ამიყვანეს სარდაფიდან მეორე სართულზე. შემიყვანა თავის კაბინეტში კაჟევნიკოვმა, რომელმაც წინა დღით დამიჭირა. მოინდომა დაკითხვა. მე განვუცხადე, რომ წინასწარ ვიცოდი ჩეკას ქართველი მოსამსახურეები არ ყავდა და ამისთვის დიდის ყოყმანით და გულის ტკენით, მაგრამ მაინც გადავლახე ბუნებრივი ქართული ზიზღი რუსეთისადმი და მე საკომენდანტოში შევადგინე ანკეტა რუსულად, რომ ჩემ დამტყვევებლებს სცოდნოდათ ჩემი ვინაობა, ხოლო გამოძიებაში კი მე უარს ვამბობ ერთ რუსულ სიტყვის ხმარებაზეც კი და უმალ ხელს მოვიჭრი, რომ რაიმე რუსულ ოქმს მოვაწერო ხელი. გაჯავრდა კაჟევნიკოვი, მეც არანაკლებ გავჯავრდი. მითხრა: „რა ვქნათ, აბა ქართველი ჩეკისტი სპეცები არა გვყავსო“. აღელვებით ვუპასუხე: „საქართველო დოსტოევსკის სადისტების და დამთხვეულების ქვეყანა არ არის და ვერასოდესაც ვერც იშოვნით კაცისმკვლელ სპეცებს-თქო“. მაგიდაზე დაჰკრა ხელი და გაიქცა. კარებიდან მომესმა: ნახეთ, აბა თუ ვერ ვიშოვით ქართველ ჩეკისტსო“. მალე შემოიყვანა ვიღაც გამხდარი შუა ტანის კაცი. სახე ქართველს არ უგავდა. მანაც რუსულად სცადა დალაპარაკება. ხმა არ გავეცი. შემდეგ მითხრა ქართულად: „სოციალისტს უწოდებთ თავს და ასე შოვინისტურად კი იქცევითო“. ძლივს წააბა ეს სიტყვები ერთმანეთს. მისი დამტვრეული ფრაზების აღდგენა ჩემთვის შეუძლებელია, მე ეხლა მასაც ქართულადაც განუმეორე, რომ საქართველო დაპყრობილია, მარა მოსკოვი თვალთმაქცურად ამტკიცებს, თითქო საქართველოს სუვერენობა არ არის შელახული და თვით ოკუპანტების კონსტიტუციითაც კი საქართველოში ქართული ენაა სახელმწიფო ენად გამოცხადებული, ამისთვის კეთილ ინებეთ და თვით თქვენი დაპირება შეასრულეთ-თქო. ბევრხან ვიდავეთ ამაზე და როგორც იქნა საქმეზე გადავედით. დამისვა კითხვები. სცადა დაეწერა ქართულად ჩემი ნათქვამი და, ჰოი, საკვირველებავ, აღმოჩნდა, რომ ანბანიც ძლივს სცოდნია და ასო „ო“-ს დაწერის დროს გაწითლდა, ფერმა გადაკრა და იძულებული შეიქნა ეკითხა „ხომ ასე იწერება „ო“-ვო. სიმწრით გამეღიმა და გვარი ვკითხე. „რა გიკვირს, ამხანაგო, – დამშვიდებულმა მომიგო – რუსეთში ვარ დაბადებული, დედა რუსის ქალი მყავს, იქ გავიზარდე, საქართველოში მხოლოდ 1919წ. გამომაგზავნეს რუსეთიდან კომუნისტურათ სამუშაოდ, აქედან თქვენმა მთავრობამ გადამასახლა. ეხლა კი ჯარებს მოვყევი, რასაც ვწერ, ესეც ეხლა ვისწავლე აქ, დღემდე ქართველის მხოლოდ გვარი მქონდა, მე კაპანაძე ვარო“. ტრაგედია იყო ეს ჩემთვის. იმ წუთებში საქართველოს უბედურება ჩემთვის ასათ გაიზარდა და მე თავი ჩავღუნე, თვალები ცრემლებით ამევსო და გული კი იძახოდა, ყვიროდა, ისტერიულად ყვიროდა: „გაფურთხებ, გაფურთხებ ჩემო გადამგვარებელო და გამაუბედურებელო რუსეთო! გაფურთხებ, გაფურთხებ დამპყრობო და დამწიხლავო, ჩემი სისხლის წამხდენო და მომსპობო რუსეთო!..“ არ ვიცი, რას განიცდიდა მაშინ ეს გადაგვარებული ქართველმა ჩეკისტი მაგრამ მეტი არც დამლაპარაკებია. მალე ადგა და წავიდა. თუ კაცის სახის გამომეტყველება კი ამბობს ოდესმე რაიმეს, მე მგონია მანაც განიცადა იმ წუთებში რაღაც დიდი ტკივილი და იგრძნო საშინელი ჭრილობები. ვინ იცის, იქნებ სადღაც, გულის მესამე კუნჭულში დაილაპარაკა ქართულმა სისხლმა და თვალწინ დაუყენა საშინელი ტრაგედია!.. კაჟევნიკოვთან შევთანხმდი, რომ ის მეტყოდა რუსულად კითხვებს, მე მას ქართულად ჩამოვწერდი, ქართულათვე უპასუხებდი და მხოლოდ ასეთ ოქმს მოვაწერდი ხელს. ნახევარი საათი მოუნდი ამ წერას, გადავეცი და ვთხოვე ჩემს საკანში წაყვანა. ცუდ ხასიათზე იყო, ამბობდა გაჯავრებით: „ქართველი კომუნისტები არ მოდიან ჩეკაში, ასე გონიათ ეს სასირცხო საქმეაო“. „ცუდად ყოფილა თქვენი საქმე, თუ ამოდენა დროში ქართველი თითო ოროლა ჩეკისტებიც კი ვერ მოგიძებნიათ-თქო“. – ვუპასუხე მე. ყველა ამაზე ვუამბე ოკუჯავას და უკვირდა, რომ მე ასე გავშოვინისტდი, დავკარგე მარქსისტული პრინციპები“... ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ „უკლონისტების“ ქართველობა, თუ ასეთ ერთგულებას იჩენდენ რუსულად საქართველოს მართვაში და სრულ უმწეობას თუნდ იმაში, რომ რუსეთის ქართველ მსხვერპლთათვის ქართულად მაინც დაეკითხათ. ამის შემდეგ გადამიყვანეს საერთო საკანში №7. ვნახე ბევრი ნაცნობები. 22 ოქტომბერს ჩვენი საკნიდან გაიყვანეს ოთხი დასახვრეტი ქართველი. ერთი ჩვენი ამხანაგი იყო ცხინვალიდან შაქრო გოგინაშვილი. უკანასკნელ ომის დროს დაჭრილი. იმ დღეს მოიყვანეს საგუბერნიო საავადმყოფოდან საცვლებამარა. ორი იყო ზუგდიდიდან – აბრამია და ვაკუა. მეოთხე კი ბორჩალოდან იყო – გვარი არ მახსოვს. გაყავდათ ღამით, სათითაოდ, ორი საათის განმავლობაში. მეთაურობდა ცნობილი შულმანი, მას ახლდა ბალდასაროვი და ოგანეზოვი, ჯარისკაცები და ახალგაზრდა სომეხი ჩეკისტები. ეს ორი საათი დაუსრულებელი კოშმარი იყო, ბევრ პატიმარს ისტერიკა მოუვიდა. მეორე დღეს საკანში არავის არაფერი უჭამია. პირველ ნოემბერს გადამიყვანეს მეტეხში... აქ ეხლა შეჩერდები... ყველა მოგონებებს ვერ დავსწერ დღეს დილით...

საღამოს 9 საათი. მთელი დღე წარსულის შთაბეჭდილებით და ახლო განცდილით ვიყავი დამწუხრებული. საღამოთ კიდევ უფრო სამწუხრო ამბავი მოვიდა. დადასტურდა ს. ჯაფარიძის და ვასო ცაბაძის მოკვლა. კალისტრატეს სწერენ ამაზე წერილში. პირდაპირ ასე სწერია: „მთელი ერი თალხებშია და ყველგან მოთქმა-გოდება გაისმისო“... უბედური საქართველო, განწირული საქართველო!.. დღეს წერილი მივსწერე ძმას სოფელში, ვინ იცის, იქნებ ჩვენი სოფელიც აკლებულია. დეპეშაც გავაგზავნე დღეს მეორე ძმასთან, ვთხოვე ოჯახის ამბები მიდეპეშოს.

დღიურები მოგვაწოდა ისტორიკოსმა გრიგოლ ზარქუამ

გაგრძელება იქნება

# იანვრის ღამის საიდუმლო

## როგორ მოკვდა პეტრე დიდი?



1725 წლის 28 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვალა რუსეთის გარდამქმნელი, იმპერატორი პეტრე I, რომელსაც არ დაუტოვებია საბუთი იმის შესახებ, თუ ვის ანდობდა იმპერიის მართვის სადავეებს. დიდი ძალისხმევა დასჭირდათ მენშიკოვს, ივანე ბუტურლინს, სენატორ პეტრე ანდრეის ძე ტოლსტოის, მაგრამ თავისას მიაღწიეს – შეარცხვინეს მტრული პარტია, რომელსაც ტახტზე სურდა ეხილა, მოკლული მეფისწულის ალექსეის შვილი. მძიმედ მუხლმოყრილმა გენერალ-ადმირალმა აპრაკსინმა სენატის გადაწყვეტილება გამოაცხადა:

„ეკატერინე უნდა გახდეს იმპერატორი"-ო.

ვერ მოასწრო ლივონელი გლეხის სამუილ სლავარინსკის ქალიშვილმა, შვედი დრაგუნის იოჰანე კრუზეს ყოფილმა ცოლმა, მარიენბურგელი პასტორის გლიუკის მოახლემ, 1724 წლის 7 მაისს პეტრე პირველთან მოსკოვის უსპენსკის ტაძარში გვირგვინდადგმულმა, გამხდარიყო თვითმპყრობელური რუსეთის გამგებელი, რომ სახლიდან სახლში გადაძახებით, კურიერის ცნობასაც მთელ რუსეთში გაასწრო შავბნელმა ჭორმა იმის შესახებ, რომ მეფე მოწამლეს. ჭორს სასტიკად ებრძოდნენ, ენაჭარტლებს ენას აჭრიდნენ, მაგრამ დიდხანს იყო ხალხში გავრცელებული ეს აზრი, რომელიც შიშსა და მოუსვენრობას ბადებდა.

მაინც რა იყო პეტრე I-ის სიკვდილის მიზეზი – ორმეტრიანი ბუმბერაზი კაცის, ფანტანსტიკური ძალისა და საოცარი ამტანიანობის უნარით რომ იყო დაჯილდოებული და შესანიშნავად უძლვებოდა ლაშქრობებსაც, ნადიმებსაც და ურთულეს საქმეებს... კაცისა, რომელიც ყველა თანამედროვეს ანცვიფრებდა სწორუპოვარი ძლიერებით. სიკვდილმა მას სიცოცხლის 53-ე წელზე მოუსწრო და აქედან 42 წელი, 7 თვე და 3 დღე რუსეთის მეფის ტახტზედ იჯდა...

აი, რას წერს პეტრეს დაავადების შესახებ ისტორიკოსი, მრავალტომიანი ნაშრომის „ძველი დროის რუსეთის ისტორია"-ს ავტორი ს.მ. სოლოვიოვი:

„1724 წლის ზაფხულში მან იავადმყოფა, მაგრამ სექტემბრის მეორე ნახევარში, როგორც ჩანს, გამოკეთება დაიწყო – დროდადრო სეირნობდა თავის ბაღებში, ცურავდა ნევაში. 22 სექტემბერს მას დაემართა ძლიერი გულყრა. როგორც ჩანს, ამგვარმა მდგომარეობამ იგი ძალზედ გააღიზიანა, კარგადაც დაუცაცხანა ექიმებს და მათ ვირებიც უწოდა. მერე კი კვლავ გამოკეთდა.

ნოემბრის პირველ რიცხვებში სანაოსნო გზით გაემგზავრა პეტერბურგს, მაგრამ ლახტთან დაინახა, რომ კრონშტანტიდან მოცურავდა ჯარისკაცებით სავსე კაპალო, რომელიც მეჩეჩზე დარჩა, ვერ მოითმინა და თვითონვე გაემართა მათთან დასახმარებლად, რათა გადაერჩინა ადამიანები. წელამდე წყალში მდგომ მეფეს გულყრაც დაუყოვნებლივ გაუმეორდა"...

ამ არასასიამოვნო მოვლენის და გამომწვევი შეტევების მიზეზად ისტორიკოსი, პუშკინის აღნიშვნისა არ იყოს, „შარდის ყაზბობას" ასახელებდა.

პროფესორ-მედიკოსი პ.ი. კოვალევსკი თავის წიგნში „პეტრე I და მისი გენია" (1901წ.) ამტკიცებდა, რომ მეფეს ძალიან აწუხებდა სტრანგურია (შარდის შეჩერება), რომელიც მისი მოულოდნელი სიკვდილის მიზეზი იყო.

ეს მოსაზრებები პეტრე I-ის უროლოგიური სახის ტკივილებთან დაკავშირებით, დაფუძნებულია მეფის თანამედროვეების დამოწმებებზე.

გაცილებით უბრალოდ ხსნიდა რუსეთის იმპერატორის ავადმყოფობის ისტორიას საბჭოთა ისტორიკოსი, წითელი პროფესურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი მ.ნ. პოკროვსკი: „პეტრე გარდაიცვალა სიფილისისგან, როგორც ჩანს, ჰოლანდიაში დაავადდა – სავარაუდოა და დასაშვებია ის ფაქტი, რომ მაშინდელმა ექიმებმა ბოლომდე ვერ განკურნეს"...

და მაინც რამ გამოიწვია პეტრე დიდის სწრაფი სიკვდილი?

კომენტარს აკეთებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი ნ.მ. მოლევა:

– მე-18 საუკუნემ ისტორიკოსებს არაერთი გამოცანა დაუტოვა. ერთის მხრივ, თითქოსდა ყველაფერი ნათელია: პეტრე I-ის სიკვდილთან ბურუსით მოცული ვითარების ირგვლივ არსებობს მისი თანამედროვეთა დამოწმებები, ისტორიკოსების შრომები, რომლებიც ლაპარაკობენ მეფის ქრონიკულ დაავადებაზე. მაგრამ როდესაც უცნობი არქივის დოკუმენტებს ფურცლავ, ეგრეთწოდებულ „სასახლის მცირე კალენდარს", რომელშიც საათებით და წუთებითაა დაფიქსირებული პეტრე I ცხოვრების ყოფითი ეპიზოდები და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არსებული ოფიციალური ვერსიების გამო, იბადება ბუნებრივი დაუკმაყოფილების გრძნობა. ამას თან ერთვის პოლიტიკური სურათი, რომელიც ხატავდა რუსული სამეფო კარის ძალთა რეალურ განლაგებას, მაშინ ძალით მოკვდინების კონტურები თანდათან უფრო გამოიკვეთება. მოდით, მივყვეთ თანმიმდევრულად. პეტრე გარდაიცვალა ისე, რომ არ დაუტოვებია ტახტის მემკვიდრე. მენშიკოვის დიდი მცდელობის შემდეგ სამეფო ტახტი ეკატერინემ დაიკავა. ვფიქრობ, რომ იგი განსაკუთრებით არც აცხადებდა პრეტენზიას მეფობაზე. სრული ბედნიერებისათვის მდიდრული სასახლე, გემრიელი საჭმელი და რბილი საწოლი ეყოფოდა, მაგრამ მის ზურგს უკან ამოფარებული ხაზინის ქურდობაში დადანაშაულებული მენშოვი იდგა. მისი სიცოცხლე ფაქტიურად ბეწვზე ეკიდა. იგი ელოდა გარდაუვალ სასჯელს, რომელიც საკმაოდ მკაცრი იქნებოდა, პეტრეს არ შეეძლო ყოფილი მეგობრისათვის ეპატიებინა მრავალ ცოდვათაგან გამორჩეული უპატიებელი ცოდვა, პირველ რიგში კი, მისი როლი ვილიმ მონსის საქმეში. ბრწყინვალე ოფიცერი, უაღრესად ლამაზი მამაკაცი, დედოფლის სამემკვიდრეო მამულის გამგებლის წოდების მიღების შემდეგ სარგებლობდა მისი კეთილგანწყობით, მხოლოდ მდგომარეობის შექმნას ვერ ახერხებდა...

ეკატერინესა და სასახლის კარისკაცის ურთიერთობას ყოველნაირად მფარველობდა მენშიკოვი. პეტრე „შემთხვევით" აღმოჩენილი ბარათიდან იგებს მისი ცოლის ღალატის შესახებ, რის შემდეგაც მონსი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ეკატერინეს აეკრძალა ბოლო თვეების განმავლობაში მის კაბინეტამდე მიახლოებაც კი. მეფის პირადი ბრძანებით სასწრაფოდ დასრულდა წლების მანძილზე გაჭიანურებული საქმე მენშიკოვის თანამდებობის ბოროტად გამოყენების შესახებ. მენშიკოვი ორივე შემთხვევაში დაზარალებული იყო, გამოკეთდებოდა იმპერატორი თუ მის ადგილს დაიკავებდა მეფისწულის პარტია, მას სასამართლო, გადასახლება და სიკვდილით დასჯაც კი ელოდა.

და აი, მეფეს ვახშმისას კამფეტების ახალი სახეობის გასინჯვას სთავაზობენ. რომელიც მეფემ საჩუქრად მიიღო. რამოდენიმე საათის შემდეგ პეტრე I თავი შეუძლოდ იგრძნო, დაეწყო პირღებინება, ფრჩხილების აშკარა ციანოზი, კიდურების მოდუნება, მუცლის წვა. როგორ ფიქრობთ, ხომ ძალზედ საეჭვოა ყოველივე?

სხვათა შორის, ორი წლის შემდეგ მორთმეული კამფეტების გასინჯვის შემდეგ მწვავე შეტევის შემდეგ გარდაიცვალა ეკატერინე. იგი ხომ ამ პერიოდისთვის უსარგებლო ნივთი გახდა მენშიკოვისთვის და გარკვეულწილად ხელსაც უშლიდა მას პოლიტიკურ თამაშში...

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ავადმყოფი პეტრე I-ის საძინებლის შესასვლელშივე მოწყობილი იყო მოძრავი საეკლესიო საკურთხეველი, შეიძლება ეს პატარა დეტალი ვინმეს დაინტერესების საგნადაც არ მოეჩვენოს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: საკურთხევლის არსებობის გამო ოთახში შესვლა ეკრძალებოდა ქალებს, აგრეთვე სხვა სარწმუნოების მსახურ ადამიანებს, მართლმადიდებელთა გარდა. ამდენად, იმპერატორთან დაშვებულ პირთა რიცხვი შეზღუდული იყო, როგორც თავისი ქალიშვილებისათვის, ასევე უცხოელი ექიმებისათვის. ხოლო ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს აზრი მომხდარი შეთქმულების გამო, რომელიც პეტრე I-ის ლიკვიდაციას ითვალისწინებდა...

კომენტარს ახდენს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლ.ლ. ხუნდანოვი:

– უკიდურესად რთულია ასწლეულების შემდეგ დაისვას ზუსტი დიაგნოზი, ამავე დროს აუცილებლად მიმაჩნია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ პაციენტის სახით საქმე ისტორიულ პიროვნებასთან გვაქვს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია თითოეული გამოთქმული მოსაზრების სერიოზული გაანალიზება და მომხდარის ობიექტურად შეფასება. იმპერატორის თანამედროვეთა ცნობების წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება პეტრე I სიკვდილის ისტორიის რეკონსტრუირება. ჩვენს ხელთ არარსებული მტკიცებულების არქონის გამო (ექსპერტიზის ანალიზის შედეგები) არასერიოზულად მიმაჩნია პეტრე I სიკვდილის მიზეზად დასახელდეს მოწამვლა. დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მეფე ურეტრის სტრიქტურით იტანჯებოდა.

ჯერ კიდევ ა.ს. პუშკინი თავის „პეტრეს ისტორიაში" წერდა მის კრუნჩხვით მოვლენებზე, მარცხენა ხელის დამბლის (პარეზი), მეტყველების დაკარგვის შესახებ. „მუცლის წვა" შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მოწამვლის შედეგად გამოწვეული ტკივილები. ასეთი სიმპტომების არსებობის შემთხვევაში პაციენტი კვალიფიცირდება დარიშხანით მოწამვლის დიაგნოზით.

აუცილებლად მიმაჩნია აღინიშნოს ის გარემოება, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისში მრავალი დაავადების სამკურნალოდ ფართოდ გამოიყენებოდა ის პრეპარატები, რომლებშიც საკმაოდ რაოდენობით შედიოდა დარიშხანი. ხოლო იმ ავადმყოფს, რომელსაც დაზიანებული ჰქონდა თირკმელები, ადვილად შეეძლო შეღწეულიყო ორგანიზმში ამ პრეპარატების გადამეტებული რაოდენობა.

იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ პასუხი გაეცეს კითხვას პეტრე I მოწამვლის თაობაზე, აუცილებლად მიმაჩნია ჩატარებულ იქნეს პეტრეს თმის ექსპერტიზა, რომელიც გვიჩვენებს არსებულ ან არარსებულ დარიშხანის შემადგენლობის შესახებ. მხოლოდ ასეთმა გამოკვლევამ შეიძლება ნათელი მოჰფინოს ამ საკითხს და აღადგინოს დღემდე მივიწყებული ისტორიული ჭეშმარიტება.

ეპილოგის მაგიერ:

*არც ისე ადვილია აეხადოს ფარდა საიდუმლოს, რომელიც მოიცავს ორსაუკუნენახევარზე მეტ ხანს. შეიძლება ვიკამათოთ ამა თუ იმ უტყუარ ცნობებზე და სამართლიანობაზე, სხვადასხვა მოსაზრებების თაობაზე და ა.შ. ალბათ, უნდა დაისვას საკითხი პეტრე I თმის ექსპერტიზის შესახებ, რომელშიაც შეიძლება შხამის კვალი აღმოჩნდეს. ყველა შემთხვევაში მოდელირებული სიტუაცია, რომელიც მოკლული მეფის საწოლთან მიმდინარეობს, ძალაუფლებისათვის სასტიკი ბრძოლაა, როდესაც არაფერს ნიშნავს მოვალეობის გრძნობა, ღირსება, სახელმწიფოს ინტერესები, ტიპიურია სხვა ეპოქებისათვისაც. ამიტომაც, ასე მნიშვნელოვანია ისტორიული ჭეშმარიტების ცოდნა, თუნდაც ასწლეულების შემდეგაც.*

თარგმნა
ირინე გორაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №31

აფხაზეთის ტრაგედია

# აფხაზეთი – დევნილთა მოუშუშებელი ტკივილი და ოცნება

## — თვითმხილველის მოგონებები —

საბუთები წარმოადგინეთო, გვითხრეს. წარვუდგინეთ პასპორტები, ჩეჩენმა ბოევიკმა, რომელსაც ხელში ბლაგვი საგანი ეჭირა, იყვირა: „პადლეცი გრუზინი" და ორჯერ დაარტყა თავში ჩვენთან მყოფ ინვალიდ ინჟინერს, რუბენ კაპანაძეს, რომელიც წინა დღით ჩეჩენთა ბატალიონმა რომ დაგვიჭირა, ძლივს გადავარჩინეთ დახვრეტას. დარტყმა ისე ძლიერი იყო, რომ მიწაზე დაეცა და ველარ ადგა, თავიდან სისხლი წამოუვიდა. შემდეგ ჩეჩენი ბოევიკი მიუბრუნდა პედაგოგ შოთა ხარაიშვილს, „ტოჟე პადლეც გრუზინი" და მასაც ორჯერ დაარტყა თავში, ისიც დაეცა, თვალის წარბები სისხლის ჩაქცევისაგან გაულურჯდა, მაგრამ წამოდგა. შემდეგ მიუბრუნდა და დაარტყა მ. ჩალაძეს, ისიც დაეცა, მაგრამ სახეგალურჯებული წამოდგა. შემდეგ ჩემსკენ რომ წამოვიდა, რაღაცა დაბნეულმა ვუთხარი: – „ვი გუმანნიე ლიუდი". არ ვიცი, ამ სიტყვებმა გადამარჩინა, თუ რა იყო, მაგრამ ჩემთვის აღარ დაურტყია და მიბრძანა: აიღე და მიათრიე იმ სახლის ეზოში მკვდარიო, მიმითითა უგრძნობლად დაცემულ რუბენ კაპანაძეზე, რომელიც გრძნობადაკარგული საცოდავად კვნესოდა და ცხვირპირიდან სისხლი სდიოდა. დამეხმარნენ დარტყმით დალურჯებულნი შ. ხარაიშვილი, მ ჩალაძე და სამივემ ავიყვანეთ რუბენი, დავაწვინეთ სახლის დერეფანში. ხის საწოლზე, სადაც თურმე ქართველი ცხოვრობდა და ამ ბოევიკებს გაუტეხიათ სახლის კარები. თავგატეხილი რ. კაპანაძე ტიროდა – „ვაიმე დედა, ცალი ხელი და ფეხი წამერთვა, ველარაფერს ვგრძნობ და აღარ მემორჩილებაო", რაც სისხლის ჩაქცევის ნიშანი იყო. მას თავიდან და ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა, რის გამოც სახე სისხლით ჰქონდა შეღებილი. ეზოში დავინახე ქილა და წყლის გუბე. ავიღე ქილა, ავავსე წყლით და მინდოდა მომაკვდავისათვის გასისხლიანებული სახის ჩამობანა. დამინახა ჩეჩენმა ბოევიკმა და მიყვირა: „ოსტავტე! ვიბროსიტე ბანკუ სვადოი". იძულებული გავხდი გადამეგდო წყლით სავსე ქილა, შემდეგ გვიბრძანა: „ტროე პოიდიომტე სო მნოი". მივატოვეთ მომაკვდავი ამხანაგი და გავყევით (როგორც შემდეგ შევიტყვეთ, სადაც დავაწვინეთ დერეფანში, იქვე დაუხვრეტიათ რ. კაპანაძე კაციჭამიებს, და იქვე, ქართველის ეზოში დაუმარხავთ). გაგვიყვანა გზაზე, სადაც ორ ბოევიკ აფხაზსა და სომეხს დაეჭირათ ერთი ახალგაზრდა ქართველი მამაკაცი და მოარეკინებდნენ ქართველი ოჯახების ასამდე სულ მსხვილფეხა საქონელს. ჩვენ გვიბრძანეს: „ეტოტ სკოტ ნადო პერეგნატ ვგუდაუტე, ჩერეზ ოდიში, ჩერეზ შრომი" (სოფლების სახელებია). დაიწყო კოკისპირული წვიმა, თვითონ ბოევიკებმა წვიმისგან დასაცავი ლაბადები ჩაიცვეს, ჩვენ კი წყალივით დასველებულები მივრეკავთ საქონელს. გზაში სიარული რომ გამიჭირდა, ავიწიე შარვლის ტოტი, ვუჩვენე ტრავმირებული ფეხი ბოევიკს და ვთხოვე: – აქედან გუდაუთამდე ორმოცდაათი კილომეტრია, ინვალიდი ვარ და არ შემიძლია ფეხით სიარული-თქო. აფხაზმა ბოევიკმა დამხედა ტრავმირებულ ფეხზე და უთხრა თანამებრძოლებს: „ვალკა, ინვალიდ". ასე ძლივს დავაღწიე თავი მათ. ჩემი ამხანაგები: შ. ხარაიშვილი და მ. ჩალაძე წაიყვანეს საქონლის გუდაუთაში გადასარეკად. გადავწყვიტე, რომ მივბრუნებულიყავი თავგატეხილ, მიტოვებულ მომაკვდავ ამხანაგთან, მაგრამ ვიფიქრე, შეიძლება გზაში დამიჭირონ, ბრალად დამდონ, გამოიპარაო, სიტყვა არ მათქმევინონ და მესროლონმეთქი. ამიტომ იძულებული გავხდი წამოვსულიყავი სოხუმისკენ, სახლში. კოკისპირულად წვიმდა, თანაც სამი დღის მშიერს სიარულის ძალა აღარ მქონდა და გადავწყვიტე, სადმე ოჯახში წვიმისგან თავი შემეფარებინა. გზის ახლოს ერთ-ერთი სახლის ჭიშკარს მივადექი და დავიძახე: „ხაზეინ! ხაზეიკა"! რუსულად, ვინაიდან ვიცოდი, რომ სოფლებიდან ქართველები გახიზნულები იყვნენ და მხოლოდ დარჩენილი იყვნენ სომხები. არავინ გამომეხმაურა, შევალე ჭიშკარი, შევედი ეზოში, სახლის წინ დერეფანში ხის სკამი იდგა, მოვიხსენი ხელჩანთები და ჩამოვჯექი, ათი წუთის შემდეგ ჭიშკარს მოადგა და ეზოში შემოვიდა ორი ქალი და ერთი მამაკაცი. მე ავდექი, ბოდიში მოვუხადე, რომ ნებართვის გარეშე შემოვედი-მეთქი, მათ მითხრეს: „ნიჩევო, სადიტეს ოტდახნიტეო". მე ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და ისიც, რომ სამი დღის მშიერი ვიყავი, ავიღე დარჩენილი 30 ათასი კუპონი, გავუწოდე ოჯახის დიასახლისს და ვთხოვე მოეცა პური და ყველი. მან ფული არ გამომართვა, შევიდა სახლში და ხუთი წუთის შემდეგ დამიძახა: „ზახადიტე". მეორე ქალი, დიასახლისთან რომ შემოვიდა, მეზობელი ყოფილა და მითხრა: მიბრძანდით, ისადილეთ, მე კი ყარაულად დავდგები ეზოში. თუ ვინმე ბოევიკი გამოჩნდა, ნიშანს მოგცემ, სახლის უკანა კარებში გადი და დაიმალეო, ვინაიდან ჩვენ მკაცრად ვართ გაფრთხილებული, ქართველები არ შეიფაროთო, რისთვისაც სიკვდილით გვემუქრებიან აფხაზებიო. ის მამაკაცი კი, რომელიც ეზოში ქალებთან ერთად შემოვიდა, მეზობელი ყოფილა, რომ გაიგო ქართველი ვიყავი, ალბათ, აფხაზი ბოევიკების შიშით, მაშინვე წავიდა. ოჯახის დიასახლისი კეთილი ადამიანი გამოდგა. მან კარგად დამაპურა და შემდეგ მითხრა: აგერ, ჩვენი სახლის გვერდით რომ ორსართულიანი სახლი დგას, იქ ქართველი ახალგაზრდა მამაკაცი ცხოვრობდა, ღამით ბოევიკები მოვიდნენ და მიადგნენ იმ სახლს. კიბეზე რომ ადიოდნენ, მან შენიშნა, სახლის უკანა ფანჯრიდან გადახტა და დაიმალაო. შენ თუ დარჩები, ჩვენ მკაცრად ვართ გაფრთხილებული, ქართველი სახლში არ შეიფაროთო, რისთვისაც [illegible] ტომ [illegible] ქართ[illegible] ვანეს ოთახში, ფანჯარას გარედან ხის კიბე მიადგეს და გამაფრთხილეს: ფხიზლად იყავი, ფეხის ხმა რომ გაიგონო, მაშინვე უკანა ფანჯარაზე მიდგმული კიბით გადადი და დაიმალეო. ამასობაში წვიმამ გადაიღო და გამოიდარა, გადავწყვიტე გამეგრძელებინა გზა და წავსულიყავი სოხუმისკენ, ჩემს სახლში. ვთხოვე იმ ქალებს, რომ ესწავლებინათ სოხუმისკენ მიმავალი გზა, რომ ბოევიკები არ შემხვედროდნენ და საშიშროება ამეცილებინა. ოჯახის დიასახლისმა სომეხმა ქალბატონმა – არშალუს პეტროსიანმა, რომელიც უცნობი იყო ჩემთვის და სახელი და გვარი მაშინ გავიგე, დიდი გულისხმიერება გამოიჩინა. ჩემი ორი ხელჩანთიდან ერთი ცელოფნის იყო და მასზე მითხრა: ეგ ცელოფნის ხელჩანთა შორი მანძილიდან ჩანს და საშიშიაო, გამოიტანა სახლიდან ახალი ტილოს ხელჩანთა, ეს საჩუქრად გქონდეს-ო. ჩამიწყო მასში სამი დღის საგზალი, შეიძლება სადმე მოგიხდეს კიდევ გაჩერება, სოხუმამდე თხუთმეტი კილომეტრია და გზაში ვერაფერს ვერ იშოვიო. ჩემი ნივთებიც შიგ ჩააწყო,

გაგრძელება მე-14 გვ

## ჯეკა

ჩემს მეგობარს, ჯემალს უცნობმა კაცმა „დრადჰაარის“ ჯიშის სანადირო ძაღლი აჩუქა. სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა. თოფიც ახალნაყიდი ჰქონდა და იფიქრა: „კაი თოფი, კაი ძაღლი და კაი სანადირო ადგილები“. მეტი რა უნდა ნადირობის ტრფიალ კაცს.

სანამ სანადიროდ გაიყვანდა, ჯემალმა შეამოწმა, ძაღლმა მოტანა თუ იცისო და მუშტისხელა ქვა გადაუგდო. ძაღლი გაიქცა და რამდენიმე წამში ის ქვა ახალ პატრონს ფეხებთან დაუგდო. გახარებულმა ჯემალმა ძეხვის ნაჭრით დააჯილდოვა და კიდევ გადაუგდო. ძაღლს ქვის მოტანა ძალიან მოეწონა, ჯილდომაც წააქეზა და სანამ ჯემალი წაქცევამდე არ დაიღალა, მანამდე „ამუშავა“ ძაღლი. „მუშაობის“ შემდეგ ძაღლმა ქვა თან წაიღო და თავის საძინებელთან დატოვა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ჯეკას ერთი ასჯერ მაინც არ მიეტანა ქვა. რა თქმა უნდა, ამისათვის გასამრჯელოსაც იღებდა. ნადირობის სეზონის გახსნამდე ჯერ ადრე იყო და ჯეკას თავისი „საქმიანობა“ რომ არ დავიწყებოდა, პატრონი ყოველდღე ავარჯიშებდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ჯემალი სოფელში წავიდა და თავისი „შეგირდიც“ თან წაიყვანა. ჯემალი უთენიაზე ადგა, ბარი აიღო და ვენახში წავიდა, ჯეკაც თან გაჰყვა.

ჯემალი ბარავდა, ერთგული მეგობარი იჯდა და ელოდა, როდის დაასაქმებდნენ. ჯემალმა ბელტი გადააბრუნა, ბელტს ამოყოლილი ქვა აიღო და ვენახის გადაღმა რიყეზე მოისროლა. ჯერ მეორე ქვა არ ჰქონდა გადაგდებული, რომ ჯეკამ პირველი ქვა ფეხებთან დაუგდო. ერთი სიტყვით, რამდენიც გადააგდო, იმდენი მოუტანა. გაბეზრდა ჯემალი. გადაწყვიტა, შევაგროვებ და ურიკით გავიტანო. ასეც მოიქცა. სავსე ურიკა ქვა და ღორღი მდინარე ტანას რიყეზე გაიტანა. მეორე დღეს, ვენახში მისული ჯემალი გაოგნებული დარჩა. ყველა ქვა, უკლებლივ შემოეზიდა ჯეკას, როგორც ჩანს, მთელი ღამე „იმუშავა“ საბრალომ.

## წინასაარჩევნო სალაღობო

როგორც ტარანი, ხმებიც თვლით არის,
ჰოდა, ჩალიჩობს მაჟორიტარი,
რომ მოიპოვებს ხმებით სავარძელს,
მერე კუდს გასდებს ხოლმე ყავარზე.
გაწუწკებული კაი ჭამაზე,
ზის და არც ფიქრობს სადმე წასვლაზე,
ხმის გაგონებაც არ სურს ამაზე
და იმ სავარძელს იცავს მრავალწელს.
ყელს რომ უწევდა იგი ამ ხმისთვის;
ხელს არ გაანძრევს მერე ხალხისთვის
და ცნობს მარტოდენ ამგვარ ეთიკას:
„კაცი ხარ, როცა სხვაზე მეტი გაქვს“.

* * *

თუ შეიძლება, რაიც დღეს ხდება,
არ მიიტანოს კაცმა გულამდე?!
მთლად საქართველო შიმშილით კვდება
პურის ფულიდან პურის ფულამდე.
ხალხი დავიდა უკვე ძვლებამდე,
თუ შეიძლება, ასე კვებავდე?!
თან ატყუებდე,- როგორც გნებავდეს,
არჩევნებიდან არჩევნებამდე?!

## ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს!

კაცსა რაც მოეხუშტუროს,
განა ყველაფერს ქმნა უნდა,
სამშობლოს დაცვა სჭირდება,
თორემ, გაყიდვას რა უნდა?!
ასე ნელ-ნელა ქვეყანა
სხვაზე თუ გაიყიდება,
პასპორტში ეროვნულობის
ჩაწერაც არ დაგვჭირდება.
რა დიდებული აზრია
სხვებზე გაყიდვა მამულის,
ყველა თმა ყალყზე მიდგება
რომ მახსენდება წარსული.
რა ძალა ედგათ წინაპრებს,
თუნდაც იმ სამას არაგველს,
ხომ სწამდათ საფლავების მეტს
არ მიიღებდნენ არაფერს.
ან იმ ცხონებულ თევდორეს,
ცხრა ძმას, ცხრა ხერხეულიძეს,
სამშობლოს საძირკველში რომ
მათი ძვლები და სული ძევს.
რა ძალა ედგათ დემეტრეს,
დავითს, თამარს და ერეკლეს,
დღეს თუ ქვეყანას გაჰყიდდით,
მტრებს თავი რატომ შეაკლეს.
ვის მოუვიდა ეს აზრი,
ნეტავ მამულის გაყიდვის?!
საზღვარგარეთში გადების
ვითომდა საძმო გზა-ხიდის.
მას, ვისაც ხელეწიფება,
ვისაც „ხმა ამოეღება“,
ვინც ჩვენი დროშა ოცნებით
უცხო ფერებში შეღება.
ვისაც ფეხებზე ჰკიდია
ქვეყნის აწმყო და წარსული,
ვისი ხელითაც ქვეყანას
უკვე ჯვარი აქვს დასმული!
ღმერთო, საკადრი მიაგე,
მტერს, გამყიდველს და უკეთურს,
ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!
ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!

# სატირისა და იუმორის ფურცელი



## რუბრიკის მასპინძელია ნიკოლოზ იოსებიძე

## ჩოფურა იოსების იუმორი

ჩოფურა იოსები ბაგებში სამძიმარზე მისულა. მისამძიმრების შემდეგ ოჯახის უფროსისათვის უთქვამს: თქვენ ალბათ, დამკვრელებიც დაგჭირდებათ და სხვას ნულარ ეტყვით, მე ჩემი დასტით მოვალო. მიცვალებულის შვილს უთქვამს:

– ძია იოსებ, კი არ გეწყინოს, მაგრამ მამაჩემმა სიკვდილის წინ მითხრა, ჩემს პანაშვიდზე მედუდუკეები არ მოიყვანო, დუდუკის ხმა არ გამაგონოო.

– შვილო, შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, მე ისე ხმადაბლა დავუკრავ, რომ ვერ გაიგებსო.

ვიცი, რომ იმ პანაშვიდზე მამაჩემი უკრავდა, მაგრამ მიცვალებულმა გაიგო თუ არა, ამის შესახებ ვერაფერს ვერ გეტყვით.

* * *

ჩოფურას თანამშრომელმა შოთამ სთხოვა: ძია იოსებ, საყვარელმა გამომაგდო და იქნებ როგორმე შეგვარიგო, უიმისოდ ველარ ვძლებო. ჩოფურას თანხმობა უთქვამს. გახარებულ თანამშრომელს საჭმელ-სასმელი, საჩუქრები უყიდია და ჩოფურას თანხლებით საყვარელთან წასულა. საყვარელს სუფრა გაუშლია და თამადობა ჩოფურასთვის შეუთავაზებიათ.

– ძია იოსებ, აბა, ერთი შენებურად დაგვლოცე, შენ რომ იცი, ისე, ჯიგრიანად – გაბადრული სახით სთხოვა შოთამ.

ჩოფურამ ჭიქა აიღო, „ნეფე-დედოფალს“ გადახედა და ისეთი უნიკალური სადღეგრძელო წარმოთქვა – მართლაც გულიდან ამოსული, რომ მის თანამშრომლებს დღემდე ახსოვთ.

– ჩემო შოთა და ჩემო მარგო, აი, როგორც გვრიტებივით სხედხართ...

– გმადლობთ, ძია იოსებ, მადლობთ!

– ჰო, როგორც გვრიტებივით, ლამაზად და არხეინად სხედხართ, ეგრევე ორივეს დედა...

– რას ამბობ, ძია იოსებ, მლუპავ?! – იყვირა შოთამ.

– მე კი არ გლუპავ, აი, ეგ დამპალი გლუპავს. შენი შვილების ლუკმას რომ ჭამს. ჩოფურას ჭიქა დაუდგია და გარეთ გასულა. ასე რომ, შერიგება ჩაიშალა.

მე-13 გვერდიდან

# აფხაზეთის ტრაგედია

## აფხაზეთი – დევნილთა მოუშუშებელი ტკივილი და ოცნება

### — თვითმხილველის მოგონებები —

მასწავლა უსაფრთხოების გზა, მშვიდობით მგზავრობა მისურვა და დავადექი უსაფრთხოების გზას – სოფელ ზემო კელასურიდან სიმინდის ყანებზე, მინდვრებზე და ტყეებზე გავლით, 30 სექტემბერს, საღამოს, ძლივს ჩამოვაღწიე სოხუმამდე, მეზობლების მიტოვებული სახლების ეზოებზე და მანდარინის პლანტაციებზე გადაველი და დიდი წვალებით მივაღწიე ჩემს სახლამდე. ეზოში რომ შეველი, მანქანის ფარეხი ღია დამხვდა. ავტომანქანა კი წაყვანილი, სახლის კარები ორივე სართულზე შემტვრეული, ფანჯრებიც გაღებული, მაგრამ გარდა ავტომანქანისა, სახლიდან არაფერი არ იყო წაღებული. ვიფიქრე, ადგილობრივმა ქურდებმა, რომლებიც ცნობილი იყვნენ ჩვენს ქუჩაზე, ისარგებლეს ჩემი არყოფნით, გატეხეს ფარეხი და წაიყვანეს ავტომანქანა-თქო. დავკეტე ჭიშკარი, ავტოფარეხი, სახლის კარ-ფანჯრები, ვივახშმე სომეხი ქალის გამოტანებული საგზლით, ჩაი ავადუღე, დავლიე და დავიძინე დაღლილმა მშვიდად. მეორე დილით ავდექი, ვისაუზმე და მანდარინის პლანტაციებზე გავლით ავედი ჩემს მეზობელ შოთა ლომიძესთან, რომელსაც რძალი აფხაზი ჰყავდა, გვარად არშბა. მისი მეუღლე ომის დაწყებამდე ხიდან ჩამოვარდა, რის გამოც ხერხემალი დაუზიანდა და მწოლიარე ავადმყოფი იყო. ამიტომ ვერ დატოვა ქმარმა მწოლიარე ავადმყოფი მეუღლე და ვიცოდი სახლში იყო დარჩენილი. ეზოს ჭიშკარზე მიწერილი ჰქონდა რუსულად: „Дом Аршба“, აგრეთვე ჩამოკიდებული იყო წითელი და ლურჯი ლენტი, მაჩვენებელი იმისა, რომ ამ სახლში ქართველი არ ცხოვრობდა. ეზოში რომ შევედი, სახლის უკან დავინახე შოთა ლომიძე, მასთან მდგარნი, შავებში ჩაცმული მტირალი მეზობლის ქალები – მანანა ბენიძე და ნელი ასაია. მივესალმე მათ. შოთამ მითხრა, ჩუმად ილაპარაკეო, თვითონაც ჩუმად ლაპარაკობდნენ. შემდეგ მკითხა: „წუხელ სად იყავიო“. მე ვუპასუხე, ჩემს სახლში მეძინა-მეთქი და ავუხსენი ყველაფერი, როგორც დავბრუნდი და რაც გადამხდა. მან მითხრა: რძალი აფხაზი მყავს, მძახლებიც (რძლის დედმამა) – აფხაზები, აქ მოვიყვანე, მაგრამ ჩემს სახლში ვერ შევდივარ, მეშინია, ავადმყოფ მეუღლეს ისინი უვლიან, ღამით სასიმინდის ქვეშ მძინავს, ვფხიზლობ, თუ ფეხის ხმა გავიგე, გავრბივარ და მანდარინების პლანტაციებში ვიმალები. 28 სექტემბერს მოვიდნენ ჩვენ ქუჩაზე აფხაზი სეპარატისტები და მათი დაქირავებული ბოევიკები, დაარბიეს ქართველთა სახლები, ჩვენი მეზობლები რვა კაცი ავტომატებით დაცხრილეს, მათ შორის დაასახელა მის გვერდით მდგომი მტირალი ქალის, მანანა ბენიძის მეუღლე რამაზი და მამამთილი ლადო, რომლებიც სამი დღეა მკვდრები ქუჩაში ყრიან და არ ამარხვინებენ, წუხელ საღამოს თუ მოხვედი, მათი გვამები ქუჩაში არ გინახავს? მე ვუპასუხე, გზაზე არ გამივლია, მეზობლების ეზოების და მანდარინების პლანტაციების გავლით მივედი ჩემს სახლში-მეთქი. შემდეგ ბატონმა შოთამ მითხრა: – მე გამოგყვები ახლა შენ, გზაზე ყარაულად დავდგები, ვუთვალთვალებ ბოევიკებს. ჭიშკრები, ფარეხი, სახლის კარ-ფანჯრები გავაღოთ და დავტოვოთ ისე, როგორც იყო და შენ სადმე უნდა დაიმალოო. ჩემ სახლშიაც ბოევიკები 28 სექტემბერს მისულან, მანქანა წაუყვანიათ და სახლში რომ ვყოფილიყავი, ალბათ, მეც მომკლავდნენ, შემდეგ შოთამ მანდარინის პლანტაციებიდან დამანახა გზაში ჩვენი საყვარელი მეზობლების – ვალოდია ტაბატაძის, ვიკენტი შუბითიძის, ლევან შუბითიძის, რამაზ ბენიძის, იური ახალაიას, ვიანორ ჯინორიას გვამები, რომლებთანაც ათეულწლობით ერთად გვიცხოვრია და ჭირში და ლხინში ერთად ვყოფილვართ. მტირალი, ცრემლიანი თვალებით ვუყურებდით მათ გვამებს, რომელთაც ძაღლები და ღორები ქუჩაში ბილწავდნენ, ჩვენ კი არ შეგვეძლო მოგვეშორებინა, ვინაიდან გზაზე გამვლელებს უთვალთვალებდნენ ბოევიკები და თუ დაგვინახავდნენ, გვესვროდნენ. შემდეგში ღამით ვიპარავდით ძაღლებისაგან და ღორებისაგან წაბილწულ გვამებს, მანდარინების პლანტაციებში, უძილობით ღონემიხდილნი, თვალცრემლიანნი ცელოფანში ვახვევდით და ვმარხავდით. საშინელი და ჯოჯოხეთური იყო ჩვენი მაშინდელი ყოფა-ცხოვრება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი ეზოს ჭიშკრები, ავტომანქანის ფარეხი, სახლის კარ-ფანჯრები გავაღე და დავტოვე ისე, როგორც დამხვდა და იმის შემდეგ ჩემს სახლში ღამე არ გამითევია. დღისით მანდარინების პლანტაციებში ვიმალებოდი, ღამით სასიმინდის ქვეშ. ჩემი საცხოვრებელი სახლიდან 600 მეტრის დაშორებით იწყებოდა სოფელი, სადაც დასახლებული იყვნენ სომხები, მათ შორის იმ უბანში ცხოვრობდა ერთი ქართველი მოხუცი კაცი, ჩემი მოგვარე, იროდი ლომიძე, რომელსაც ეზოს ჭიშკარზე ჰქონდა წარწერა: ანდრონიკ ავჯიანი (სომხის) და ჩამოკიდებული იყო წითელი და ლურჯი ლენტი – მაჩვენებელი იმისა, რომ იმ სახლში ქართველი არ ცხოვრობდა. იროდი ლომიძეს ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და მითხრა: „შემოდი, მაგრამ ფრთხილად იყავი, დაიმალე, ეზოში არ დადგეო“. მეც გაფრთხილების თანახმად დილით ადრე გამოვდიოდი მისი სახლიდან, მთელი დღე მანდარინების პლანტაციებში ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი, ღამეს კი მისი სახლის სარდაფში ვათევდი.

1993 წლის 3 ოქტომბერს, დილის 11 საათზე მანდარინის პლანტაციებში ვზივარ და დავინახე ჩემს ეზოში შემოიყვანეს მსუბუქი ავტომანქანა გაზ-24. შევიდნენ სახლში, გამოიტანეს ტელევიზორი, სერვიზი, ბროლის ჭურჭელი, სამზარეულოსა და სასადილოს ნივთები და ჭურჭელი, რაც მოეწონათ, დატვირთეს მანქანა და წაიღეს. ერთი საათის შემდეგ შემოიყვანეს სატვირთო მანქანა, შევიდნენ ხუთნი სახლში, მათ შორის ორნი ავტომატებით შეიარაღებულნი. მესმის სახლიდან ხმაური და ვგრძნობ, რომ გამოაქვთ ავეჯი და აწყობენ სატვირთო ავტომანქანებზე საძინებლებს, კარადებს, მაგიდებს, რბილ სკამებს, დივანს, ხსნიან ფანჯრებზე ფარდებს, ყველაფერი გამოიტანეს სახლიდან, დატვირთეს მანქანები და წაიღეს. მე აცრემლებული ვუყურებდი, მაგრამ გამოჩენა არ შემეძლო, რომ დავენახე, ავტომატით შეიარაღებულნი მომკლავდნენ. გაგონილი მქონდა, რომ წინა დღით ჩემს მეზობელ, ღრმად მოხუცებულ კანტორ ბერულავას სახლში მისულან ავტომანქანებით, ოჯახის უფროსის, 93 წლის მოხუცის თვალწინ, რომელიც ეზოში მჯდარა, გამოუტანიათ სახლიდან ყველაფერი, ჩაუტვირთავთ მანქანებში, მოხუც კაცს ვეღარ მოუთმენია და უთქვამს მათთვის: არ გრცხვენიათ, ჩემს ცხოვრებაში რაც მიშრომია, ყველაფერი მიგაქვთო? ამ სიტყვებისათვის მოხუცი ავტომატით დაუცხრილავთ.

სერგო ლომიძე
დევნილი პედაგოგი სოხუმიდან

გაგრძელება იქნება

# კვირის ტელეპროგრამა

## 12 ოქტომბერი — 17 ოქტომბერი

ორშაბათი — 18 ოქტომბერი

**I არხი**

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.15 ტელემაღაზია 9.25 სტადიონი 9.45 სატელევიზიო კინოდარბაზი „სახლი ლხინისა“ 10.15 სპა 10.35 გვაქვს უთვალავი ფერითა 10.55 დიდების ზღაპარი 11.15 ფორტუნა 11.45 ენერგია 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.12 აზრი 12.20 საღამო მშვიდობისა 13.05 მესაკუთრე 13.20 ილუზიონი მხ.ფ. „ნეაპოლის ოქრო“ 15.10 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 17.50 რამპა 18.15 50X50 18.45 ტელესერიალი „კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი“ 19.35 ბასტი-ბუბუ 19.50 მაესტრო 20.50 „რა ხდება?!“ 21.35 „საფეხბურთო მიმოხილვა“ 21.55 „ჩვენი ენა ქართული“ 22.00 ვესტნიკი 22.40 პერსონა 23.05 ეთნოგრაფიული ჩანახატი – დარბაზი 23.20 ვიდეოპატრული-02 23.35 „1001 ღამე 0.15 ღია კარის ღამე 0.40 ქართ. მხ.ფ. „მაგდანას ლურჯა“

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.10 ამინდი 19.15 მულტფილმები 20.00 გოლი 21.10 ტელესერიალი „ანტონელა“ 22.00 „ოქროს მართვე“ 22.20 მხ.ფ. „მოიპარეს იუპიტერის გვერდი“. ჰიტ-პარადი. ამინდი.

**რუსთავი 2**

7.00 მუსიკა 8.00 „ტული“ 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.40 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.25 „ტული“ 9.30 „საიდუმლო მასალები“ 10.20 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები“ 10.50, 19.00 „ალფი“ 11.20, 20.05 „გვადალუპე“ 12.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო“ 15.15 მხ.ფ. 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე“ 18.50 „აკუნა მატატა“ 21.50 „სასწრაფო“ 23.30 მხ.ფ. „კარლიტოს გზა“ 1.50 კლასიკა

**იბერია**

9.00, 19,00, 22.00, 0.10 ახალი ამბები 9.15 ნახ. ფილმები 9.30 დოკ. სერიალი „ცხოვრების ხელოვნება ნატალისაგან“ 10.00 ოვაცია 10.10 დოკ. ფილმი „ქალიშვილები 26 წლისანი არიან“ 11.15 სიმღერა ძველი პანგებიდან 11.20 ფარული კამერა 11.40 მუს. ტალღა 14.15 მხ.ფ. „ბოშა“ 15.55 მუს. ტალღა 16.00 დოკ.ფ. „მსოფლიოს ავიასალონები“ 16.35 მხ.ფ. „ნათლია“ 18.20 მუს. ტალღა 18.25 დოკ.ფ. 19.20 სერიალი „ქალაქი“ 19.45 სტუდია – დიალოგი 20.25 თეატრალური ორშაბათი 20.50 ბურთი და მოედანი 21.05 ნოსტალგია 21.10 სერიალი „ყველა ჩემი შვილი“ 22.30 რუბრიკა ძველი კინო: მხ.ფ. „მატარებელი“ 0.20 ნოსტალგია 0.25 მხ.ფ. „ოქროს ბიჭუნა“ 2.05 ოვაცია

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ 17.15 მულტფილმი 17.35 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სტუდია „სპექტრი“ 20.20 მუსიკა 21.00 სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები“ 21.45 მუსიკა 22.00 მხ.ფ. „ამერიკაში გამგზავრება“ 23.50 მუსიკა 0.20 მხ.ფ. „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“ 1.55 მუს. კალეიდოსკოპი

**სხ**

10.00, 17.00 მულტფილმი 10.45, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.15, 16.30 მუსიკა 12.45, 15.00, 20.50, 23.30, 1.30 მხ.ფ. 14.15 დოკ.ფ. 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**ევრიკა**

11.00 მუს. კოლაჟი 11.30, 20.30 „ზღაპრის ტელედარბაზი“ 12.00 სალონი 13.30, 18.15 სერიალი „მთიელი“ 14.15 მხ.ფ. „პროვინციელები“ 18.00, 22.00, 0.00 „სტუდია 25“ 18.10 მუსიკა 19.00 „ხვალ...“ (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 „ტალანტები და თაყვანისმცემლები“ 22.35 „საუბრები მწვანე ბუხართან“ 23.30 მხ.ფ. ქალიშვილები“

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ქარი“ 12.45 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.00 მხ.ფ. „მინსტერი“ 20.50 მხ.ფ. „დრაკონთა ბრძოლა“ 22.25 მხ.ფ. „კაბარე“ 0.40 მხ.ფ. „სტილიაგას რაზმი“. ნონ-სტოპი. მუსიკა დილამდე

19 ოქტომბერი — სამშაბათი

**I არხი**

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.15 ტელემაღაზია 9.25, 23.22 ვიდეოპატრული-02 9.40 ქართ. მხ.ფ. „მაგდანას ლურჯა“ 11.00 ეთნოგრაფიული ჩანახატი – დარბაზი 11.15 ძველი ოქშა 11.50, 14.00, 19.50 მაესტრო 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.12 ბელკანტო 12.31 შოკოლადის მიკროფონი 12.50 გლობუსი 13.20 პრეს-ზონა 13.45 ცეკვავს „სიონი“ 14.15 ღია კარის ღამე 14.38 საფეხბურთო მიმოხილვა 15.10 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 18.20 ჯანმრთელობა 18.40 სერიალი „კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი“ 19.35 ბასტი-ბუბუ 20.50 რა ხდება?! 21.25 მოსკოვი-თბილისი 21.45 XX საუკუნე – დრო და ადამიანები 22.00 ვესტნიკი 22.22 მრავალჟამიერი 22.42 რეტროსპექტივა 23.37 ჭორ-ნიუსი 0.15 კომუნიკატორი 0.47 მხ.ფ. „ქინ-ძა-ძა“

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.10 ამინდი 19.15 მულტფილმი 19.45 ექიმის მოსვლამდე 20.00 სუპერ-მატჩი 21.10 სერიალი „ანტონელა“ 22.00 სტუდია „რე“ 22.30 მხ.ფ. „ბინა“. ჰიტ-პარადი. ამინდი.

**რუსთავი 2**

7.00, 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 ტული 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 3.00 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.30, 21.50 „სასწრაფო“ 10.25, 18.15 „სიყვარულის ოცნებები“ 10.50, 19.00 „ალფი“ 11.20, 20.05 „გვადალუპე“ 12.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო“ 15.15 მხ.ფ. 16.30 გზაჯვარედინი 17.10 „კორდიე“ 18.50 აკუნა მატატა 23.40 ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი“-„ბარსელონა“ 1.40 „სიმფსონები“ 2.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. 3.10 კლასიკა

**იბერია**

9.00, 19.00, 22.00, 0.30 ახალი ამბები 9.15, 20.50 ბურთი და მოედანი 9.30, 19.20 სერიალი „ქალაქი“ 10.00 ოვაცია 10.10, 21.10 „ყველა ჩემი შვილი“ 11.00 სიმღერა ძველი პანგებიდან 11.00, 19.45 სტუდია – დიალოგი 11.50 ნახ. ფ. 12.10 მხ.ფ. „ოქროს ბიჭუნა“ 13.50, 15.45, 17.30, 20.30 მუს. ტალღა 13.55 დოკ.ფ. 14.25 მხ.ფ. „ბოშა“ II სერია 15.50 ქართ. მხ.ფ. 18.30 დოკ.ფ. 20.35 გვარიშვილობა 20.45 სახეები 21.05, 0.40 ნოსტალგია 22.30 მხ.ფ. „შეყვარებული შექსპირი“ 0.45 მხ.ფ. „პლეზენტვილი“

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 ინფორმაცია „დღეს“ 17.15 მულტფილმი 17.35 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სტუდია „სპექტრი“ 20.20, 21.45, 23.50 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ადამიანი ვარსკვლავიდან“ 0.20 მხ.ფ. „ზამთრის დასასრული“ 2.00 მუს. კალეიდოსკოპი

**სხ**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 10.15, 16.45 მულტფილმები 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტული პროგრამა 13.00, 15.15, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 14.30 მუს. კოლაჟი 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**ევრიკა**

11.00, 18.00, 22.00, 0.00 სტუდია-25 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 „მთიელი“ 14.15 მხ.ფ. „ქალიშვილები“ 18.05 ბიზნეს-კურიერი 19.00 „ხვალ...“ (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 თბილისური ოჯახები 22.25 ციკლი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ 22.40 მხ.ფ. „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილი-2“

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „კაბარე“ 12.45 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ.ფ. 19.00 მხ.ფ. „ოპერაცია სუფთა ხელები“ 20.35 მხ.ფ. „მიწისზედა კონტროლი“ 22.10 მხ.ფ. „კუზიანი“ 0.20 მხ.ფ. „მშვენიერი ისტორია“. ნონ-სტოპი. მუსიკა დილამდე

20 ოქტომბერი — ოთხშაბათი

**I არხი**

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.15 ტელემაღაზია 9.25, 23.20 ვიდეოპატრული-02 9.40 მხ.ფ. „ქინ-ძა-ძა“ 11.45 XX საუკუნე 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.13 ჯანმრთელობა 12.33 ტერმინალი-72 12.53 თბილისის დროით 13.13 მრავალჟამიერი 13.30 მოსკოვი-თბილისი 13.50 ჩვენი მისამართია 14.20 რეტროსპექტივა 15.10 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 18.10 ანონსი 18.15 50X50 18.45 სერიალი „კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი“ 19.35 ბასტი-ბუბუ 19.50 მაესტრო 20.50 რა ხდება 21.35 ვიზიტი 22.00 ვესტნიკი 22.25 ტელე-სინგვიდეო 23.00 საქმე 23.35 გრიფით საიდუმლო 0.15 კომუნიკატორი 0.50 მხ.ფ. „ჩალის ნაგაზები“

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.10 ამინდი 19.15 მულტფილმები 19.50 ორატორი 20.00 რაგბის მოყვარულთათვის 21.10 „ანტონელა“ 22.00 ოპტიმისტები 22.20 საოპერო და საბალეტო ხელოვნების ოსტატები 22.45 პოდიუმი 22.55 ქართ. მხ.ფ. „მოცურავე“. ჰიტ-პარადი. ამინდი.

**რუსთავი 2**

7.00 მუსიკა 8.00, 9.25 „ტული“ 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 22.50, 3.00 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.30 „სასწრაფო“ 10.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 10.50, 19.00 ალფი 11.20, 20.05 გვადალუპე 12.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო“ 15.15 მხ.ფ. 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე“ 18.15 „სიყვარულის ოცნებები“ 18.50 აკუნა მატატა 21.50 „ნიკიტა“ 23.40 ჩემპიონთა ლიგა: „პორტო“-„მილანი“ 1.40 სიმფსონები 2.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 3.10 კლასიკა

**იბერია**

9.00, 19.00, 22.00, 0.00 ახალი ამბები 9.15, 20.50 ბურთი და მოედანი 9.30, 19.20 „ქალაქი“ 10.00 ოვაცია 10.10, 21.10 „ყველა ჩემი შვილი“ 11.00 სიმღერა ძველი პანგებიდან 11.05, 19.45 სტუდია დიალოგი 11.50 გვარიშვილობა 12.00 სახეები 12.10 მხ.ფ. „პლეზანტვილი“ 14.05, 15.30, 17.30 მუს. ტალღა 14.10 მხ.ფ. „ბოშა“ III სერია 15.35 ნახ.ფ. 15.40 მხ.ფ. „მეწამული მოქცევა“ 18.25 დოკ.ფ. 20.30 ფარული კამერა 21.05, 0.10 ნოსტალგია 22.30 მხ.ფ. „თავქარიანი ზაფხული“ 0.15 მხ.ფ. „შემოდგომის სონატა“ 1.45 ოვაცია

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 „დღეს“ 17.15 მულტფილმი 17.35 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სტუდია სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ელიზა“ 0.20 მხ.ფ. „ინფერნო“ 1.50 მუს. კალეიდოსკოპი

**სხ**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 0.20 ექო 10.15, 16.54 მულტფილმები 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტული პროგრამა 13.15, 15.15, 21.00, 23.35, 1.20 მხ.ფ. 14.45 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**ევრიკა**

11.00, 22.00 სტუდია 25 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 „მთიელი“ 14.15 მხ.ფ. „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილი-2“ 18.03 მუსიკა 19.00 „ხვალ...“ (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 დოკ.ფ. 22.25 კლასიკა 22.30 მხ.ფ. „დალუპულთა სია“

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „კუზიანი“ 12.35 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.00 მხ.ფ. „შებინტული“ 20.40 მხ.ფ. „როკის უკანასკნელი ბრძოლა“ 22.40 მხ.ფ. „ტუმბსტოუნი: ველური დასავლეთის ლეგენდა“ 0.35 მხ.ფ. „სახიფათო ტრიო“. ნონ-სტოპი. მუსიკა დილამდე.

21 ოქტომბერი — ხუთშაბათი

**I არხი**

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.15 ტელემაღაზია 9.25, 23.20 ვიდეოპატრული-02 9.40 მხ.ფ. „განგსტერები“ 11.40 საქმე 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15 ვიზიტი 12.35 გრიფით საიდუმლო 12.55 მესაკუთრე 13.10 16 წლამდე ფეხბურთელთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი საქართველო-საბერძნეთი 15.10 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 17.52 რამპა 18.12 რაგბი – მსოფლიოს თასის გათამაშების მატჩი 18.35 სერიალი „კრიმინალური პოლიციის ინსპექტორი“ 19.35 ბასტი-ბუბუ 19.50 მაესტრო 20.50 რა ხდება?! 21.34 საღამოს გადაცემათა ანონსი 21.35 კავკასიური სამკუთხედი 22.00 ვესტნიკი 22.25 მრავალსახეობა 23.00 ეკოდაიჯესტი 23.35 ტვტექსტი 23.45 ნამდვილი ამბები 0.15 კომუნიკატორი 0.50 მხ.ფ. „ძირითადი ფერები“

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.10 ამინდი 19.15 მულტფილმები 20.00 ჰოროსკოპი 21.10 სერიალი „ანტონელა“ 22.00 სტუდია „რე“ 22.30 მხ.ფ. „ამოხეთქვა“. ჰიტ-პარადი. ამინდი.

**რუსთავი 2**

7.00, 1.55 მუსიკა 8.00, 9.25 „ტული“ 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.45 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.30, 21.50 „ნიკიტა“ 10.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 10.50, 19.00 „ალფი“ 11.20, 20.05 „გვადალუპე“ 12.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო“ 15.15 მხ.ფ. 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე“ 18.20 „სიყვარულის ოცნებები“ 18.50 აკუნა მატატა 23.30 მხ.ფ. „შეყვარებული შექსპირი“ 1.55 კლასიკა

**იბერია**

9.00, 19.00, 22.00, 0.05 ახალი ამბები 9.15, 21.00 ბურთი და მოედანი 9.30, 19.20 „ქალაქი“ 10.00, 1.55 ოვაცია 10.10, 21.10 „ყველა ჩემი შვილი“ 11.00 სიმღერა ძველი პანგებიდან 11.05, 18.45 სტუდია – დიალოგი 11.50 ფარული კამერა 12.10 მხ.ფ. „შემოდგომის სონატა“ 13.40, 15.40, 17.30 მუს. ტალღა 13.45 დოკ.ფ. 14.15 მხ.ფ. „ბოშა“ IV სერია 15.45 მხ.ფ. „ამერიკაში გამგზავრება“ 18.30 დოკ.ფ. 20.30 ძველი პანგები 22.30 მხ.ფ. „სიცილისათვის“ 0.15 ნოსტალგია 0.20 მხ.ფ. „დუელიანტები“.

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 „დღეს“ 17.15 მულტფილმი 1..35 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სტუდია სპექტრი 20.20, 21.45, 23.50 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „კომაში ჩავარდნილები“ 0.20 მხ.ფ. „ბრანწი შენ!“ 1.55 მუს. კალეიდოსკოპი

**სხ**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო 10.15, 17.15 მულტფილმები 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტული პროგრამა 13.05, 15.45, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე 20.50 მხ.ფ.

**ევრიკა**

11.00, 18.00 სტუდია 25 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 „მთიელი“ 14.15 მხ.ფ. „დალუპულთა სია“ 18.03, 20.30 მუსიკა 19.00 „ხვალ...“ (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.35 „ფეხბურთის ლეგენდები“ 22.25 ციკლი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ 22.40 მხ.ფ. „ანა“

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ტუმბსტოუნი“ 12.45 კლიპ-მიქსი 18.00 დოკ.ფ. 19.00 მხ.ფ. „ოქროს ბავშვი“ 20.30 მხ.ფ. „ნირვანა“ 22.30 მხ.ფ. „ნამდვილი ქურდი“. ნონ-სტოპი. მუსიკა დილამდე.

22 ოქტომბერი — პარასკევი

**I არხი**

7.30 ალიონი 9.00 აერობიკა 9.15 ტელემაღაზია 9.25, 23.20 ვიდეოპატრული-02 9.40 მხ.ფ. „ძირითადი ფერები“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 0.00 მოამბე 12.15 ეკოდაიჯესტი 12.35 მრავალსახეობა 13.05 მხ.ფ. „ფილადის მაგნოლიები“ 15.10 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 18715 50X50 19735 ბასტი-ბუბუ 19.50 მაესტრო 20.50 რა ჯდება?! 21.35 არტ. ექსპრესი 22.00 ვესტნიკი 22.23 ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან 22.43 XX საუკუნის სპორტსმენი 23.00 თბილისის დროით 23.35 დერიტა-ტვ 0.15 საღამო მშვიდობისა 1.05 მხ.ფ. „გულთან ახლოს“

**II არხი**

19.00, 20.30 ინფორმაცია 19.10 ამინდი 19.15 მულტფილმები 20.00 5X5 21.00 „ანტონელა“ 22.00 აფხაზეთის ტელევიზია 22.25 ანტრე 22.55 მხ.ფ. „ბილეთი“. ჰიტ-პარადი, ამინდი.

**რუსთავი 2**

7.00, 10.20 მუსიკა 8.00, 9.25 ტული 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 0.00, 2.40 კურიერი 8.15 მულტსერიალი 9.30 „ნიკიტა“ 10.25, 18.20 „სიყვარულის ოცნებები“ 10.50, 19.00 ალფი 11.20, 20.05 „გვადალუპე“ 12.15 მხ.ფ. 14.10 „ნანო“ 15.15 მხ.ფ. 16.30 დოკ.ფ. 17.10 „კორდიე“ 18.50 აკუნა მატატა 21.50 „საიდუმლო მასალები“ 23.30 მხ.ფ. „ცოდვილი სიყვარული“ 2.10 ფანტაზიები 2.50 კლასიკა

**იბერია**

9.00, 19.00, 22.00, 23.55 ახალი ამბები 9.15, 20.50 ბურთი და მოედანი 9.30, 19.20 „ქალაქი“ 10.00, 1.35 ოვაცია 10.10, 21-10 „ყველა ჩემი შვილი“ 11.00 სიმღერა ძველი პანგებიდან 11.05, 19.45 სტუდია დიალოგი 11.50 ძველი პანგები 12.15 მხ.ფ. „დუელიანტები“ 13.50, 15.15, 17.30 მუს. ტალღა 13.55 მხ.ფ. „ბუდულაის დაბრუნება“ 15.20 მხ.ფ. „როცა მამაკაცს უყვარს ქალი“ 17.20 ნახ.ფ. 18.25 დოკ.ფ. 20.30 ცხოველთა სამყარო 20.4- სახეები 21.05, 0.05 ნოსტალგია 22.30 მხ.ფ. „ოპერაცია“ 0.10 მხ.ფ. „ცისფერი მანჰეტენი“

**კავკასია**

17.00, 18.30, 20.30, 0.00 „დღეს“ 17.15 მულტფილმი 17.35 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სტუდია სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ონასისი“ 23.30 პროგრამა „რატომ?“ 0.20 მხ.ფ. „ონასისი“ (მე-2 სერია) 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**სხ**

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.15 ექო 10.15, 17.00 მულტფილმები 11.00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტული პროგრამა 13.20, 15.30, 21.00, 23.30, 1.30 მხ.ფ. 15.00 დოკ.ფ. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე

**ევრიკა**

11.00, 18.00, 22.00 სტუდია-25 11.30, 20.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 სალონი 13.30, 18.15 „მთიელი“ 14.15 მხ.ფ. „ანა“ 18.03, 21.45 მუსიკა 19.00 „ხვალ...“ (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 21.00 „კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება“ 22.30 მხ.ფ. „მისი მსახურის და“

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „ნამდვილი ქურდი“ 12.05 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.00 მხ.ფ. „გენიალური ბავშვები 20.35 მხ.ფ. „გაუნადგურებელი“ 22.20 მხ.ფ. „მეოთხე ომი“ 0.20 მხ.ფ. „სკინები“. ნონ-სტოპი. მუსიკა დილამდე

23 ოქტომბერი — შაბათი

**I არხი**

10.00 დილის პაემანი 11.35 უთუოდ 11.40 16 წლამდე ფეხბურთელთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველო-ხორვატია 13.20 რეიტინგი 13.35 ახალი ქართული პროექტი 13.55 კვალი 14.15 მუსიკა ეთერში 14.40 საქართველო და გარე სამყარო 14.55 უთუოდ 15.00 ვესტნიკი 15.10 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 18.00, 0.00 მოამბე 18.15 საოჯახო ლოტო 18.40 ინტეგრალი 19.20 სტადიონი 19.40 ბასტი-ბუბუ 20.45 მაესტრო 21.45 მღერა! 22.20 მხ.ფ. „დებიუტანტები“ 0.15 ტერმინალი-72 0.35 მხ.ფ. „ნაფოტი“

**II არხი**

9.00 მუსიკალური გასართობი პროგრამა „დილა“ 19.00, 20.30 ინფორმაცია 19.10 ამინდი 19.15 ჩიპო 19.40 ოაზისი 20.00 ავტოშოუ 21.00 ექსტრა 21.25 ვარსკვლავები გვამცნობენ 21.40 ჯაზ-სპორტი 22.05 მხ.ფ. „ნამდვილი დანაშაული“. ჰიტ-პარადი. ამინდი.

**რუსთავი 2**

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 21.00, 1.00 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 საბ.ფ. 11.15 სიმფსონები 11.45, 18.15 „ლუისი და კლარკი“ 12.30, 20.05 „მეორე მე“ 13.20 მხ.ფ. 16.00-18.00 მოდა 19.10 ჩემპიონთა ლიგის კვირის საფეხბურთო მიმოხილვა 21.50 ფსიქო: მხ.ფ. „საუბარი“ 1.10 ფანტაზიები 1.40 ღამის ჯაზი.

**იბერია**

9.00, 19.00, 22.00, 0.00 ახალი ამბები 9.15, 21.00 ბურთი და მოედანი 9.30 „ქალაქი“ 10.00, 1.45 ოვაცია 10.10, 21.10 „ყველა ჩემი შვილი“ 11.00 სიმღერა ძველი პანგებიდან 11.05, 19.45 სტუდია დიალოგი 11.50 ცხოველთა სამყარო 12.00 სახეები 12.10 მხ.ფ. „ოპერაცია“ 13.35, 14.55, 17.30 მუს. ტალღა 13.40 ქართ. მხ.ფ. 15.00 მხ.ფ. „ცხენების შემლოცველი“ 18.30 ნახ.ფ. 19.20 დოკ.ფ. 20.25 ძველი პანგები 22.30 მხ.ფ. „ო, ღმერთო“ 0.10 ნოსტალგია 0.15 მხ.ფ. „განხეთქილების ზღვარზე“

**კავკასია**

12.00 მულტფილმი 13.30 მხ.ფ. „ბეტმენი“ 15.30 მხ.ფ. „პრინცი ნიუ-იორკიდან“ 17.00, 20.30, 0.00 „დღეს“ 17.30 როკ ენროლის ხარება 18.00 წყლის სიმფონია 18.10 სპორტი, სპორტი, სპორტი 19.00 სტუდია სპექტრი 20.20, 21.45 მუსიკა 21.00 ვარსკვლავები 22.00 მხ.ფ. „ნოტინგ ჰილი“ 0.20 ჯაზ-პარნასი 0.45 მხ.ფ. „ზიგზენები“ 2.15 მუს. კალეიდოსკოპი

**სხ**

10.00, 17.30, 20.30, 22.45, 0.45 ექო 10.15, 17.00 მულტფილმები 11,00, 18.00 ქართ. მხ.ფ. 12.30 სპორტული პროგრამა 13.30, 15.30, 21.00, 23.00, 1.45 მხ.ფ. 15.00, 23.45 მუსიკა 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

**ევრიკა**

11.00 სტუდია-25 11.30. 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 12.00 მხ.ფ. „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ 13.50 ერალაში 14.00 შეხვედრა მწერალთან 15.00 თქვენი ადვოკატი 16.00 მხ.ფ. „იმპერიის საპასუხო დარტყმა“ 18.05 სცენის ოსტატები 19.00 „ხვალ...“ (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 20.30 თბილისური ოჯახები 21.15 ინდური მხ.ფ. „დამანგრეველი“ 23.30 საუბრები მწვანე ბუხართან 0.30 მხ.ფ. „დანდი მეტსახელად ნიანგი-2“

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „მეოთხე ომი“ 12.30 ნახ.ფ. 13.30 მხ.ფ. „გასაღების მობრუნება“ I სერია 15.00 კლიპ-მიქსი 18.00 მულტფილმი 19.10 მხ.ფ. „ლამაზი ცხოვრება“ 20.35 მხ.ფ. „9 მილიმეტრი“ 22.15 მხ.ფ. „დანაშაულის ისტორია“ 0.05 მხ.ფ. „სასტიკი თამაშები“. მხ.ფ. ნონ-სტოპი. მუსიკა დილამდე.

24 ოქტომბერი — კვირა

**I არხი**

10.00 დილის პაემანი 11.30 საკვირაო გამოფენა 11.40 ნამდვილი ამბები 11.50 უთუოდ 12.00 მხ.ფ. „ოქროს ბავშვი“ 13.35 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 13.45 ენერგია 14.00 საიდან მოდის მშვენიერება 14.40 სპა 15.00 ვესტნიკი 15.10 პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანია 17.55 უთუოდ 18.00, 0.00 მოამბე 18.10 ლატარია ყველასათვის 18.30 შოკოლადის მიკროფონი 18.50 ტოტო-ლოტო 19.05 ინტერპანორამა 19725 ჩვენი მისამართია 20.00 ტაიმაუტი 20.50 აზრი 20.55 საკვირაო ზღაპარი 21.05 ფორტუნა 22.55 დრიბლინგი 22.40 დიდების ზღაპარი 22.05 მოდით ყველამ ერთად ვცადოთ 23.35 თბილისობა 0.15 ჯემი 0.47 მხ.ფ. „კაბარე“

**II არხი**

9.00 „დილა“ 19.00 კვირადღე: მულტფილმები, გაილიმე, სუპერ-მატჩი, შვიდეული, კრეპები, ბომონდი, კინოსეანსი: „დანაშაულის ისტორია“ ან „სასტიკი თამაშები“ ღამის ქალაქი

**რუსთავი 2**

8.00, 11.00 მუსიკა 9.00, 18.00, 23.30 კურიერი 9.10 მულტსერიალი 9.40 საბავშვო ფილმი 11.15 სიმფსონები 11.45, 19.10 „ლუისი და კლარკი“ 12.30, 20.05 „მეორე მე“ 13.20 მხ.ფ. 16.00.-18.00 მოდა 18.20 აკუნა მატატა 19.40 სპორტული პროგრამა 21.00 კვირა 21.50 მხ.ფ. „ანაკონდა“ 23.40 კლასიკა

**იბერია**

9.00, 22.00, 0.40 ახალი ამბები 9.15 ბურთი და მოედანი 9.25, 11.00, 13.55 სიმღერა ძველი პანგებიდან 9.30 დოკ.ფ. 10.00, 3.00 ოვაცია 10.10 „ყველა ჩემი შვილი 11.05 სტუდია დიალოგი 11.50 ძველი პანგები 12.30 მხ.ფ. „მელი“ 14.00 დოკ.ფ. 14.30 მხ.ფ. „თქვენს სახელზე წერილია“ 16.20 ნახ.ფ. 16.30 საბ.ფ. „ინდიანა ჯონსი და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა“ 18730 მუს. ტალღა 19.30 დოკ.ფ. 20.00 გვარიშვილობა 20.10 მხ.ფ. „რაშმორის აკადემია“ 21.35 თეატრალური ორშაბათი 22.30 მხ.ფ. „პრეზიდენტის მთელი ამალა“ 0.50 ნოსტალგია 0.55 მხ.ფ. „სილვერადო“

**კავკასია**

12.00 ინდური მხ.ფ. „ომის ღმერთი“ 14.10 სერიალი „დეპსი და მეიკპისი“ 15.40 „დებიუტი-99“ 16.30 სპორტის სამყაროში 17.30 ცხოვრება სიტყვაში – ჯოის მაიერი 18.00 მუსიკა 18.10 ფეხბურთის ლეგენდები 19.00 მხ.ფ. „პროვინციალები“ 20.30, 0.00 დღეს 21.00 ვარსკვლავები 21.45 მუსიკა 22.00 მხ.ფ. „გენერლის ქალიშვილი“ 23.50 მუსიკა 0.15 ჯაზ-პარნასი 0.45 მხ.ფ. „ნათლია: განგსტერების მიწა“ 2.15 მუს. კალეიდოსკოპი

**სხ**

10.00 ექო 10.15, 18.00 მულტფილმები 11.00, 18.45 ქართ. მხ.ფ. 12.30 დოკ.ფ. 14.15, 16.30, 20.45, 23.45, 1.45 მხ.ფ. 15.45, 20.15 მუსიკა 22.15 ფარდის გახსნამდე 1.00 სატელევიზიო ფილმი

**ევრიკა**

11.00 ცისკრის ზარები 11.03 ქართ. მულტფილმები 11.20 ქართ. მოკლ. მხ.ფ. „ბედის უკუღმართობა“ და „შიში“ 12.00 ლოცვა 12.03 მხ.ფ. „ოთარაანთ ქვრივი“ 13.50 „წიგნი ფიცისა“ 15.00-18.00 რელიგიის საათი 15.00 ცისკრის ზარები 15.03 ქართული საგალობლები 16.00 ილია II-ის ქადაგება 16.20 საეკლესიო კალენდარი 16.30 საუბრები ბიბლიაზე 18.00 სტილი 18.25 საუბრები საქართველოზე 18.40 მუსიკა 19.00 „ხვალ...“ (საქართველოს პოლიტიკური ანატომია) 20.30 იქ, სადაც სიყვარულია 21.00 ლოცვა 21.03 თბილისური ოჯახები 21.55 მხიარული სალონი 22.30 საუბრები მწვანე ბუხართან 23.30 ქართ. მხ.ფ. „კეთილი ადამიანები“

**Iსტ**

8.00 ტონიკი 10.30 მხ.ფ. „დანაშაულის ისტორია“ 12.25 მულტფილმი 13.25 მხ.ფ. „გასაღების მობრუნება“ II სერია 14.55 კლიპ-მიქსი 18.00 ნახ.ფ. 19.10 მხ.ფ. „ოცნებებით მოგზაური“ 21.10 მხ.ფ. „მაგარი ბიჭები“ 22.50 მხ.ფ. „სუპერდანაშაული“ 0.15 მხ.ფ. „სიუ“ 2.10 მხ.ფ. ნონ-სტოპი. მუსიკა დილამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოროსკოპი

## 18 ოქტომბრიდან — 24 ოქტომბრამდე

### ვერძი

ეს კვირა კარგია ყველანაირი ცვლილებებისათვის. ნუ შეგეშინდებათ ახალი ნაცნობობის. ოთხშაბათს შესაძლოა სირთულეები წარმოიშვას. მაგრამ თქვენ მას ადვილად გადალახავთ. პარასკევ საღამოს ელოდეთ სასიამოვნო სიურპრიზებს.

### კურო

ამ კვირაში თქვენი მთავარი კოზირია მოვლენებში წვდომის უნარი, მათი მიზეზების გაანალიზება, თუმცა შესაძლოა ეს ზოგიერთებს არ მოუწონოთ და კონფლიქტური სიტუაციაც წარმოიშვას. გახსოვდეთ, ეს მხოლოდ თქვენს სიმართლეში დაგარწმუნებთ.

### ტყუპები

კვირის დასაწყისში თავი შეიკავეთ ყოველგვარი სიახლეებისაგან და გადაწყვეტილებებისაგან. შემდეგში ბედი თქვენსკენ შემობრუნდება. ოთხშაბათი და ხუთშაბათი იღბლიანი დღეებია. კვირისთვის თავს იჩენს მოულოდნელობებისკენ და სარისკო ნაბიჯების გადადგმისკენ სწრაფვა.

### კიბო

არ არის გამორიცხული, საქმეებმა გვიან ღამემდე დაგაკავოთ. მაგრამ ნუ მოიწყენთ. თქვენი მუყაითობა შესაბამისად იქნება ანაზღაურებული. მოსალოდნელია გარკვეული შეცდომები და მიღებული ინფორმაციის არასწორად აღქმა. გადაამოწმეთ ფაქტები.

### ლომი

დიდი ალბათობაა იმისა, რომ მოგიწევთ საინტერესო საქმიანი მგზავრობა და ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. ამასთან, თქვენ ჩვეულებრივზე მეტად ექსცენტრული იქნებით, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გაგხდით მეგობრებისა და ახლობლების თვალში.

### ქალწული

მიმდინარე კვირამ შესაძლოა ბევრი რამ გადაწყვიტოს თქვენი პროფესიონალიზმისა და მომავალი კარიერის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ კონტაქტებს ახალ ნაცნობებთან. რომელიმე მათგანი ფრიად სარფიან წინადადებას შემოგთავაზებთ. კვირას გარგებთ ქალაქგარეთ დასვენება.

### სასწორი

კვირის დასაწყისში გარკვეული სირთულეები გექნებათ, მხოლოდ ოთხშაბათისათვის იგრძნობთ თავს თქვენს ამპლუაში. გახსოვდეთ, კვირის დასასრულია თქვენთვის ის პერიოდი, როცა ძლიერ და ნამდვილ გრძნობებს გამოხატავთ თქვენს ირგვლივ მყოფთა მიმართ.

### მორიელი

თქვენ მოგიწევთ ისეთ პარტნიორებთან ხანგრძლივი და მეტად რთული ურთიერთობა, ვისი საზოგადოებაც მაინცდამაინც არ გსიამოვნებთ. ეცადეთ, ხელში აიყვანოთ საკუთარი თავი და იუმორით შეხედოთ ყველაფერს, ამასთან, ფრთხილად იყავით თანხების ხარჯვის დროს. უმჯობესია, თუ ყოველი დახარჯულ თეთრს ჩაიწერთ, რომ შემდეგ საკუთარ თავთან ადვილად შეძლოთ ანგარიშსწორება.

### მშვილდოსანი

საოცრად იღბლიანი კვირაა. ყველა წამოწყებული საქმე ალჩუზე ჯდება. ახალი იდეები დიდ ფინანსურ წარმატებებს გიქადით, ხოლო მსუბუქი ფლირტი შეიძლება ღრმა გრძნობაში გადაიზარდოს და დიდი სიყვარულიც გეწვიოთ.

### თხის რქა

ორშაბათი და სამშაბათი იღბლიან დღეებად მოგეჩვენებათ, მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, სიტუაცია შეიცვლება. მოსალოდნელია გადაღლა, სტრესები, კონფლიქტები, უმიზეზო მოწყენილობები. ეცადეთ, მკვეთრი ფერის ტანსაცმელი ჩაიცვათ, რომ ხასიათი გამოიკეთოთ. ელოდეთ შაბათს. ეს დღე ყველაფერს უკეთესობისკენ შეცვლის.

### მერწყული

სერიოზული საუბარი, ურთიერთობათა გარკვევა, რომელსაც ამდენი ხანი თავს არიდებდით, აუცილებლად მოგიწევთ. მოიკრიბეთ სიმამაცე და მთელი ენერგიით დაამტკიცეთ თქვენი სიმართლე. ამის გარეშე წინ ვერ წაიწევთ.

### თევზები

განსაკუთრებული წარმატებები გელით მეცნიერებისა და განათლების სფეროში. შეიძლება საქმე დიდ აღმოჩენებამდეც მივიდეს. თუ ამ დარგებისგან შორსა ხართ, მაშინ სამსახურის ან საყოფაცხოვრებო პირობების რეორგანიზაციის იდეას უეჭველად ნაყოფიერად განახორციელებთ.

## კროსვორდი



მწოლიარედ: 5. კუთხე ესპანეთში, სადაც „ლონიას" „კატა" გაექცა 10. სამთვიანი დასახლება 12. „მერხზე" მოთამაშეთა ფეხბურთის გუნდი (რუს. კავშ.) 13. „მემედას" „ჯავშნიანი" ზედაპირი (რუს. ნაწ. კავშ.) 14. ქალიშვილი ძროხა. 15. კუნძული, სადაც „დადნები" სიცხისაგან. (რუს. კავშ.) 16. „გაქუცული" აჯანყებული (სახელი) 20. ბუნებისაგან გამოწვეული უბედური შემთხვევა 21. ბავშვების უმაღლეს „ლიგაში" სათამაშო 25. „ქოჩორა" მდინარე რუსეთში 26. „ნულიდან" დამწყები „თეთრი" ფირმა 27. „ლერის ჯოჯოხეთური" ქალაქი (რუს. ნაწ. კავშ.) 29. „იატაკზე" წარმოქმნილი სადაო საკითხის განხილვა (რუს. კავშ.) 31. „ბლეიკის" საყვარელი კალათბურთის კლუბი 32. ხარების რინგი 34. „მილიარდერების" თამაში 35. კაცი, რომელმაც ბევრი „ფული" „ყარა" (ნაწ. ინგ. კავშ.).

მდგომიარედ: 1. „აკორდეონზე" აღებული პირველი და მერვე ნოტა ერთად 2. „ნიკას" შეშფოთება 3. ღორმუცელა, რომ დაიტრაბახა „ასი მაქვსო" (რუს. კავშ.) 4. „კლიმატის" შეცვლით გამოწვეული ავადმყოფობა 6. „..." მატატა 7. „პიტალო" ადგილი კაცის სხეულზე (ადგილის დახასიათება) 8. „ცისიას" „ნარ-ნარი" ყვავილი 9. ამ მუშკეტერის სახელი „მისი" „არაა" 11. „რაციონალური" ქალის ქანდაკება 17. „ჩანჩალით" გადმოსროლილი წყლის ნაკადი 18. „ბებერი" ბრაზილიელი ფეხბურთელი 19. ძაღლი, რომელიც „ინტერის" გუნდში თამაშობს 22. „მალვით" ეს გოგონა თავს ვერ უშველის (ზღაპრ.) 23. „არდში" მომუშავე „მლესავი" არგენტინელი ფეხბურთელი 24. „ქედმაღალი" ფრინველი 25. „დელიდან" ჩამოყვანილი ძაღლის ჯიში 28. „ნაცრისფერი" წინაღობა (რუს. კავშ.) 29. საათის სახეობა რადიოში 30. „დაცარიელებული" სოფელი გურიაში 33. ბიჭი მეგრულად.


იყიდება ოროთახნახევრიანი ბინა წერეთლის პროსპექტზე, გამოფენასთან (მიშენებულია 60 მ² ფართი). მე-5 სართ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-71-94 ლიდა.

გირავდება ორი ოთახი ნაძალადევის მეტროს პირდაპირ ტ. 66-81-01, 93-18-41 იკითხეთ მანანა

იყიდება ყოველმხრივ კეთილმოწყობილი აგარაკი დაბა მანგლისში 1700 კვ.მ. ნაკვეთით, მსხმოიარე ხეხილიანი ბაღით, დიდი კაკლის ხეებით, ოთხოთახიანი სახლით ბელეტაჟზე. ფასი 10000$. ტ. 76-93-72 მარინა (საღამოს)

ქირავდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა წერეთლის მეტროსთან ტ. 96-52-40, 94-05-32


### ბლოკის „სახალხო ფრონტი — ჭავჭავაძის საზოგადოება" მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

მათ, ვისაც გაცნობიერებული აქვს საქართველოში ეროვნული ხელისუფლების არჩევის აუცილებლობა და მაშასადამე, ჩვენი ბლოკის არჩევნებში გამარჯვება, ამასთანავე, სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ბლოკის საარჩევნო კამპანიაში, გთხოვთ შეგვეხმიანოთ ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სახალხო ფრონტი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი
პუშკინის ქ. №5
ტელ. 93-19-93 93-15-89 93-17-10

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება

ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 6
ტელ: 99-57-19, 37-07-36 ფაქსი: 99-61-96


გაზეთ „საქართველო"-ს კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაკაბადონებას, აგრეთვე მცირეტირაჟიანი გამოცემების (5000 ცალამდე), ბეჭდვას რიზოგრაფზე სწრაფად და ხარისხიანად, თანაც, რაც მთავარია, მისაღებ ფასებში

8 გვერდიანი A3 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 50 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +5 ლარი.
4 გვერდიანი A4 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 12 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +3 ლარი.
ქართული წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 13-20 ლარი, სირთულის მიხედვით
უცხოენოვანი წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 15-25 ლარი სირთულის მიხედვით
რიზოგრაფზე ორმხრივი A3 დაბეჭდვა 100 ეგზემპლიარი 8,5 ლარი
500 ეგზემპლიარი 27 ლარი

ჩვენი მისამართია:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5. II სართული, ოთახი №210. ტელ.: 93-20-36, 93-18-41



მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს აგებენ ავტორები.